შპს ,,ეკოსერვის ჯგუფი"-ს მიერ 2021 წელს განხორციელდა შემდეგი სახის სამუშაოები:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების წამლობა შემდეგ მისამართებზე/ლოკაციებზე: ჯავახეთისა და კუპრაძის ქუჩებზე არსებულ შუა ზოლში (სამჯერ); რიყის პარკში (ორჯერ); მონუმენტის ,,ადამიანი და მზე"-ს მიმდებარედ არსებულ თარგებში (სამჯერ); ევროპის ქუჩაზე არსებულ შუა ზოლში და განაპირა გამწვანების (სამჯერ); მირიან მეფის ქ. (ორჯერ სრულად ქუჩა და დამატებით ერთხელ შუა ზოლი) და ჯორჯ ბალანჩინის ქუჩებზე არსებულ შუა ზოლში; ვაკის პარკში (ორჯერ); მოსკოვის გამზირზე (განაპირა და შუა ზოლი) (ორჯერ). აგრეთვე, შეიწამლა კახეთის გზატკეცილის განაპირა ზოლი, დამხმარე ზოლი და განაპირა თარგები - ორჯერ); ვარკეთილში, ს. თაყაიშვილის ქუჩის შუა ზოლი (ორჯერ) (ვაშლები და მსხლები დამატებით ორჯერ) და მიმდებარე სკვერები, დ. ალექსიძის და ერთიანობისთის მებრძოლთა ქუჩებზე არსებული შუა ზოლი (ორჯერ); 9 აპრილის ბაღი (ზედა ტერასა ორჯერ, მესამედ წყავები და კოწახურები); ვარკეთილში, კორპ. N325-ის მიმდებარედ არსებული სკვერი (ორჯერ სრულად და მესამედ მხოლოდ კატალპები); ბაგები/წყნეთი სრულად და გზატკეცილზე არსებული კუნძულები, თამარაშვილის გამზირი და მიმდებარე კუნძულები (ორჯერ სრულად შუა ზოლი სამჯერ). ჯავახეთის პირველი ჩიხი, სარაჯიშვილის ქუჩა შუა და განაპირა ზოლები და მიმდებარე სკვერები (ორჯერ); გურამიშვილის გამზირი და გამზირის შუა ზოლი (ორჯერ), ასევე გამზირზე არსებული სკვერები (ორჯერ); მტკვრის მარცხენა და მარჯვენა სანაპირო სრულად (ორჯერ), დამატებით ჭადრები ორჯერ დამუშავდა ფუნგიციდის საშუალებით, ფესვთა სისტემაში შეტანის გზით; ფონიჭალა -მარნეულის გზატკეცილი, შუა და განაპირა ზოლები (ორჯერ); 6.

შანავას ქუჩა (ფერდი), უცნობ გმირთა ქუჩა (ორჯერ); ვანათის ქუჩა (ორჯერ); ბორის პაიჭაძის ქუჩა (ორჯერ); ევგენი მიქელაძის ქუჩა (ორჯერ); რ. ბარძიმაშვილის ქუჩა (ორჯერ); რობაქიძის გამზ. განაპირა ზოლები (ორჯერ); აკაკი ბაქრაძის ქუჩის განაპირა და შუა ზოლები (ორჯერ) დამატებით ბაქრაძის ქუჩის ფერდზე არსებული კედრები დამუშავდა ფუნგიციდით ფესვთა სისტემაში შეტანის გზით; ხეთაგუროვის სკვერი (ორჯერ); დიღმის ტყე-პარკი (ორჯერ); ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილი (ორჯერ); 26 მაისის მოედანი და მიმდებარედ არსებული სკვერი (ორჯერ); თორნიკე ერისთავის ქუჩა (ორჯერ); რუსთაველის გამზ. განაპირა თარგები და ქოთნის მცენარეები (ორჯერ და მესამედ ბზები და ჭყორები); თავისუფლების მოედანი და ნ. ბარათაშვილის სახელობის სკვერი შეიწამლა ორჯერ; ორბელიანის სახელობის სკვერი (ორჯერ); დიდ დიღომში - პეტრე იბერის ქუჩის განაპირა გამწვანება, ფარნავაზ მეფის ქუჩის შუა ზოლი და განაპირა გამწვანება, ანბანის სკვერი, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩის შუა ზოლი და განაპირა გამწვანება შეიწამლა ორჯერ; მარშალ გელოვანის გამზირის შუა ზოლი (ორჯერ) და განაპირა გამწვანება (სამჯერ და ფიჭვები ოთხჯერ); კანდელაკის ქუჩის გამწვანება; ვაჟა-ფშაველას გამზ. შუა ზოლი (ორჯერ); პირველი რესპუბლიკის პარკი; ზ. ანჯაფარიძის ქუჩის შუა ზოლი; ს. ზაქარიაძის ქუჩის განაპირა თარგები და სკვერი; ილია ჭავჭავაძის გამზ. განაპირა თარგები და კუნძულები (ორჯერ სრულად მესამედ განაპირა თარგები); ტარას შევჩენკოს და ნ. მუსხელიშვილის სახელობის სკვერები (სამჯერ); ცინცაძე-კარტოზიას ქუჩების კვეთაზე არსებული გამწვანება (ორჯერ); ვეტერანთა კულტურისა და დასვენების პარკი (ორჯერ სრულად, მესამედ კატალპები და ტირიფები, ჭადრები და წითელი ნეკერჩხლები); ვერის ბაღი (ორჯერ); აღმაშენებელის გამზ. და მიმდებარედ არსებული სკვერები (ორჯერ სრულად და მესამედ ნეკერჩხლები); კახიძის სკვერი; კ. მარჯანიშვილის ქუჩა (ორჯერ); ელბაქიძის აღმართი (ორჯერ); ცაბაძის ქუჩა (ორჯერ სრულად და მესამედ კუნძული აკაციებით); დინამოს სტადიონის წინ არსებული გამწვანებული კუნძულები (ორჯერ); კრწანისის რაიონში, გორგასლის ქუჩის შუა და განაპირა ზოლები, უსაფრთხოების კუნძულები და სკვერები, კრწანისის ქუჩაზე არსებული სკვერი, დიმიტრი გულია ქუჩის შუა და განაპირა ზოლები (ორჯერ სრულად); სამაიას ბაღი (ორჯერ); გობრონიძის ქუჩის შუა და განაპირა ზოლები (ორჯერ, მესამედ მხოლოდ მუხები); ნონეშვილის ქუჩის შუა და განაპირა ზოლები (ორჯერ); დუმბაძის ქუჩის შუა და განაპირა ზოლები (ორჯერ). ქეთევან დედოფლის გამზ. და მიმდებარედ სკვერები (ორჯერ); წურწუმიას ქუჩაზე არსებული სკვერი (ორჯერ); ბოტანიკური ბაღი (ორჯერ); ვ. გოძიაშვილის სახელობის პარკი (ორჯერ); მუხრანის ქუჩა და მიმდებარედ გამწვანება (ორჯერ), ჯორჯ ბუშის ქუჩა (ორჯერ); ურიდიას ქუჩა (ორჯერ); მელიტონ ფილიას, კლდეკარის და ხერთვისის ქუჩების შუა ზოლები, ქერჩის ქ. ორივე მხარე (ორჯერ); გლდანის გამგეობის მიმდებარედ კუნძულები (სამჯერ); ბ. ჟღენტის ქ. (ორჯერ); გ. ძოწენიძის ქუჩა (ორჯერ); ო. ვეკუას ქ. ორივე მხარე და ხიზანიშვილის ქუჩა (ორჯერ); უნივერსიტეტის ქუჩა (ორჯერ); აღმაშენებლის ძეგლთან კუნძულები და დროშასთან ახალი ნარგავები ორჯერ); გაფრინდაშვილის შუა ზოლი (ორჯერ), ჟან კალანდაძის სკვერი (ორჯერ), თამარ მეფის ხიდის მიმდებარედ არსებული კუნძულები (სამჯერ), თავდაცვის სამინისტროს წინ კუნძული (სამჯერ); ბახტრიონის ქუჩაზე არსებული წრიული (ორჯერ); ა. მიცკევიჩის ქუჩაზე ჭადრები, ა. წერეთლის გამზირზე მაგნოლიები (ორჯერ); ბარათაშვილის აღმართი და სკვერის მიმდებარედ, ავლაბრის ბაღი, ირბახის და წურწუმიას კვეთაზე არსებული სკვერი, ფარნავაზ მეფის ბაღი, კაჩინსკის ქუჩა და სკვერი, შალვა დოლიძის ბაღი (შეიწამლა ორჯერ); ისნის მეტროსთან გზაჯვარედინზე თარგები; სანაპიროზე (სოკარის ოფისთან შუა ზოლი და წრიული თარგი ჰესთან (ორჯერ); იალბუზის ქუჩა და ორივე ასასვლელი ქ. დედოფლის გამზირამდე (ორჯერ); დ. სარაჯიშვილის მეტროს მიმდებარედ არსებული ფიჭვები და ა. შეშელიძის ქუჩაზე არსებული წიწვოვნები (ორჯერ); თბილისის ზღვის მიმდებარედ ფიჭვნარი; ფეიქრების ქუჩა (სამჯერ), ხუდადოვის ქუჩა (სამჯერ), ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილი (სამჯერ); ისთ-ფოინთის მიმდებარედ გახოკიძის ქუჩაზე არსებული გამწვანებული კუნძულები და ფერდები (ორჯერ); ორხევის წმ. ნინოს სახელობის ტაძართან სკვერი (ორჯერ); ორხევის ხიდის მიმდებარედ ფერდები (ორჯერ); ბერიტაშვილის ქუჩისა და ბედიას ქუჩის გამწვანება (ორჯერ); 9 მარტის ბაღი (ორჯერ); წყნეთის ტყე-პარკი (ორჯერ); ქ. ჩოლოყაშვილის გამზ (ორჯერ); მინდელის ქუჩა და მიმდებარედ სკვერი და გამწვანება (ორჯერ); ა. პოლიტკოვსკაიას ქ. (ორივე მხარე, განმეორებით მხოლოდ წიწვოვანი ნარგავები); დინამოს სტადიონის წინ არსებული ა. წერეთლის სახელობის სკვერი (ორჯერ); გიორგი ცაბაძის ქ. (მეორედ მხოლოდ გზის გამყოფი კუნძული); შალვა მეტრეველის ქ., შოთა ლამანიძის ქ., ვლადიმერ მაიაკოვსკის ქ., დ. აღმაშენებლის გამზ. (დინამოდან თამარ მეფემდე), მუშტაითის ბაღის გარშემო გამწვანება (ორჯერ); დინამოს სტადიონიდან წერეთლის 67 ნომრამდე მარჯვენა მხარეს არსებული გამწვანება; აღმაშენებლის ხეივანი შუა ზოლი და განაპირა ფიჭვები (აგრარული უნივერსიტეტის მიმდ.) (ორჯერ); დიღმის მასივი საწვრთნელი ბაზის მიმდებარე გამწვანება (სამჯერ); პარლამენტის შენობის წინ არსებული ბუჩქები (ორჯერ და მესამედ დამუშავდა ფესვთა სისტემა ფუნგიციდის საშუალებით); მ. კოსტავაზე, ჟ. შარტავაზე, პეკინის გამზირზე არსებულ ქოთნებში ბუჩქები (ორჯერ); ივ. ჯავახიშვილის სახელობის ხიდზე არსებული ქოთნების გამწვანება (ორჯერ); გალაკტიონის

ძეგლის მიმდებარე გამწვანება (ორჯერ); ბუკიას ბაღის ნაწილი, ბახტრიონის ქუჩაზე საბავშვო ბაღი "იმედის“ გამწვანება; ოპერის მიმდებარედ არსებული სკვერები (ორჯერ); ანაპის 414 დივიზიის ქ. (სარაჯიშვილიდან უცნობ გმირთა ქუჩამდე მარჯვენა და მარცხენა მხარე (წიწვოვნები) (ორჯერ); ვეფხი და მოყმის მონუმენტის მიმდებარე გამწვანება (ორჯერ); "მონუმენტ საქართველოს მატიანეს“ მიმდებარედ არსებული გამწვანება (ორჯერ, მათ შორის წიწვოვანი ახალი ნარგავები); თბილისის ზღვის სანერგე (სამჯერ); გრიბოედოვის ძეგლის მიმდებარე სკვერი; ს. მდივანის ქუჩის გამწვანება; გმირთა მოედანი - ესტაკადის გამწვანება და მიმდებარე სკვერები (სამჯერ); ლ. გოთუას ქუჩა და ლ. გოთუას ქუჩაზე არსებული სკვერი (ორჯერ); სამღერეთის ქ. N3 (სანერგე მეორნეობა) (სამჯერ); გარეჯის ქუჩის გამწვანება (ორჯერ); დენდროლოგიური პარკი; კახეთის გზატკეცილზე (კვიდოები) და „ადამიანი და მზის“ და ბუშის ქუჩის მიდ. ნიკერჩხლები დამუშავდა ფუნგიციდის საშუალებით ფესვთა სისტემაში შეტანის გზით; ზაარბრუკენის მოედანზე არსებული თარგები და ლონდონის ბაღი; ბახტრიონის ქ. 7 (ეზო), იოსებიძის ქ. N72ª და N72ᵇ, ალ. ყაზბეგის 20ª, ალ. ყაზბეგის 29ᵇ, დ. გამრეკელის N 5, 1, 7 (წინა მხარე), შ. ნუცუბიძის ქ. N42 (2) და 42 კორპუსების მიმდებარე გამწვანება (ეზოს გამწვანება), ვაჟა-ფშაველას გამზირი II კვ. 32-33 კორპუსებს შორის ეზო, ვაჟა-ფშაველას გამზირი 3 კვ. 6ª და 13 კორპუსების მიმდებარე გამწვანება, ზ. ფანასკერტელ-ციციშვილის ქ. N11-ის მიმდებარედ სკვერი, ზ. ფანასკერტელ-ციციშვილის ქ. N14 (მიმდებარედ გზის ორივე მხარე), ზ. ფანასკერტელ-ციციშვილის ქ. N16, 9, 6, 18 და 12 მიმდებარე გამწვანება და სკვერები; სააკაძის მოედანი (ტექ. უნივერსიტეტის VI კორპუსის მიმდებარედ მუხები). თამარ მეფის გამზირზე ნეკერჩხლები, ვახუშტი ბაგრატიონის ხიდის მიმდებარედ სამკუთხედი თარგი, რიგის ბაღი, ი. სუხიშვილის ქუჩაზე წიწვოვანი ნარგავები, დედაენის ბაღის გარე პერიმეტრი, აღმაშენებლის ქ.; ჯ. სკუდიერის ქუჩაზე ახალი სკვერი (ორჯერ), მახათას აღმართის და ცაიშის ქუჩის განაპირა ზოლის წიწვოვანი ნარგავები.

2. სამღერეთის ქუჩა N3-ში მდებარე სანერგე მეურნეობაში ჩატარდა ტერიტორიის დასუფთავება ქვა-ღორღისაგან და ტერიტორიიდან გატანა სამი ჯერადობით, სანერგეში არსებული მცენარეების მორწყვა ორმოცდაცამეტი ჯერადობით, სათბურში არსებული მცენარეების მორწყვა ორმოცდაჩვიდმეტი ჯერადობით. სანატორიუმ ქართლის მიმდებარედ არსებულ სანერგე მეურნეობაში განთავსებული მცენარეების მორწყვა სამოცდაერთი ჯერადობით.

3.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით სხვადასხვა მისამართებზე განხორციელდა 3172 ერთეული ხის მოჭრა, 12084 ერთეული ხის სხვლა-ფორმირება, 294 ერთეული ავარიული ხის დამუშავება, 57 ერთეული ხის კუნძის ამოღება.

4. კომპანიის მოვლა-პატრონობაში არსებულ რეკრეაციულ ზონებში, კერძოდ: ვაკის პარკში, ვასო გოძიაშვილის სახელობის პარკში, პარკ მზიურში, აკაკი წერეთლის სახელობის ბაღში, ვერის ბაღში, 9 აპრილის სახელობის ბაღში, დედაენის ბაღში, 9 მარტის ბაღში, პირველი რესპუბლიკის ბაღში, ჯოვანი სკუდიერის სახელობის სკვერში, რიყის პარკში, თბილისის დენდროლოგიურ პარკში, ევროპის მოედანზე (მიმდებარე თარგებით), ღვინის აღმართზე, მეტეხის აღმართზე, ვარკეთილის სკვერში (ვარკეთილი-3 I მიკრო რაიონი/პოლიციასთან), ვარკეთილის სკვერში (ვარკეთილი-3 IIIª მიკრო რაიონი, N325 კორპუსის მიმდებარედ), რიგის ბაღში, ვარკეთილის ხევის პარკში, ვეტერანთა კულტურის და დასვენების პარკში, გლდანის პარკებში (მე-5, მე-6, მე-8 მიკრო რაიონებში), დიღმის ტყე-პარკში განხორციელდა შემდეგი აგრო-ტექნიკური ღონისძიებები: მცენარეების დარგვა, ხე-მცენარეების გამაგრება (ჭიგოებით), მცენარეების ჯამების მოწყობა/გაფხვიერება, ბალახის გათიბვა, გაზონის მორწყვა, ახალგაზრდა ხე-მცენერების/ბუჩქების მორწყვა, დაზიანებული სარწყავი სისტემის აღდგენა და სარწყავი ფართობის გაზრდის მიზნით ახალი ქსელის მოწყობა, მინერალური და ორგანული სასუქის შეტანა, ორგანული სასუქით შეწამლვა (ფოთლითკვება), ტერიტორიის გამარგვლა, ტერიტორიის ამონაყარისგან გაწმენდა, ხე-მცენარების და ბუჩქების დეკორატიული სხვლა-ფორმირება, ჰიდროთესვისთვის ნიადაგის მომზადება, თარგების მომზადება მულჩირებისთვის და მულჩის შეტანა, ნარჩენების გატანა. ამავე პერიოდში ხორციელდებოდა რეტერატების (საზოგადოებრივი ტუალეტი) მოვლა-პატრონობის ღონისძიებები.

5. განხორციელდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შპს „ეკოსერვის ჯგუფის“ მოვლა-პატრონობაში არსებული შადრევნების ოცდასამი ჯერადობით მორეცხვა-დასუფთავება. შადრევნების ელექტროსისტემებზე პერიოდული შემოწმების შემდეგ აღმოჩენილი 54 გაუმართაობის აღმოფხვრა. შადრევნებზე არსებული 40 ტუმბო-ძრავზე მოხდა საკისრების შეპოხვა სპეციალური საპოხი მასალით, აქედან 14 აგრეგატზე მოხდა დაზიანებული საკისრების ახლით ჩანაცვლება. მომარაგების და დაცლის სისტემებზე აღმოიფხვრა 14 დაზიანება. 10 ლოკაციაზე შეიღება შადრევნის ავზები და დეტალები. ნოემბერ-დეკემბერში შადრევნები გამოირთო და მომზადდა ზამთრის სეზონისთვის.

95 ერთეულ სოკოს ფორმის სასმელი წყაროზე დაზიანებული ეკონომიური მოხმარების ონკანები ჩანაცვლდა ახლით და 28 სხვადასხვა მისამართზე მოხდა დაზიანებული მილების აღდგენა. შეიცვალა დაზიანებული და ამორტიზებული სოკოს ფორმის სასმელი წყაროები. ქალაქ თბილისის პარკებსა და ურბანულ ზონებში არსებულ გამწვანებულ თარგებში სხვადასხვა მისამართებზე, სარწყავ სისტემებზე გაიმართა (შეკეთდა) 1896 ერთეული დაზიანებული კვანძი და 1357 გრძივი მეტრი სხვადასხვა დიამეტრის მილი ჩანაცვლდა ახლით.

6. ურბანულ ზონებში არსებულ გამწვანებულ ტერიტორიებზე განახორციელდა შემდეგი სამუშაოები: გათიბვა, დაფოცხვა დასუფთავება, ნაგვის გატანა, მორწყვა, ჯამების შემობარვა-გაფხვიერება, ჯამების მოწყობა, ხეების სხვლა-ფორმირება, ბუჩქების გაკრეჭვა და ფორმირება, მცენარეების გამაგრება, ზეხმელი და დაზიანებული მცენარეების ამოღება, ნერგების დარგვა, სასუქის შეტანა, მცენარეების შეწამვლა შემდეგ მისამართებზე: რუსთაველის ძეგლის ირგვლივ, მ/ს ,,რუსთაველი,,-ს მიმდებარედ (პასაჟიდან გამოსასვლელამდე), კოსტავას ქ. N3-ისა და ახვლედიანის ქ.N2-ის მიმდებარედ არსებულ თარგებში და გამწვანებულ ტერიტორიაზე, ჯავახიშვილის ქ.-ზე მდებარე ,,სამაიას ბაღში", გიგა ლორთქიფანიძის სახ. სკვერში და მიმდებარე ტერიტორიაზე, მელიქიშვილის ქუჩაზე დ. აბაშიძის სახ. სკვერში, მ. კოსტავას ქ. N20-26-ში, მელიქიშვილის ქ. N2-ის მიმდებარედ არსებულ კლუმბებში და N51-ე საჯ. სკოლის წინ არსებული სკვერში, კოსტავას ქ. დასაწყისიდან გმირთა მოედნამდე არსებულ ხე-მცენარეებზე, სულხან-საბას ქ.-ზე, ოპერისა და ბალეტის თეატრთან არსებულ სკვერში, კოსტავას ქუჩაზე (გმირთა მოედნიდან) და მის მიმდებარედ არსებულ თარგებში, სკვერებში და გამწვანებული ტერიტორიაზე, სააკაძის მოედანზე, ინსბრუკის სკვერსა და შარტავას ქ.-ზე, პეკინის გამზირზე (ზ. ჟვანიას მოედნამდე) და მათ მიმდებარედ არსებულ თარგებში, სკვერებში და გამწვანებულ ტერიტორიაზე (მათ შორის ბუკიას ბაღი და მიცკევიჩისა და პეკინის კუთხეში არსებულ თარგებში), ვაჟა-ფშაველას გამზირსა და მის მიმდებარედ არსებულ თარგებში, სკვერებში, გაზონებში, ფერდობებზე, ბულვარებში, სანდრო ეულის ქ.-ზე არსებულ ბულვარში და გამწვანებულ ტერიტორიაზე, ჯ. ბალანჩინის ქ.-ზე, ჯ. ბალანჩინის ქ.-დან ფარნავაზ მეფის გამზირამდე და ფარნავაზ მეფის გამზირზე არსებულ გამწვანებაზე, შუა გამყოფ ზოლებზე და ფერდობებზე, ფარნავაზ მეფის გამზირზე, პეტრიწისა და გ.ბრწყინვალეს ქუჩებზე არსებულ გამწვანებაზე (გარდა შიდა კვარტალური გამწვანებისა) შუა გამყოფი ზოლების ჩათვლით, გოთუას სახელობის სკვერში, გოთუას ქუჩაზე არსებულ ფერდობებზე და გამწვანებულ ტერიტორიაზე, ალ.ყაზბეგის გამზირსა და მის მიმდებარედ არსებულ თარგებში, სკვერებში, გაზონებსა და გამწვანებულ ტერიტორიაზე (გარდა ნანტის სახელობის სკვერისა), გმირთა მოედანზე ,,თავდადებულ გმირთა,, მემორიალისა და ობელისკის მიმდებარედ არსებულ გამწვანებულ ტერიტორიაზე, გმირთა მოედანზე არსებულ დასაკიდ საყვავილე ქოთნებში, გმირთა მოედანზე არსებულ ქოთნებში მცოცავი მცენარეებით, გმირთა მოედანზე, გვირაბის ირგვლივ არსებულ უბეებზე, შუა გამყოფ ზოლზე, კოსტავას ქ. კუთხეში არსებულ ჩასასვლელში, ცირკის მიმდებარედ, რესტ. ,,მატროშკი,,-დან ალიევის სახ. სანაპირომდე და თამარ მეფის გამზ. გმირთა მოედნის ხიდამდე არსებულ გამწვანებულ ტერიტორიაზე და ფერდობებზე, გმირთა მოედნის და თამარაშვილის ქუჩის დამაკავშირებელ ჯ. ამირეჯიბის გზატკეცილზე არსებულ გამწვანებულ ტერიტორიებზე (მათ შორის ვერეს ხეობაში ახალდარგული ხე-მცენარეები), ჭავჭავაძის, ჩოლოყაშვილის გამზირებზე (დასაწყისიდან N51-ის ჩათვლით) და მიმდებარე ტერიტორიაზე თარგებსა და ხე-მცენარეებზე, ფალიაშვილის ქუჩაზე არსებული კონსტანტინე გამსახურდიას სკვერში და მრგვალ ბაღში, მოსკოვის გამზირზე შუა გამყოფ ზოლში და მიმდებარედ არსებულ გამწვანებაზე (მცენარეები, თარგები და ფერდობები), N18 და N50 მიმდებარედ არსებულ სკვერებში, ქეთევან დედოფლის გამზირზე სასტ. მეტეხიდან (თელავის ქ.) მოსკოვის გამზირამდე არსებულ გამწვანებაზე (მცენარეები, თარგები და ფერდობები), N67, N69, N96 და წინანდლის შეს. N11-ის მიმდებარედ არსებულ სკვერებში, იალბუზის, ბოჭორმის, ლეხ კაჩინსკისა და აწყურის ქუჩებზე არსებულ გამწვანებაზე (მცენარეები, თარგები და ფერდობები) და ლეხ კაჩინსკის სახ. სკვერში, ბერი გაბრიელ სალოსის სახ. მოედანზე და გამზირზე არსებულ გამწვანებაზე (მცენარეები, თარგები და ფერდობები) და N1/3, N47-49 (ყოფ. ჩოლოყაშვილის N3, N3ა და N4), N48/10 მიმდებარედ არსებული და ალ. ქართველის სახ. სკვერებში, ვაზისუბანი - შ. პეტეფის, თ. დავითაიას, ზ. პატარიძის ქუჩებზე არსებულ გამწვანებაზე (მცენარეები, თარგები და ფერდობები), ვაზისუბნის დას. N1, N7, N8, N16 და კახეთის გზატ. N36 (მე-8 ლეგიონი) მიმდებარედ არსებულ სკვერებში; ვაზისუბნის მე-3 მ/რ-ნში, I და II კვარტლებს შორის არსებულ სკვერში, ბარათაშვილის სახ. სკვერში, მიმდებარე თარგსა და გამწვანებულ ტერიტორიაზე ავლაბრის მოედანზე, ერევნის სახ-ის სომხურ თეატრთან, ფარნავაზის სახ-ის, მ/ს ,,ავლაბარი,,-ს, შადრევნის ირგვლივ და წურწუმიას ქ-ზე არსებულ სკვერებსა და თარგებში (გარდა ზურაბიშვილის ქუჩისა) ქეთევან დედოფლის გამზ.#32-ის გვერდით მდებარე (მეტეხის) ფერდობი ბარათაშვილის აღმ., ქეთევან დედოფლის გამზ. დასაწყისიდან N40-მდე არსებულ გამწვანებაზე, ბალანჩინის ქ.-დან, მინდელის, შეშელიძის ქ.-ებზე არსებულ გამწვანებულ ტერიტორიებზე და ფერდობებზე, ხიზანიშვილის, ვეკუას (დამაკავშირებელი ქუჩების

ჩათვლით), გობრონიძის შუა ზოლსა და მიმდებარე ტერიტორიაზე, ა.ისაკიანის ქ, გობრონიძისა და შეშელიძის დამაკავშირებელ, გობრონიძის და ნოზაძის ქ.-ის კვეთაზე არსებულ კლუმბებზე, შუა ზოლზე და გამწვანებულ ტერიტორიაზე, სარაჯიშვილის გამზ. N6-ის მიმდებარედ არსებულ სკვერში, სარაჯიშვილის გამზირზე არსებულ სკვერებში, შუა გამყოფ ზოლზე, გაზონებზე და ფერდობებზე, გურამიშვილის გამზირსა და მის მიმდებარედ არსებულ შუა ზოლზე, სკვერებში, გაზონებში, ფერდობებსა და გამწვანებულ ტერიტორიაზე, ც. დადიანის, თ. ერისთავის, ქ.-ებზე და მათ მიმდებარედ არსებულ სკვერებში, გაზონებზე, ფერდობებზე და გამწვანებულ ტერიტორიაზე, აღმაშენებლის გამზ. (ცაბაძის ქუჩიდან ბოლომდე), მარჯანიშვილის მოედანზე - არსებულ სკვერებში, თარგებში და გამწვანებულ ტერიტორიებზე, დ. აღმაშენებლის N127-თან არსებულ ჯანსუღ კახიძის სახელობის (გოფილექტი) სკვერებში, აღმაშენებლის გამზ. N105-ის მიმდებარედ არსებულ ბაღში (არტოს ბაღი), თამარ მეფის გაზ. (ვაგზლის მოედნიდან თამარ მეფის ხიდამდე), ხვამლის. ქ.-ისა და მიმდებარე ტერიტორიებზე არსებულ სკვერებში და გამწვანებულ ტერიტორიებზე, ზაარბრუკენის მოედანზე და უზნაძის ქ. N2-ის მიმდებარედ არსებულ კლუმბებზე და ქუჩის გამწვანებულ ტერიტორიაზე, რობაქიძის გამზირზე (დიდუბის გამგეობიდან დ.აღმაშენებლის ძეგლამდე ორივე მხარე) არსებულ სკვერებში და გამწვანებულ ტერიტორიებზე, "ტექსელი"-ს სკვერში, კლუბ დინამოს საწვრთვნელი ბაზის წინ არსებულ სკვერებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ გამწვანებაზე, მაიაკოვსკის სახელობის სკვერში, წერეთლის გამზირზე არსებულ სკვერებში და გამწვანებულ ტერიტორიებზე (გარდა შალიკაშვილის სახელობის ხიდის მიდებარე ტერიტორიისა, წერეთლის გამზირის 55 და 78 მიმდებარედ არსებული სკვერებისა), გლდანი-ნაძალადევის პოლიციის I განყოფილების ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე გამწვანებულ თარგებზე, ლოტკინის დასახლება გლდანი-ნაძალადევის პოლიციის V განყოფილების ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე გამწვანებულ თარგებში (სამღერეთის ქ. 25), პოლიციის IV განყოფილება (ავჭალის დასახლება ლიბანის ქ. N25) გამწვანებული თარგებში, პოლიციის III განყოფილება (ნორიოს აღმართი N54ა) გამწვანებული თარგებში, გლდანი-ნაძალადევის პოლიციის VI განყოფილების ადმინისტრციული შენობის მიმდებარე გამწვანებულ თარგებში, პოლიციის რაიონული სამმართველოს (დ. გურამიშვილის გამზირი N7ა) გამწვანებულ თარგებში,პოლიციის I განყოფილების (დიღმის მასივი II კვარტალი, Vა კორპუსი) გამწვანებულ თარგებში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიციის მთავარი სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე გამწვანებულ თარგებში (მეტრო „წერეთელი"), გლდანი-ნაძალადევის პოლიციის II განყოფილების ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე გამწვანებულ თარგებში (ქერჩის ქ. N6), გლდანი-ნაძალადევის პოლიციის IX განყოფილების ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე გამწვანებული თარგებში (დადიანის ქ.), ვაზისუბნის I მ/რ-ნი, ისანი-სამგორის რაიონის სამმართველოს პოლიციის II განყოფილების ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე, ისანი-სამგორის რ–ნის პოლიციის რაიონული სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიზე (მოსკოვის გამზ N14), ვარკეთილის დასახლების III მ/რ-ნი. რაიონის პოლიციის VIII განყოფილების ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე, თბილისის საერთაშორისო აეროპორტთან მდებარე ტერიტორიაზე პოლიციის VI განყოფილების მიმდებარედ არსებულ გამწვანებულ ტერიტორიაზე, მთავარი სამმართველოს ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის III განყოფილების ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ (ბოგდან ხმელნიცკის ქ.) მწვანე თარგებში, მთავარი სამმართველოს ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის V განყოფილების ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ (მოსკოვის გამზირის ბოლო) მწვანე თარგებში, ვაკე-საბურთალოს რ-ნის პოლიციის III განყოფილების (ნუცუბიძის I მ/რ-ნი, I კვარტალი) გამწვანებული თარგები, ვაკე-საბურთალოს რ-ნის პოლიციის რაიონული სამმართველოს (მ. კოსტავას ქ. N68) გამწვანებული თარგებში, თაბუკაშვილის ქ-ზე ძველი თბილისის რ-ნის პოლიციის სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ გამწვანებულ თარგებში, ბუშის ქუჩაზე და კახეთის გზაკეცილზე, შსს-ს მიმდებარე პარკში, ალ. წულიკიძის ქ.-სთან და კოსმონავტის სკვერებში, მონუმენტი „ადამიანი და მზე„-ს მიმდებარედ და მონუმენტიდან თბილისის საერთაშორისო აეროპორტამდე არსებულ გამწვანებულ ტერიტორიებზე (შუა და გვერდითა ზოლები), მარცხენა სანაპირო, ბერი გაბრიელ სალოსის მოედნიდან მეტეხის გვირაბამდე გამწვანებულ ტერიტორიებზე, მარცხენა სანაპირო მეტეხის გვირაბიდან მინდელის ხიდამდე მიმდებარე გამწვანებულ ტერიტორიებზე, ხეთაგუროვის ქუჩასა და სანაპიროს შორის არსებულ სკვერში, გელოვანისა და რობაქიძის გამზირების გადაკვეთაზე, გელოვანის გამზირის შუა ზოლზე, ფერდობებზე, ბელიაშვილის ქუჩიდან (მარჯვენა, მარცხენა მხარე) დიდუბის ხიდამდე არსებულ გამწვანებაზე, ბაქრაძის ქუჩის შუა გამყოფ ზოლში და მარჯვენა მხარე გელოვანის მოედნამდე, გელოვანის მოედნის მიმდებარე ფერდობზე, გელოვანის მოედნიდან გოთუას აღმართის ფერდობზე და პლატოზე, გაგარინის ქ-ის დაღმართის მარჯვენა მხარე თამარ მეფის ხიდამდე არსებულ გამწვანებაზე, დ. აღმაშენებლის ხეივნის განაპირა ზოლზე და მიმდებარედ არსებულ გამწვანებულ ტერიტორიებზე ზაჰესის ხიდიდან დ. აღმაშენებლის ძეგლამდე, მარშალ გელოვანის გამზირზე,

თბილისის შსს სამმართველოს მიმდებარე გამწვანებულ ტერიტორიაზე, დაბა წყნეთში, ხუდადოვის ქუჩის ორივე მხარეს არსებულ გამწვანებულ ზოლებზე, ხუდადოვის ქუჩის მიმდებარედ არსებულ გამწვანებულ ტერიტორიაზე (ხუდადოვის ტყე), თბილისის წყალსაცავის ირგვლივ გზატკეცილის განაპირა გამწვანებულ ზოლებსა და ფერდობებზე, ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე ვარკეთილის მხარეს ახლად გაშენებულ კორომზე (სასტუმრო ჰოთელს & პრეფერენს ჰუალინგ თბილისი მიმდებად), მ. კოსტავას N71-ის მიმდებარედ სკვერში, ს. ცინცაძისა და ვ. და ა. ასათიანების ქუჩებს შორის არსებულ ტერიტორიებზე, ორბელიანის სკვერის მიმდებარედ (ხაზინის, ფხოვის, ფურცელაძის, ვეკუას, ათონელის ქუჩები) არსებულ ქოთნებში, უნივერსიტეტის ქუჩაზე (ხე-მცენარეები), გამწვანებული ზოლი ვახუშტის ხიდის მიმდებარე უსაფრთხოების კუნძულზე, გამწვანებულ ზოლში საცურაო კომპლექს ,,ლაგუნას" წინ არსებული პანდუსის წინ მოწყობილ უსაფრთხოების კუნძულებზე, მარჯვენა სანაპიროზე, საცხოვრებელი კომპლექსი ,,ქინგ დევიდთან" არსებულ უსაფრთხოების კუნძულზე, გამწვანებული ზოლის მეტრო-სადგურ ვარკეთილის წინ მოწყობილ უსაფრთხოების კუნძულებზე, ჯავახეთისა და ვ. კუპრაძის ქუჩებს შორის არსებულ შუა გამყოფ გამწვანებულ ზოლზე, უნივერსიტეტის ქუჩასა (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ე.წ. მაღლივი კორპუსი) და წყნეთის გზატკეცილს (ამავე უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელი) შორის არსებულ ხიდზე, ბარათაშვილის ქ.-ის ორივე მხარეს, შუა გამყოფ ზოლზე და მიმდებარედ (ორივე მხარეს) არსებულ გამწვანებულ ტერიტორიაზე, ორბელიანის მოედანზე არსებულ ორბელიანის სახელობის სკვერში, თავისუფლების მოედანზე არსებულ ,,პუშკინი"-ს სკვერში, წმ. გიორგის მონუმენტის ირგვლივ და ქ. თბილისის საკრებულოს წინ არსებულ გამწვანებაზე, რუსთაველის გამზ. N10 (I საჯ. სკოლა) არსებულ სკვერში, თავისუფლების მოედნიდან რუსთაველის გამზ. N37-ის ჩათვლით არსებულ გამწვანებაზე (მათ შორის გამზირზე არსებული ზეთის ხილის ხე), კრწანისის ქ. N7ა-ს მიმდებარედ არსებული სკვერში, პოლიციის II განყოფილების (ა. წერეთლის გამზირი N115) გამწვანებულ თარგში, პოლიციის IX განყოფილების შენობის მიმდებარე გამწვანებულ თარგებში (ქვემო ფონიჭალა კორპ. N4) გორგასლის ქუჩა N83ა-დან გზატკეცილის მარჯვენა და მარცხენა გამწვანებულ ზოლებზე მარნეულის გზატკეცილამდე, რუსთავის და მარნეულის გზატკეცილების გასაყარიდან მარჯვენა და მარცხენა მწვანე ზოლზე, სოფელ ფონიჭალამდე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, თამარ მეფის ხიდიდან გულიას მოედნის ჩათვლით მარჯვენა სანაპიროზე, მარჯანიშვილის ხიდიდან მონუმენტი ,,ვეფხვი და მოყმისს" ჩათვლით გამწვანებულ ზოლზე, ვახუშტის ხიდის მიმდებარე უსაფრთხოების კუნძულზე, რეხის ქ. N1-ის მიმდებარე ტერიტორიაზე (გადმოცემული ნერგი), ბალანჩინის ქუჩაზე (გადმოცემული ნერგები), მირიან მეფის ქუჩაზე (გადმოცემული ნერგები), გლდანულაში (გადმოცემული ნერგები), დუმბაძის ქუჩაზე (გადმოცემული ნერგები), გლდანი, მე-3 მ/რ-ნში N7-9 კორპუსებს შორის არსებულ ტერიტორიაზე (გადმოცემული ნერგები), ხიზანიშვილის ქუჩაზე (გადმოცემული ნერგები), ზაჰესში მაღაზია "ზღაპარის-ს მიმდებარე ტერიტორიაზე (გადმოცემული ნერგები), მაჭავარიანის ქუჩისა და გოძიაშვილის შესახვევში (გადმოცემული ნერგები), აბაშიძის ქუჩაზე (გადმოცემული ნერგები), ამაღლობელის ქუჩაზე (გადმოცემული ნერგები), წყნეთში, რუსთაველის ქუჩაზე (გადმოცემული ნერგები), წყნეთში, ქეთევან წამებულის ქ. N2-ის მიმდებარე ტეტრიტორიაზე (გადმოცემული ნერგები), ელიავას ბაზრობის (ვახუშტის ხიდი) მიმდებარედ (გადმოცემული ნერგები), ვ. ბაგრატიონის ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე, შუა გამყოფ ზოლზე (გადმოცემული ნერგები), მიხეილ ჭიაურელის ქუჩაზე (ყოფილი ლუბლიანას) N8-ის მიმდებარედ (გადმოცემული ნერგები), ლუბლიანას ქუჩაზე (გადმოცემული ნერგები), ვაშლიჯვარში გოძიაშვილის მე-2 შესახვევი (გადმოცემული ნერგები), გოძიაშვილის პარკის მიმდებარედ (52 საჯარო სკოლა)(გადმოცემული ნერგები), ზაქარიაძის ქუჩაზე (გადმოცემული ნერგები), გაგარინის მოედანსა და პეკინის ქუჩებს შორის შუა გამყოფ ზოლზე (გადმოცემული ნერგები), ჩოლოყაშვილისა და ბახტრიონის ქუჩების კვეთაზე (გადმოცემული ნერგები), ბახტრიონის ქუჩაზე (გადმოცემული ნერგები), ცინცაძე-კარტოზიას ქუჩების კვეთაზე (გადმოცემული ნერგები), ჩხიკვაძის ქუჩაზე (ჩხიკვაძისა და ნუცუბიძის კუთხე 2, მე-3მ/რ-ნში და მე-2 კვარტალში, სკოლის მიმდებარედ (გადმოცემული ნერგები), ჩხიკვაძისა და დათუაშვილის ქუჩების კვეთაზე (გადმოცემული ნერგები), ნუცუბიძის I მ/რ-ნსა და მე-9 კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე (გადმოცემული ნერგები), ქავთარაძის ქუჩაზე (გადმოცემული ნერგები), ი.ბერიტაშვილის ქუჩაზე (გადმოცემული ნერგები), ძმები ზალდასტანიშვილების ქ. N16 -ზე (გადმოცემული ნერგები), დიდი დიღმისა და სოფელ დიღმის გამყოფ ქედზე, საბურთალოს ქუჩაზე (გადმოცემული ნერგები), ნუცუბიძე ვაშლიჯვარის გზაზე (გადმოცემული ნერგები), ჟღენტის ქუჩაზე (გადმოცემული ნერგები), ნუცუბიძის ასახვევში (გადმოცემული ნერგები), ი. ვაკელის (რესპ, საავადმყოფოს) და ბუდაპეშტის ქუჩის კუთხეში (გადმოცემული ნერგები), ლევილის სანაპიროზე (გადმოცემული ნერგები), ქ.წამებულის და მოსკოვის გამზირზე (გადმოცემული ნერგები), წურწუმიას სკვერში (გადმოცემული ნერგები), გაბრიელ სალოსის გამზირის N160-ის მიმდებარედ არსებულ სკვერში და სკვერში არსებულ (გადმოცემული) ნერგებში, გაბრიელ სალოსის გამზირზე N49-47-ის მიმდებარედ (გადმოცემული ნერგები), თავისუფალი თეატრის მიმდებარედ

(გადმოცემული ნერგები), მაყაშვილის N22-ში (გადმოცემული ნერგები), ახვლედიანის ქუჩაზე (გადმოცემული ნერგები), საბურთალოს სასაფლაოს ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე (ხე-მცენარე), მანდელშტამის ქუჩაზე (ხე-მცენარეები), ფეიქართა ქუჩაზე (ხე-მცენარეები), თავდაცვის სამინისტროსთან (ხე-მცენარეები), შანიძის ქუჩაზე (ხე-მცენარეები), იოთამ ზედგინიძის ქუჩაზე (ხე-მცენარეები), შანდორ პეტეფის ქუჩაზე (ხე-მცენარეები), ჩანტლაძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე (ხე-მცენარეები), მ. თამარაშვილის გამზირზე, 13 ივნისის სახელობის სკვერში და მის მიმდებარედ არსებულ ხე-მცენარეებზე, ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის მიმდებარედ არსებულ გამწვანებაზე, ვაკის სასაფლაოს მიმდებარედ არსებულ გამწვანებულ ზოლზე და ხე-მცენარეებში, ქერჩის ქუჩაზე (გლდანის გამგეობიდან პოლიციის აკადემიის გადასახვევამდე), გლდანის გამგეობის წინ არსებულ საყვავილე თარგებში და გამწვანებულ თარგებში, ვაკის პარკის მიმდებარედ ტერიტორიაზე, შევჩენკოს სახელობის სკვერში, მარჯვენა სანაპირო ბარათაშვილის ხიდიდან გმირთა მოედნამდე არსებულ გამწვანებაზე, სახელმწიფო კანცელარიის წინ არსებულ გამწვანებაზე, ბარათაშვლის ხიდთან არსებულ გამწვანებულ ფერდობზე, მოსკოვის გამზირზე სკვერში სატანკო ქარხნის მიმდებარედ, ჯავახეთის ქუჩა შუა გამყოფ ზოლში მოსკოვის გამზირიდან „რომპეტროლი"-ს ბენზინ გასამართ სადგურამდე, თბილისი-რუსთავის ავტობანზე ორთაჭალის სადგურიდან რუსთავი-მარნეულის გასაყარამდე, გორგასლის ქუჩაზე არსებულ დიდების ხეივანზე (ხე-მცენარეები), მარჯვენა სანაპიროსა და უჯარმელის ქუჩის კვეთაზე (სასტუმრო ამბასადორის" მ/ტ.), კანდელაკის ქუჩაზე (გადმოცემული ნერგები), კანდელაკის ქუჩაზე გამწვანებულ ტერიტორიაზე, გ. ბრწყინვალეს ქუჩაზე (გადმოცემული ნერგი), ამერიკის საელჩოს წინ არსებულ შუა გამყოფ ზოლზე, ისნის ფერდობზე, ორხევის დასახლება, ახვლედიანის ქუჩის მიმდებარედ არსებულ სკვერში, მარცხენა სანაპირო თამარ მეფის ხიდთან არსებულ გამწვანებულ კუნძულებზე, თამარ მეფის ხიდიდან ბარათაშვილის ხიდამდე, მარნეულის გზატკეცილის დასაწყისიდან შუა, მარჯვენა და მარცხენა მწვანე ზოლებზე, მიცკევიჩის ქუჩაზე, ხომლელის ქუჩაზე (გადმოცემული ნერგები), სამხედრო ქალაქის მიმდებარედ არსებულ სკვერში, აღმაშენებლის ხეივანზე, აღმაშენებლის ძეგლის მიმდებარედ არსებულ გამწვანებაზე, ბაქრაძის ქუჩაზე დიდუბის გამგეობისა და ეკლესიის უკანა ფერდობებზე, ლევილის სანაპიროს დასაწყისთან არსებულ მოედანზე, სპორტ კომპლექს „ოლიმპი"-ს მიმდებარედ არსებულ სკვერში, ევროპის ქუჩაზე, ლონდონის სკვერში, გახოკიძის ქუჩაზე, სიმონ ჩიქოვანის N4-ის მიმდებარედ არსებულ სკვერში, რუსთაველის გამზირზე პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე, ამაშუკელისა და მაჭავარიანის კვეთაზე, მუსხელიშვილის სახელობის სკვერში, ბენზინგასამართ "სოკართან" არსებულ მოედანზე, ფეიქართა ქუჩაზე ფეიქრების N2 და N66-თან არსებულ გამწვანებულ კუნძულებზე და ხე-მცენარეებზე, 26 მაისის მოედანზე, მეტრო სადგურ ნაძალადევის მიმდებარედ სკვერში, ჭავჭავაძის გამზირზე რუსეთის საელჩოს მიმდებარედ, ჭავჭავაძის გამზირზე გალაკტიონ ტაბიძის სახელობის სკვერში, გურამიშვილის გამზირზე საჯარო სკოლა N141-ის მიმდებარედ სკვერში, მთაწმინდის ნახანძრალ ფერდობზე, ვ. კუპრაძის ქუჩის პატარა წრიულზე, გუმათჰესის ქუჩაზე, მირიან მეფის ქუჩაზე, წყალსადენის ქუჩის დასაწყისში არსებული კუნძულზე, გახოკიძის ქუჩის დასაწყისში უსაფრთხოების კუნძულებზე (ისთ ფოინთის მიმდებარე ტერიტორია), ვარკეთილში - ჯავახეთის (მოსკოვის გამზირიდან ბოლომდე), ალექსიძის, თაყაიშვილის, სუხიშვილის, ერთიანობისათვის მებრძოლთა ქუჩებზე არსებულ გამწვანებაზე (მცენარეები, თარგები და ფერდობები) და N176[ბ] ბაღის მიმდებარედ, I მ/რ-ნში N2 (მედიათეკასთან), III მ/რ-ნი (პოლიციასთან), და ილ. სუხიშვილის სახ. სკვერებში, კაკლიანის ქუჩაზე არსებული სამკუთხედი და მრგვალი თარგებში, მარჯანიშვილისა და უ.ჩხეიძის ქუჩების კვეთაზე არსებულ მრგვალ თარგში, წერეთლის სახელობის სკვერში, ვარკეთილის 3 მე-4 მ/რ-ნში კორპუსის N420-ის მიმდებარედ სკვერში, მონუმენტი „ვეფხვი და მოყმის" მიმდებარედ არსებულ კუნძულზე, გლდანის ხიდებთან არსებულ სამკუთხედ გამწვანებული კუნძულზე, ქორწინების სახლის მიმდებარედ გამწვანებულ ტერიტორიაზე, გელოვანის სახელობის სკვერში, ბუხაძის ქუჩაზე არსებულ გამწვანებულ კუნძულებზე, ზ. ფანასკერტელ-ციციშვილის ქ. N11-ის მიმდებარედ სარეკრეაციო სივრცეში, ნიცუბიძის პლატოზე ბესარიონ ჟღენტის ქუჩაზე არსებულ ფერდობზე, თაყაიშვილის ქუჩაზე N319 კორპუსის მიმდებარედ სკვერში.

7. ანასხლავი ტოტის გადამუშავების შედეგად მიღებული იქნა 99.5მ^3 მზა კომპოსტი და 374.55 მ^3 ნახევარფაბრიკატი კომპოსტი.

წარმოებული იქნა 96,75 მ^3 მზა მულჩი და 295,48^3 წითელი მულჩი (აღნიშნული თითქმის სრულად შეტანილი იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ლოკაციაზე).

ზემოაღნიშნულის შედეგად, 2021 წელს კიდევ უფრო მეტად ამაღლდა პარკების, გამწვანებული ზონების მოვლა-პატრონობის და შადრევნების და სოკოს ფორმის სასმელი წყაროების ექსპლუატაციის ხარისხი.


სოციალური და დასაქმების საკითხები


შესასრულებელი პროექტების და საწარმოს წარმატებით ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია კომპანიაში დასაქმებული პერსონალი. პერსონალთან მუშაობა იწყება მიღების დღიდან. პირველ რიგში ვაცნობთ საწარმოს შინაგანაწესს, თანამდებობრივ ინსტრუქციას, უსაფრთხოების წესებს და სამსახურში მიღება ხდება გამოსაცდელი ვადით. თანამშრომლებისთვის გვაქვს კორპორაციული დაზღვევა, რომელიც ითვალისწინებს გაცილებით შეღავათიან პირობებს, ვიდრე ჩვეულებრივი ფიზიკური პირებისთვის. მკაცრად ხდება შრომის კოდექსით მოთხოვნილი პირობების დაცვა. დასაქმებულს მოეთხოვება მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, მისი დარღვევისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობა განსაზღვრულია გაფრთხილებიდან განთავისუფლებამდე. შინაგანაწესით ასევე განსაზღვრულია წახალისების შემდეგი სახეები: ა) მადლობის გამოცხადება (პირად საქმეში შეტანით); ბ) ფულადი ჯილდოს მიცემა ან/და ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; გ) 10 (ათი) სამუშაო დღემდე ვადით დამატებითი ანაზღაურებადი შვებულების მიცემა; დ) დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნა.

კომპანია უზრუნველყოფს, თანამშრომლებისთვის სისტემატიურ ყოველთვიურ ანაზღაურებას, მათი შრომისუნარიანობისა და კვალიფიკაციის ზრდას.

კომპანიის მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე დასაქმებულთა უმეტესი რაოდენობა მამრობითი სქესის წარმომადგენელია, თუმცა აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციაში არ ხდება გენდერული ნიშნით კადრების დასაქმება. რადგან ორგანიზაციის სისტემაში მიუღებელია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია კადრების შერჩევისას, სამუშაო ადგილზე, თუ ორგანიზაციის საქმიანობის განხორციელებისას, დისკრიმინაცია, რომელიც შეიძლება გამოხატული იყოს უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების შეზღუდვით, მათ შორის გენდერული ნიშნით.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში დასაქმებულთა საერთო რაოდენობა შეადგენდა 635 ერთეულს, მათ შორის კაცი - 567; ქალი: 68





აღსანიშნავია, რომ დამფაუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე, 2022 წლის 01 იანვრიდან გაზრდილი იქნა კომპანიაში დასაქმებულთა შრომის ანაზღურება (საშუალოდ 10%ის ოდენობით).

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	4,114,333	2,646,206
უფლება უზრუფრუქტით მიღებულ ქონებაზე	4	4,305,931	4,932,736
არამატერიალური აქტივები		16,570	19,155
სულ გრძელვადიანი აქტივები		**8,436,834**	**7,598,097**
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	5	1,885,725	1,702,881
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	127,738	-
ფული და ფულადი ექვივალენტები	7	3,262,280	2,066,831
სულ მოკლევადიანი აქტივები		**5,275,743**	**3,769,712**
სულ აქტივები		**13,712,577**	**11,367,809**
მფლობელთა კაპიტალი	9	17,213,411	17,213,411
დაგროვილი ზარალი		(12,337,822)	(12,925,327)
გადაფასების რეზერვი		1,724,216	-
კაპიტალი სხვა რეზერვებამდე		**6,599,805**	**4,288,084**
სხვა რეზერვი	9	4,305,931	4,932,736
სულ კაპიტალი		**10,905,736**	**9,220,820**
საგადასახადო ვალდებულება	15	7,299	227,976
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	2,799,542	1,919,013
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**2,806,841**	**2,146,989**
სულ ვალდებულებები		**2,806,841**	**2,146,989**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**13,712,577**	**11,367,809**

მოგება/(ზარალის) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი	10	16,629,887	12,384,429
გამომუშავებული შემოსავლის თვითღირებულება	11	(15,362,417)	(10,566,156)
საერთო მოგება		**1,267,470**	**1,818,273**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	12	(2,058,268)	(3,857,957)
წმინდა ფინანსური შემოსავალი	7	504,238	277,389
წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი	13	865,565	455,378
ზარალი დაბეგვრამდე		**579,005**	**(1,306,917)**
მოგების გადასახადი	14	-	-
წმინდა ზარალი		**579,005**	**(1,306,917)**
სხვა სრული შემოსავლი		1,732,716	-
სულ წლის სრული შემოსავალი		**2,311,721**	**(1,306,917)**

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	მფლობელთა კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	გადაფასების ნამეტი	კაპიტალი სხვა რეზერვამდე	სხვა რეზერვი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის		**17,213,411**	**(11,618,410)**	**-**	**5,595,001**	**3,658,988**	**9,253,989**
წლის სრული შემოსავალი		-	(1,306,917)	-	(1,306,917)	-	(1,306,917)
სხვა რეზერვის ამორტიზაცია	4	-	-	-	-	(474,452)	(474,452)
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	-	-	-
სულ სრული შემოსავალი		-	(1,306,917)	-	(1,306,917)	(474,452)	(1,781,369)
სხვა რეზერვის ზრდა	4	-	-	-	-	1,748,200	1,748,200
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის		**17,213,411**	**(12,925,327)**	**-**	**4,288,084**	**4,932,736**	**9,220,820**
წლის სრული შემოსავალი		-	579,005	-	579,005	-	579,005
სხვა რეზერვის ამორტიზაცია	4	-	-	-	-	(626,805)	(626,805)
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	1,732,716	1,732,716	-	1,732,716
სულ სრული შემოსავალი		-	579,005	1,732,716	2,311,721	(626,805)	1,684,916
გადაფასების ნამეტის აღიარების შეწყვეტა		-	8,500	(8,500)	-	-	-
სხვა რეზერვის ზრდა	4	-	-	-	-	-	-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის		**17,213,411**	**(12,337,822)**	**1,724,216**	**6,599,805**	**4,305,931**	**10,905,736**

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მოგება დაბეგვრამდე		579,005	(1,306,917)
კორექტირებები:		-	
ცვეთისა და ამორტიზაციის დანახარჯები	3	1,095,273	929,376
ძირითადი საშუალების ჩამოწერის ხარჯები	3	3,561	6,760
ძირითადი საშუალების / მარაგების უსასყიდლოდ (მიღება) / გაცემა	3	(218,978)	38,730
უზუფრუქტით მიღებული ქონების უფლების ამორტიზაციის ხარჯი	4	626,805	474,452
ძირ. საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	3	(19,939)	(17,033)
სხვა რეზერვის ამორტიზაცია	4	(626,805)	(474,452)
საპროცენტო შემოსავალი	7	(504,238)	(277,389)
ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:		-	
მარაგების ზრდა		(608,607)	(1,132,817)
ცვლილებები საგადასახადო აქტივში / ვალდებულებაში		(220,677)	916,512
სავაჭრო მოთხოვნების ზრდა		(127,738)	121,986
სავაჭრო ვალდებულებების ზრდა		880,529	993,916
საოპ. საქმ. გამოყენებული ფულადი სახსრები		**858,191**	**273,124**
მიღებული პროცენტები		504,238	277,389
ფულადი სახსრები გენერირებული/(გამოყენებული) საოპერაციო საქმიანობაში		**1,362,429**	**550,513**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		-	
ძირითადი საშუალებების შეძენა	3	(197,568)	(651,098)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	3	30,588	26,898
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		**(166,980)**	**(624,200)**
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		-	-
ფული და ფულის ექვივალენტების წმინდა ზრდა		**1,195,449**	**(73,687)**
ფული და ფულის ექვივალენტები, წლის დასაწყისში 1 იანვარი	7	**2,066,831**	**2,140,518**
საკურსო სხვაობის გავლენა ფულზე და ფულად ექვივალენტებზე		-	-
ფული და ფულის ექვივალენტები, წლის ბოლოს 31 დეკემბერი		**3,262,280**	**2,066,831**

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „ეკოსერვის ჯგუფისთვის“ (ს/კ 404553666) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მერქნული რესურსისა და ბაღის/პარკის ნარჩენების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 02 ნოემბრის N20.1295.1574 განკარგულების საფუძველზე კომპანიას შემდგომი განკარგვის უფლებით, უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცა კომპანიის მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიების მოვლა-პატრონობის შედეგად წარმოქმნილი, ბაღის/პარკის ნარჩენები. კომპანიის მიერ 2021 წელს დაწყებული იქნა ნარჩენების გადამუშავების პროცესი და როგორც ზემოთაც ავღნიშნეთ, გადამუშავების შედეგად მიღებული იქნა 99.5მ^3 მზა კომპოსტი და 374.55 მ^3 ნახევარფაბრიკატი კომპოსტი; წარმოებული იქნა 96,75 მ^3 მზა მულჩი და 295,4მ^3 წითელი მულჩი
მოცემული მომენტისთვისაც კვლავაც აქტიურად მიმდინარეობს კომპანიისთვის გადმოცემული ბაღის/პარკის ნარჩენების გადამუშავება, რის შედეგადაც მიღებული კომპოსტის და მულჩის ნაწილი კომპანიის მიერ გამოყენებული იქნება წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის უზრუნველსაყოფად, ხოლო დარჩენილი ნაწილის რეალიზაცია განხორციელდება დადგენილი წესის შესაბამისად. ზემოაღნიშნულმა თავის მხრივ შეამცირა და მომავალი პერიოდისთვის კიდევ უფრო მეტად შეამცირებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოსაყოფი თანხის მოცულობას.

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესახებ კომპანია ახორციელებს თვითკონტროლსა და თვითმონიტორინგს. მონიტორინგის სისტემა წარმოადგენს გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვებით მიღებული ინფორმაციის ანალიზსა და პროგნოზირების ერთობლიობას.

საწარმოს მიერ მონიტორინგის ორგანიზება წარმოადგენს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

1. საწარმოს ექსპლუატაციის დროს მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულება;
2. რისკების თავიდან აცილება და მოსალოდნელი მავნე ზემოქმედების კონტროლი;
3. დაინტერესებული პირების უზრუნველყოფა სათანადო გარემოსდაცვითი ინფორმაციით;
4. ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა;
5. საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში პერიოდული გარემოსდაცვითი კონტროლი;

როგორც საანგარიშო წლის წინა წლებში, გამუდმებით ვცდილობთ თავიდან ავიცილოთ, მინიმუმამდე შევამციროთ და შევარბილოთ ჩვენი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე. ჩვენ მივმართავთ კონკრეტულ ქმედებებს ბუნებრივი გარემოს დასაცავად, რაც ჩვენი გრძელვადიანი გეგმების ზედმიწევნით შესრულებით და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების ქმედითი ღონისძიებებით გამოიხატება. ვიყენებთ მართვის სისტემურ მიდგომებს გარემოს დაცვის სფეროში. გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემის განხორციელების პასუხისმგებლობა ხელმძღვანელ გუნდს ეკისრება. ჩვენი მიზანია არ მივაყენოთ ზიანი ბუნებას და ჩვენი სამუშაოთი გამოწვეული გარემოზე ზემოქმედება მინიმუმამდე დავიყვანოთ.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის საქმიანობის წარმატებით განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია რისკების მართვა. რისკის მართვის მთავარი ამოცანაა რისკების იდენტიფიკაცია და საპასუხო ღონისძიებების გატარება. რისკის მართვის საშუალებით ვახლენთ პოტენციურ დადებითი თუ უარყოფითი ფაქტორებს, რაც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. სისტემატიურად ხდება რისკის გარემოს შეფასება და ანალიზი, საპასუხო ღონისძიებების დაგეგმვა/გატარება და მონიტორინგი.
ავტოსატრანსპორტო საშუალებების განადგურება/დაზიანების რისკების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში დაზღვევულია კომპანიის საკუთრებაში არსებული ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალება (მათ შორის სპეც ტექნიკა).
მნიშვნელოვან რისკ ფაქტორს წარმოადგენს სპეც. ტექნიკის მწყობრიდან გამოსვლა, რაც იწვევს სამუშაო პროცესის შეჩერებას და ფინანსურ დანაკარგებს, აღნიშნული რისკის შესამცირებლად:

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შესყიდული გვაქვს კომპანიის ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების/სპეც ტექნიკის შეკეთება/ტექნიკური მომსახურება, რის შედეგადაც მაქსიმალურად ოპერატიულ ვადებში ხორციელდება დაზიანებული ტექნიკის შეკეთება;
2. პერიოდულად ვახდენთ მწყობრიდან გამოსული მექანიზმის ჩანაცვლებას.

სხვადასხვა მარაგების და ფასეულობების დაკარგვის და არამიზნობრივი ხარჯვის თავიდან არიდების უზრუნველყოფის მიზნით ტარდება მთელი რიგი ღონისძიებები, კერძოდ:

1. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება ძირითადი საშუალებების და მარაგების ინვენტარიზაცია;
2. ხორციელდება სატრანსპორტო საშუალებებზე/სპეც. ტექნიკაზე საგზაო მოძრაობის მონიტორინგი (GPS მონიტორინგი);
3. კომპანიის საწყობში და საწყობის ეზოში დაყენებულია სამელთვალყურეო IP კამერები, რომლითაც კონტროლდება სრულად შიდა და გარე ტერიტორია (მათ შორის სპეციალური ტექნიკის ავტოსადგომი).
4. კომპანიის მიერ დადგენილი და გაწერილია მარაგების გახარჯვის პროცედურები (მათ შორის საწყობიდან გატანისა და გატანის შემდგომ პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის) და გახარჯული მარაგების ჩამოწერის სპეციალური ფორმები, რის შედეგადაც მინიმუმამდეა დაყვანილი მუშა პროცესში სასაქონლო მატერიალური ფასეულეობების/მარაგების დატაცება და არამიზნობრივი ხარჯვა.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კომპანიაში დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოების საკითხებს, არსებულ და მოსალოდნელ საფრთხეებს, უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების თავიდან აცილებას, დასაქმებულთა სწავლებას, მათთვის ინფორმაციის მიწოდებასა და კონსულტაციის გაწევას და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებში დასაქმებულთა თანაბარ მონაწილეობას. აღნიშნულის დასტურად შეგვიძლია მოვიყვანოთ შემდეგი:

1. კომპანიაში შექმნილია სტრუქტურული ერთეული-ინსპექტირების, მონიტორინგისა და შრომის უსაფრთხოების სამსახური, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა შრომის უსაფრთხოების ორგანიზება და მართვა, შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევის პრევენცია, შრომის უსაფრთხოების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი მარეგულირებელი ნორმებისა და წესების შესაბამისი სტანდარტების შემუშავება, გადასინჯვა და კომპანიაში დანერგვა;
2. კომპანიის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა“; „შრომის უსაფრთხოების ინსტრუქცია ადმინისტრაციული პერსონალისთვის“; „შრომის უსაფრთხოების ინსტრუქცია სიმაღლეზე მომუშავე პერსონალისთვის“; „ხის დამაქუცმაცებელი დანადგარითა და ბეტონის შემრევი მექანიზმით მომუშავე პერსონალისთვის შრომის უსაფრთხოების ინსტრუქცია“, „შრომის უსაფრთხოების ინსტრუქცია ძრავიანი მცირე მექანიზმებით მუშაობისას“ და „შრომის უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები დასაქმებულთათვის“, რომლებშიც დეტალურადაა გაწერილი როგორც მუშა პროცესის წინ, ასევე მუშა პროცესის დროს და დასრულების შემდეგ განსახორციელებელი ქმედებები.
3. კომპანიაში დასაქმებული არიან შრომის უსაფრთხოების საკითხებში დატრენინგებული თანამშრომლები (ტრენინგი გავლილი აქვთ შემდეგ თემატიკაზე: შრომის უსაფრთხოების საკანონმდებლო მოთხოვნების მიმოხილვა; შრომის უსაფრთხოება და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის (მათ შორის ჟურნალების); წარმოება; სამუშაო ადგილზე სამუშაო აღჭურვილობის (მათ შორის მანქანა დანადგარების და სამუშაო ტექნიკის) გამოყენება.; უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული მინიმალური მოთხოვნები; სახანძრო უსაფრთხოება და საგანგებო მდგომარეობა; პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა; რისკების შეფასება სამუშაო ადგილზე (მათ შორის - საფრთხეების იდენტიფიცირება და ინციდენტების რეპორტირება); ქიმიური ნივთიერებების უსაფრთხო გამოყენება; ელექტროუსაფრთხოება; ხელით შესასრლებელი სამუშაოების მინიმალური მოთხოვნები; სიმაღლეზე მუშაობა საერთაშორისოდ

აღიარებული სასწავლო მოდულების შესაბამისად; უბედური და საშიში შემთხვევა და პერსონალის ქცევის წესი საწარმოო ტრავმის შემთხვევაში).

4. არსებული რელობის გათვალისწინებით, ასევე მნიშვნელოვან რისკ ფაქტორს წარმოადგენს ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად კომპანიის დირექტორის მიერ გამოცემულია შემდეგი ბრძანებები: „ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღსაკვეთად საჭირო ღონისძიებების განხორციელების შესახებ“ 2020 წლის 13 მარტის №68.01200738 ბრძანება; „შვებულებისა და განთავისუფლების შესახებ განცხადებების დაწერის დროებითი წესის შესახებ“ 2020 წლის 02 აპრილის №68.01200933 ბრძანება და „პირბადის ტარებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის კონტროლთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ 2020 წლის 15 ივნისის №68.01201671 ბრძანება; ხსენებულ ბრძანებებში დეტალურადაა გაწერილი მთელი რიგი პრევენციული პროცედურები, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების რისკებს.

„ეკოსერვის ჯგუფი“
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
31 დეკემბერი 2021

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა_____ 1-3

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება _____ 4

მოგება/(ზარალის) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება _____ 5

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება _____ 6

ფულადი ნაკადების ანგარიშგება_____ 7

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები_____ 8-31

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ეკოსერვის ჯგუფის“ მფლობელებს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ეკოსერვის ჯგუფის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი ანგარიშის პირობითი მოსაზრების საფუძველის თავში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად („ფასს სტანდარტები“).

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2020 წელს კომპანიაში სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ მიერ ჩატარდა საგადასახადო შემოწმება, რომლის შედეგადაც გამოვლინდა ფაქტი, რომ 2,260,294 ლარის ღირებულების დამატებული ღირებულების გადასახადი არ იყო აღრიცხული საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, რის გამოც შეცდომით არის აღიარებული მარაგებისა და ძირითადი საშუალებების შეძენები და დასაბეგრი ადმინისტრაციული ხარჯები 2018 წლიდან 2020 წლის ჩათვლით საანგარიშგებო პერიოდში. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტ 8 – „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“-ს („ბასს 8“) შესაბამისად, აღნიშნული შეცდომა უნდა გასწორებულიყო რეტროსპექტიულად, თუმცა, ნაცვლად ამისა, კომპანიამ კუმულატიური ეფექტი 2,260,294 ლარის ოდენობით აღიარა 2020 წელს შესადარისი მონაცემების კორექტირების გარეშე, რაც წინააღმდეგობაშია ბუღალტრული აღრიცხვის ზემოთხსენებულ სტანდარტთან. კომპანიას, რომ განეხორციელებინა აღნიშნული კორექტირება, ძირითადი საშუალებებისა და მარაგებისა ნაშთები, ასევე მათთან დაკავშირებული მოგება/(ზარალისა) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების ელემენტები და დაბეგვრადი ხარჯები იქნებოდა წარდგენილისაგან განსხვავებული. ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა აღნიშნული გადასახადის ეფექტი ზემოთ მოცემულ ფინანსური ანგარიშგების ელემენტებზე, შესაბამისად, ჩვენი მოსაზრება იყო მოდიფიცირებული აღნიშნული ფაქტის გამო. მიმდინარე და შესადარის მონაცემებზე აღნიშნული ფაქტის შესაძლო გავლენა კვლავ წარმოადგენს ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირების საფუძველს.

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესსს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესსს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია 2021 წლის მმართველობის ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე (სხვა ინფორმაციაზე).

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ჩვენ შევასრულეთ გარკვეული პროცედურები, რაც საჭიროა მმართველობის ანგარიშის შესაბამისობის შესახებ დასკვნის შესადგენად, „საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–7 მუხლის მე–6 პუნქტთან დაკავშირებით და ანგარიში ამ საკითხთან დაკავშირებით გამოვეცით ცალკე წერილით, რომელიც თარიღდება 2022 წლის 15 აპრილით.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

კომპანიის აქციონერებს სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

15 აპრილი, 2022

არესემ საქართველო

გარიგების პარტნიორი : პაატა ჩუბინიძე

შპს „ეკოსერვის ჯგუფი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	4,114,333	2,646,206
უფლება უზურფრუქტით მიღებულ ქონებაზე	4	4,305,931	4,932,736
არამატერიალური აქტივები		16,570	19,155
სულ გრძელვადიანი აქტივები		**8,436,834**	**7,598,097**
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	5	1,885,725	1,702,881
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	127,738	-
ფული და ფულადი ექვივალენტები	7	3,262,280	2,066,831
სულ მოკლევადიანი აქტივები		**5,275,743**	**3,769,712**
სულ აქტივები		**13,712,577**	**11,367,809**
მფლობელთა კაპიტალი	9	17,213,411	17,213,411
დაგროვილი ზარალი		(12,337,822)	(12,925,327)
გადაფასების რეზერვი		1,724,216	-
კაპიტალი სხვა რეზერვებამდე		**6,599,805**	**4,288,084**
სხვა რეზერვი	9	4,305,931	4,932,736
სულ კაპიტალი		**10,905,736**	**9,220,820**
საგადასახადო ვალდებულება	15	7,299	227,976
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	2,799,542	1,919,013
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**2,806,841**	**2,146,989**
სულ ვალდებულებები		**2,806,841**	**2,146,989**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**13,712,577**	**11,367,809**

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2022 წლის 15 აპრილს.

დირექტორი	ვახტანგ ნოზაძე	_____
მთავარი ბუღალტერი	შალვა შოშიაშვილი	_____

შპს „ეკოსერვის ჯგუფი“
მოგება/(ზარალის) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

ლარი	**შენიშვნა**	**2021**	**2020**
შემოსავალი	10	16,629,887	12,384,429
გამომუშავებული შემოსავლის თვითღირებულება	11	(15,362,417)	(10,566,156)
საერთო მოგება		**1,267,470**	**1,818,273**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	12	(2,058,268)	(3,857,957)
წმინდა ფინანსური შემოსავალი	7	504,238	277,389
წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი	13	865,565	455,378
ზარალი დაბეგვრამდე		**579,005**	**(1,306,917)**
მოგების გადასახადი	14		-
წმინდა ზარალი		**579,005**	**(1,306,917)**
სხვა სრული შემოსავლი		1,732,716	-
სულ წლის სრული შემოსავალი		**2,311,721**	**(1,306,917)**

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2022 წლის 15 აპრილს.

დირექტორი	ვახტანგ ნოზაძე	_____
მთავარი ბუღალტერი	შალვა შოშიაშვილი	_____

შპს „ეკოსერვის ჯგუფი“
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ათას ქართულ ლარში

ლარი	შენიშვნა	მფლობელთა კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	გადაფასების ნამეტი	კაპიტალი სხვა რეზერვამდე	სხვა რეზერვი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის		**17,213,411**	**(11,618,410)**	**-**	**5,595,001**	**3,658,988**	**9,253,989**
წლის სრული შემოსავალი		-	(1,306,917)	-	(1,306,917)	-	(1,306,917)
სხვა რეზერვის ამორტიზაცია	4	-	-	-	-	(474,452)	(474,452)
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	-	-	-
სულ სრული შემოსავალი		-	(1,306,917)	-	(1,306,917)	(474,452)	(1,781,369)
სხვა რეზერვის ზრდა	4	-	-	-	-	1,748,200	1,748,200
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის		**17,213,411**	**(12,925,327)**	**-**	**4,288,084**	**4,932,736**	**9,220,820**
წლის სრული შემოსავალი		-	579,005	-	579,005	-	579,005
სხვა რეზერვის ამორტიზაცია	4	-	-	-	-	(626,805)	(626,805)
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	1,732,716	1,732,716	-	1,732,716
სულ სრული შემოსავალი		-	579,005	1,732,716	2,311,721	(626,805)	1,684,916
გადაფასების ნამეტის აღიარების შეწყვეტა		-	8,500	(8,500)	-	-	-
სხვა რეზერვის ზრდა	4	-	-	-	-	-	-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის		**17,213,411**	**(12,337,822)**	**1,724,216**	**6,599,805**	**4,305,931**	**10,905,736**

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2022 წლის 15 აპრილს.

დირექტორი	ვახტანგ ნოზაძე	_____
მთავარი ბუღალტერი	შალვა შოშიაშვილი	_____

შპს „ეკოსერვის ჯგუფი“
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

ლარი	შენიშვნა	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მოგება დაბეგვრამდე		579,005	(1,306,917)
კორექტირებები:		-	
ცვეთისა და ამორტიზაციის დანახარჯები	3	1,095,273	929,376
ძირითადი საშუალების ჩამოწერის ხარჯები	3	3,561	6,760
ძირითადი საშუალების / მარაგების უსასყიდლოდ (მიღება) / გაცემა	3	(218,978)	38,730
უზუფრუქტით მიღებული ქონების უფლების ამორტიზაციის ხარჯი	4	626,805	474,452
ძირ. საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	3	(19,939)	(17,033)
სხვა რეზერვის ამორტიზაცია	4	(626,805)	(474,452)
საპროცენტო შემოსავალი	7	(504,238)	(277,389)
ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:		-	
მარაგების ზრდა		(608,607)	(1,132,817)
ცვლილებები საგადასახადო აქტივში / ვალდებულებაში		(220,677)	916,512
სავაჭრო მოთხოვნების ზრდა		(127,738)	121,986
სავაჭრო ვალდებულებების ზრდა		880,529	993,916
საოპ. საქმ. გამოყენებული ფულადი სახსრები		**858,191**	**273,124**
მიღებული პროცენტები		504,238	277,389
ფულადი სახსრები გენერირებული/(გამოყენებული) საოპერაციო საქმიანობაში		**1,362,429**	**550,513**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		-	
ძირითადი საშუალებების შეძენა	3	(197,568)	(651,098)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	3	30,588	26,898
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		**(166,980)**	**(624,200)**
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		-	-
ფული და ფულის ექვივალენტების წმინდა ზრდა		1,195,449	**(73,687)**
ფული და ფულის ექვივალენტები, წლის დასაწყისში 1 იანვარი	7	2,066,831	2,140,518
საკურსო სხვაობის გავლენა ფულზე და ფულად ექვივალენტებზე		-	-
ფული და ფულის ექვივალენტები, წლის ბოლოს 31 დეკემბერი		**3,262,280**	**2,066,831**

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2022 წლის 15 აპრილს.

დირექტორი	ვახტანგ ნოზაძე	_____
მთავარი ბუღალტერი	შალვა შოშიაშვილი	_____

შპს „ეკოსერვის ჯგუფი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

1. ანგარიშის წარმდგენი პირი

(ა) ორგანიზაცია და საქმიანობა

2021 წელს კომპანიის მოქმედი წესდების შესაბამისად, კომპანიის საქმიანობის საგანს წარმოადგენდა თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული, წესდების დანართ 1-ში ჩამოთვლილი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის დავალების შემთხვევაში ასევე სხვა) გამწვანებული ტერიტორიების, დასასვენებელი ადგილების, შადრევნების მოვლა-პატრონობა, კერძოდ:

ა. გამწვანებული ტერიტორიების და დასასვენებელი ადგილების მოვლა პატრონობა, მათ შორის:

ა.ა. ნიადაგის მომზადება დარგვისათვის ან თესვისათვის, სტრუქტურა დარღვეული ნიადაგის მოჭრა და გატანა, ნიადაგის ნოყიერი ნაზავის მიწოდება, გაშლა და მოსწორება, ნიადაგის გადაბარვა და მოსწორება (პლანირება), მულჩირება, მოხრეშვა;

ა.ბ. მწვანე ნარგავების დარგვა და გადარგვა;

ა.გ. გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა რომელიც მოიცავს: გაზონის, ხვიარა მცენარეების, საყვავილე თარგების (ყვავილნარი), ხეების, ბუჩქების (მათ შორის, ტროტუარი), ქოთნის მცენარეების მოვლას, ტერიტორიის გათიბვას;

ა.დ. ხეების ფორმირებითი, სანიტარული და გამაახალგაზრდავებელი სხვლა;

ა.ე. მწვანე ნარგავების მოვლის ღონისძიებებში მონაწილეობა სტიქიური და სხვა გაუთვალისწინებელი მოვლენების შემთხვევაში;

ა.ვ. გამწვანებულ ტერიტორიებზე ყინვისადმი არამდგრადი მცენარეების შეფუთვა, გაზონებისა და ყვავილნარების მოვლა პატრონობა, თბილისის ტერიტორიაზე არსებული ვერტიკალური გამწვანების (მცენარეების) მოვლა-პატრონობა;

ა.ზ. მოვლითი ჭრების განხორციელება, მათ შორის დამფუძნებლის დავალების შემთხვევაში;
ა.თ. სარწყავი სისტემების აღდგენა, მოწყობა და რეაბილიტაცია;

ა.ი. თბილისის ტერიტორიაზე არსებული შადრევნების მოვლა-პატრონობა, რეაბილიტაცია და მოწყობა;

ა.კ. სოკოს ფორმის სასმელი წყაროების მოვლა-პატრონობა, რეაბილიტაცია და მოწყობა; ა.ლ. რეტერატების მოვლა-პატრონობა;

ბ. ფიტოსანიტარიული ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის:

ბ.ა. მწვანე ნარგავების ფიტოსანიტარიული კვლევა;

ბ.ბ. მწვანე ნარგავების ბიოლოგიური და ქიმიური დაცვა მავნებელი დაავადებებისაგან და შესაბამისი მოვლითი ღონისძიებები, საჭიროებიდან გამომდინარე სხვა აგროტექნიკური ღონისძიებების განხორციელება;

ბ.გ. ხმელი ხეების მოჭრა, კუნძის ამოღება, დამუშავება და გატანა;

ბ.დ. დაავადებული, ზეხმელი, ხმობადი, ფაუტი, გადაბერებული (ამორტიზებული) და ავარიული ხეების მოჭრა;

ბ.ე. სპეციალური ჭრების განხორციელება,

გ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული მწვანე ინფრასტრუქტურის მოწყობის პროექტების ფარგლებში მესამე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ზედამხედველობა.

დ. მუნიციპალური სანერგეების მოვლა-პატრონობა და განვითარება.

ე. მოჭრილი მწვანე ნარგავებისა და მწვანე ნარჩენების მართვა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და კომპეტენციის ფარგლებში.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობაა შეადგენს 590-ს, ხოლო 2020 წლის შესაბამისი მაჩვენებელია - 473 თანამშრომელს.

ორგანიზაციის 100%-ის მფლობელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა.

(ბ) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, კომპანია დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც ხასიათდება განვითარებადი ბაზრის მახასიათებლებით. იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, მაგრამ ექვემდებარებიან სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რომლებიც, სხვა სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად, დამატებით გამოწვევებს უქმნიან საქართველოში მოქმედ იურიდიულ პირებს. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის შეფასებას, საქართველოს ბიზნეს გარემოს ზეგავლენის შესახებ, კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისგან.

საქართველოს ეკონომიკა გარკვეული სტრუქტურული გამოწვევებით ხასიათდება, რამაც COVID-19 პანდემიით გამოწვეული რეცესიის პირობებში საგარეო ფაქტორების მიმართ მოწყვლადობის რეალიზება გამოიწვია. საქართველო მცირე ზომის ღია ეკონომიკაა დოლარიზაციის ჯერ კიდევ მაღალი მაჩვენებლით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტითა და საერთაშორისო ფინანსურ ნაკადებზე მზარდი დამოკიდებულებით, რაც გლობალური ეკონომიკური და ფინანსური ტენდენციების მიმართ მოწყვლადობას განაპირობებს. მსოფლიო მასშტაბით COVID-19 პანდემიით გამოწვეულმა ეკონომიკურმა კრიზისმა, კერძოდ კი ისეთმა გარემოებებმა, როგორებიცაა მნიშვნელოვნად შემცირებული ეკონომიკური აქტივობა, ფინანსური ნაკადების შემოდინების კლება, განვითარებად ქვეყნებში გაზრდილი რისკის პრემია და, ასევე, პანდემიის გავრცელებასა და მის ხანგრძლივობასთან დაკავშირებული გაურკვევლობა, საქართველოს ეკონომიკის საგარეო ფაქტორების მიმართ მოწყვლადობის რეალიზება გამოიწვია. შესაბამისად, გაზრდილია ფინანსური სტაბილურობის რისკებიც.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მეთოდების შეჯამება

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი ორგანიზაციის პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“ფასს სტანდარტები”) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის

შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არა საბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულის ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკორექტირებული) ფასებით.
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1-ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით)
- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები).

სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის ტრანსფერები კომპანიის მიერ აღიარებულია იმ საანგარიშო პერიოდის ბოლოს, რომლის განმავლობაშიც მოხდა ცვლილება.

ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს. წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია მეათასედებამდე სიზუსტით, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

კომპანიამ დანერგა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ყველა ახალი და შესწორებული სტანდარტი, რომელიც სავალდებულო იყო მიმდინარე ანგარიშგების პერიოდისათვის.

ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

კომპანიას არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2021 წლის 1 იანვარს დაწყებული ფისკალური წლისთვის.

ხელმძღვანელობის მოლოდინით, ახალი სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ძალაში შესვლის შემდეგ. კომპანიამ შეაფასა, შესაძლებლობისამებრ, ყველა ამ ახალი სტანდარტისა და ცვლილების შესაძლო გავლენა, რომელიც ძალაში შევა მომავალი პერიოდებისთვის.

ფასს 17 დაზღვევის ხელშეკრულებები (გამოცემულია 2017 წლის მაისში) - სტანდარტი, რომელიც შეცვლის ფასს 4-ს, ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვრიდან ან/და შემდგომ პერიოდებში (ადრეული გამოყენება დაშვებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც საწარმო იყენებს ფასს 9-ს და ფასს 15-ს) რომლის თანახმადაც, სადაზღვევო ვალდებულება განისაზღვრება მიმდინარე შესრულების

ღირებულებით და წარმოადგენს შედარებით სრულ საზომ და წარმოსადეგ მიდგომას ყველა ტიპის სადაზღვევო გარიგებისთვის.

ზემოხსენებული მოთხოვნები შექმნილია იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას სადაზღვევო გარიგებების თანმიმდევრული, პრინციპებზე დაფუძნებული ბუღალტრული აღრიცხვა, რაც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს საშუალებას მისცემს შეაფასოს ეფექტი, რომელიც აქვთ სადაზღვევო ხელშეკრულებებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, მის ფინანსურ შედეგებზე და ფულად ნაკადებზე. სტანდარტი ასევე მოითხოვს რომ იგივე პრინციპით აღირიცხოს გადაზღვევისა და დისკრეციული მონაწილეობის მახასიათებლებით გაცემული საინვესტიციო ხელშეკრულებები.

გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიას არ გააჩნია როგორც გამოცემული დაზღვევის ხელშეკრულებები, ასევე გადაზღვევის ხელშეკრულებები, სტანდარტს არ აქვს მოსალოდნელი ეფექტი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის ცვლილებები);
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები);
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 (ცვლილებები ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 სტანდარტებში); და
- კონცეპტუალური მიდგომა (ფასს 3-ის ცვლილებები).

სხვა

კომპანიას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2.1. სააღრიცხვო პოლიტიკა

(ა) ძირითადი საშუალებები

i. აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, ასევე აქტივის დემონტაჟის და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას. შეფასებითი დანახარჯები აისახება რეზერვის სახით. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების ჯგუფი მოიცავს კომპონენტებს, რომელთა გამოყენების ვადა და ექსპლუატაციის პერიოდი განსხვავდება, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე როგორც ძირითადი საშუალების ცალკეული კომპონენტები.

საწყისი აღიარების შემდგომ, გარდა სატრანსპორტო საშუალებებისა, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა ხორციელდება დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით. სატრანსპორტო საშუალებები აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით, რაც წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას გადაფასების თარიღში მინუს დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი. გადაფასება ხდება საკმარისი რეგულარულობით, რათა ნარჩენი ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს სამართლიანი ღირებულებისგან საანგარიშგებო თარიღში.

კომპანიის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებები არ განეკუთვნება ისეთი აქტივების კატეგორიას, რომელთა ღირებულებებიც ხშირად იცვლება.

ძირითადი საშუალების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

ii. შემდგომი ხარჯები

ძირითადი საშუალებების ერთეულის ჩანაცვლების ღირებულება აღიარდება ერთეულის საბალანსო ღირებულებით, თუ იგი უზრუნველყოფს მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას კომპანიაში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალებების მოვლა-შენახვის ყოველდღიური ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგება ან ზარალში.

iii. ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზადყოფნაში მოსვლის დღიდან. რაც შეეხება კომპანიის მიერ აშენებულ აქტივებს, მათი ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივების საბოლოო მდგომარეობამდე მიყვანის და მათი გამოყენებისთვის მზაობის დღიდან.

ცვეთა აისახება მოგება ან ზარალში, წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. იჯარით აღებულ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის ან იჯარის ხანგრძლივობის მიხედვით უმცირესით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც გონივრულ ფარგლებში სარწმუნოა, რომ საკუთრების უფლების მოპოვება კომპანიის მიერ მოხდება იჯარით აღებულ აქტივზე. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმდინარე და შესადარისი პერიოდების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

- მანქანა-დანადგარები - 20%-40%
- სატრანსპორტო საშუალებები - 20%-40%
- სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები - 15%-30%

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხორციელდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირება.

(ბ) ფინანსური ინსტრუმენტები

ამორტიზირებული ღირებულება და ეფექტური საპროცენტო განაკვეთი

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება არის ღირებულება, რომლითაც შეფასდება ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველი აღიარების დროს, მინუს სესხის ძირი თანხის დასაფარად გადასახდელი თანხები, პლუს ან მინუს დაგროვილი ამორტიზაცია, თავდაპირველ ღირებულებასა და დასაფარ ღირებულებას შორის სხვაობის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი და მინუს (პირდაპირ, ან რეზერვის ანგარიშის გამოყენებით) გაუფასურების ზარალი, ან თანხის ამოუღებლობით (უიმედო ვალით) წარმოქმნილი ნებისმიერი დანაკარგები.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება მომავალში, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი

შეფასებული ფულადი ნაკადები ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ნეტო საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშების დროს, საწარმომ ფინანსური ინსტრუმენტებიდან მისაღები ფულადი ნაკადები უნდა შეაფასოს ყველა სახელშეკრულებო პირობის გათვალისწინებით, მაგრამ არ უნდა გაითვალისწინოს მომავალი საკრედიტო ზარალი. გაანგარიშება მოიცავს ყველა საზღაურსა და გადახდილ ან მიღებულ ერთეულს (აქტივის ნომინალური ღირებულების ცვლილების ყოველი ერთეული) ხელშეკრულების მხარეებს შორის, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია, აგრეთვე გარიგების დანახარჯებსა და ყველა სხვა პრემიასა და ფასდათმობას. არსებობს ვარაუდი, რომ მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტების ჯგუფის მოსალოდნელი ვადა და ფულადი ნაკადები შეიძლება საიმედოდ შეფასდეს.

როდესაც კომპანიის მიერ ხდება მომავალი ფულადი ნაკადების გადახედვა შესაბამისი ფინანსური აქტივი ან ვალდებულება კორექტირდება, რათა აისახოს ცვლილებები. კომპანიის მიერ ნებისმიერი ცვლილება აღიარებულია მოგება-ზარალში.

საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო ამონაგები საწარმომ უნდა გამოითვალოს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, კერძოდ, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ფინანსური აქტივის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებასთან მიმართებაში, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

ა) შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივები. საწარმომ ამგვარი ფინანსური აქტივებისთვის, თავდაპირველი აღიარებისას უნდა განსაზღვროს საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი და გამოიყენოს ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებასთან მიმართებაში.

ბ) ფინანსური აქტივები, რომლებიც არ წარმოადგენს შეძენილ ან შექმნილ გაუფასურებულ ფინანსურ აქტივებს, არამედ შემდგომში გახდა საკრედიტო რისკის გავლენით გაუფასურებული ფინანსური აქტივები. ამგვარი ფინანსური აქტივების შემთხვევაში, საწარმომ, მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა გამოიყენოს ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებასთან მიმართებაში.

თავდაპირველი აღიარება

საწარმო მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. ბაზრის სტანდარტული პირობებით ფინანსური აქტივების ყიდვა-გაყიდვისას ფინანსური აქტივების აღიარება და აღიარების შეწყვეტა უნდა მოხდეს გარიგების თარიღით ან ანგარიშსწორების თარიღით, შესაბამისად.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისათვის კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებისთანავე, აღიარებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის ანარიცხს მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანაგრიშგებაში.

თუ თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივის და ვალდებულების რეალური ღირებულება განსხვავდება გარიგების ღირებულებისაგან ორგანიზაცია ფინანსურ ინსტრუმენტებს ამ თარიღისთვის აღრიცხავს შემდეგნაირად:

ა) თუ რეალური ღირებულება დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების აქტიური ბაზრის კოტირებული ფასით (ე.ი პირველი დონის ამოსავალი მონაცემი), ან ეყრდნობა შეფასების ისეთ მეთოდს, რომელშიც გამოიყენება მხოლოდ ემპირიული ბაზრების მონაცემები. ორგანიზაცია თავდაპირველი აღიარებისას რეალურ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის სხვაობას აღიარებს როგორც შემოსულობა ან ზარალი

ბ) ყველა სხვა შემთხვევაში, რეალური ღირებულება კორექტირდება თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრულ რეალურ ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის სხვაობის თანხის გადავადების გზით.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, კომპანია გადავადებულ სხვაობას აღიარებს როგორც შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ იმ ოდენობით, რომელიც წარმოიქმნება ისეთი ფაქტორის ცვლილებით (დროის ფაქტორის ჩათვლით), რომელსაც ბაზრის მონაწილეები განიხილავდნენ აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას.

ფინანსური აქტივები

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

კომპანია იყენებს ფასს 9-ს და ფინანსურ აქტივებს აფასებს მომდევნო სამი კატეგორიიდან ერთ-ერთის მიხედვით:

სამართლიანი ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით;

სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით;

ამორტიზირებული ღირებულებით.

სავალო ინსტრუმენტები

სავალო ინსტრუმენტები არის ყველა ის ინსტრუმენტი, რომელიც შეესაბამება განმარტებას, რომ ინსტრუმენტის გამომშვების პერსპექტივიდან იგი წარმოადგენს ფინანსურ ვალდებულებას. სავალო ინსტრუმენტებია სესხები, სახელმწიფო და კორპორატიული ბონდები, კლიენტისგან შეძენილი სავაჭრო დებიტორული მოთხოვნები.

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება სავალო ინსტრუმენტების დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე:

ა) ორგანიზაციის ბიზნესმოდელი, რომელიც გამოიყენება ფინანსური აქტივების მართვისთვის და

ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

აღნიშნულ ფაქტორებზე დაყრდნობით კომპანია ახდენს სავალო ინსტრუმენტების კლასიფიცირებას ერთ-ერთში შემდგომი სამი საზომი კატეგორიიდან:

- **ამორტიზირებული ღირებულება:** ორგანიზაცია ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას. აქტივის ღირებულება კორექტირდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხების აღიარებით. საპროცენტო შემოსავალი აღნიშნული აქტივებისთვის კლასიფიცირდება როგორც „საპროცენტო და მსგავსი ტიპის შემოსავალი“ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

- **რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით:** ფინანსური აქტივი, რომელსაც ორგანიზაცია ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ასევე ფინანსური აქტივების გაყიდვა და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას აღიარებულია როგორც რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ღირებულებაში მოძრაობები აისახება სხვა სრულ შემოსავალში გარდა გაუფასურების მოგებისა და ზარალის აღიარებისა, საპროცენტო

შემოსავლისა და კურსთაშორის სხვაობის ეფექტისა რომელიც აღიარდება მოგება-ზარალში. როდესაც ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება კუმულატიური მოგება ან ზარალი რომლის ასახვაც მოხდა სხვა სრულ შემოსავალში რეკლასიფიცირდება კაპიტალიდან მოგება-ზარალში და აღიარდება „წმინდა საინვესტიციო შემოსავალი“. საპროცენტო შემოსავალი ფინანსური აქტივისგან კლასიფიცირდება როგორც საპროცენტო შემოსავალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

- **რეალური ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით:** აქტივი რომელიც შეფასებული არ არის ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით აღიარდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში.

ბიზნეს მოდელი: ორგანიზაციის ბიზნესმოდელი გვიჩვენებს, როგორ მართავს საწარმო თავის ფინანსურ აქტივებს, ფულადი ნაკადების გენერირების მიზნით, ანუ ორგანიზაციის ბიზნესმოდელით განისაზღვრება, რა სახით წარმოიქმნება ფულადი ნაკადები: სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ფინანსური აქტივების გაყიდვით, თუ ერთობლივად ორივე გზით. თუ არცერთი აღნიშნული მოდელი არ არის შესაბამისობაში, ასეთ შემთხვევაში ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება როგორც სხვა ბიზნეს მოდელი და იზომება სამართლიანი ღირებულებით.

SPPI ტესტი: ბიზნეს მოდელის იმ კატეგორიას, სადაც აქტივების ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და გაყიდვა, კომპანია აფასებს ფინანსური ინსტრუმენტებიდან მისაღები ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა ძირის და პროცენტის გადახდას (SPPI ტესტი).

შეფასებისას, კომპანია განსაზღვრავს, შეიცავს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები თანმიმდევრულ გადახდებს საკრედიტო შეთანხმების მიხედვით. მაგალითად, პროცენტი მოიცავს თუ არა ანაზღაურებას ფულის დროითი ღირებულების, გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაუფარავ ძირ თანხასთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკსა და გასესხებასთან დაკავშირებულ სხვა ტიპური რისკებისა და დანახარჯების სანაცვლოდ, ასევე მოგების მარჟას. თუ სახელშეკრულებო პირობები მნიშვნელოვნად ზრდის რისკს ან არასტაბილურობას, რაც არ არის შესაბამისობაში სესხის ძირითად ხელშეკრულებასთან, დაკავშირებული ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგება ან ზარალში ასახვით.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაცია ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელს, იგი ახდენს ყველა შესაბამისი ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაციას.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი წარმოადგენს ნებისმიერ კონტრაქტს, რომელიც ადასტურებს კომპანიის აქტივებში ნარჩენ წილს, ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. კომპანიის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები აღიარებას ექვემდებარება მიღებულ შემოსავლებთან ერთად გამოშვების ხარჯების გამოკლებით. წილობრივი ინსტრუმენტების მაგალითია ჩვეულებრივი აქციები.

გაუფასურება

კომპანია წინდახედულობის პრინციპიდან გამომდინარე აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს (ECL), იმ ტიპის ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავალში ასახვით.

ორგანიზაცია ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს აფასებს ისეთი მეთოდით რომელიც ასახავს:

- მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილ ოდენობას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით;

- ფულის დროით ღირებულებას; და
- გონივრულ და ღირებულ ინფორმაციას წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზების შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე.

დებიტორულ დავალიანებებს, რომლებიც კომპანიის შეფასებით არ უფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია აუფასურებს ჯგუფურად, წინა წლების გადახდების გათვალისწინებით.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებს მიღების სახელშეკრულებო ვადა ეწურება ან როდესაც ხდება შემდეგი ორი სიტუაციიდან ერთ-ერთი:

1) ორგანიზაცია გადასცემს ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებას ან

2) არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს და არ ინარჩუნებს კონტროლს ფინანსურ აქტივზე.

ფინანსური ვალდებულებები

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

საწარმომ ყველა ფინანსურ ვალდებულებას უნდა მიანიჭოს კლასიფიკაცია „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“, გარდა:

ა) ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც ასახულია რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ასეთი ვალდებულებები, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ჩათვლით, რომლებიც ვალდებულებებს წარმოადგენს, საწარმომ შემდგომში უნდა შეაფასოს რეალური ღირებულებით;

ბ) ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც იმ შემთხვევაში წარმოიქმნება, როდესაც ფინანსური აქტივის გადაცემა არ აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს, ან, როდესაც გამოიყენება აქტივში მონაწილეობის შენარჩუნების მიდგომა.

გ) ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებისა.

აღიარების შეწყვეტა

ორგანიზაცია ფინანსურ ვალდებულებას (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილს) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებს, როდესაც ის შესრულდება - ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

არსებითად განსხვავებული პირობების მქონე სავალო ინსტრუმენტის გაცვლა არსებულ გამსესხებელსა და მსესხებელს შორის განხილულ უნდა იქნეს, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები არსებითად განსხვავებულად მიიჩნევა, თუ თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით განსაზღვრული ახალი პირობების შესაბამისი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება, ნებისმიერი ნეტო გადახდილი საზღაურის (გადახდილ საზღაურს მინუს მიღებული საზღაური) ჩათვლით, სულ მცირე 10 პროცენტით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულებისაგან. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა განიხილება როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოშობილი დანახარჯები თუ საზღაური უნდა აღიარდეს, როგორც გაუქმების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა არ

განიხილება, როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოქმნილი დანახარჯები თუ საზღაური აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების დარჩენილი ვადის განმავლობაში.

(გ) ავანსები

ავანსები წარმოდგენილია გაუფასურების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით. ავანსი კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი, როცა ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები სავარაუდოდ მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როცა ავანსი უკავშირდება აქტივს, რომელიც თვითონ კლასიფიცირებული იქნება როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარების შემდეგ. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივად აღიარდება მას შემდეგ, რაც კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს და აშკარა გახდება რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. სხვა ავანსები ჩამოიწერება მოგებასა ან ზარალში, როცა ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები იქნება მიღებული. თუ არის მინიშნება, რომ ავანსთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურებები არ იქნება მიღებული, ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისად აღიარდება გაუფასურების შედეგად წარმოქმნილი ზარალი წლის მოგებასა ან ზარალში.

(დ) მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. მზა საქონლისა და დაუმთავრებელი წარმოების ღირებულება მოიცავს ნედლეულს, პირდაპირ შრომას, სხვა პირდაპირ ხარჯებსა და მასთან დაკავშირებულ ზედნადებ ხარჯებს (ნორმალური საოპერაციო სიმძლავრის საფუძველზე), მაგრამ არ შეიცავს საპროცენტო ხარჯებს. მარაგების შესყიდვის ხარჯები მოიცავს ნასყიდობის ფასს, იმპორტის გადასახადებსა და სხვა გადასახადებს (გარდა საგადასახადო ორგანოების მიერ შემდგომი ანაზღაურებადი გადასახადებისა) და ტრანსპორტირების, დამუშავებისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება მზა საქონლის, მასალებისა და მომსახურების შეძენას. სავაჭრო ფასდაკლებები გამოიქვითება შესყიდვის ხარჯების განსაზღვრისას.

ნეტო რეალიზებადი ღირებულება არის სარეალიზაციო სავარაუდო ფასი ბიზნესის ჩვეულებრივ საქმიანობაში, დაუმთავრებელი წარმოების დასრულების სავარაუდო ხარჯებისა და გაყიდვის განხორციელებისათვის საჭირო სავარაუდო ხარჯების შემცირებით.

(ე) ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

(ვ) კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირებულია როგორც კაპიტალი. როდესაც საწესდებო კაპიტალი არაფულადი შენატანით იზრდება, აღნიშნული შენატანი აღიარდება როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

სხვაობა რეგისტრირებული საწესდებო კაპიტალის ნომინალურ ოდენობას მფლობელის მიერ შეტანილი ან განაწილებული უნაღდო აქტივებისა და შეტანილი ან განაწილებული აქტივების სამართლიან ღირებულებას შორის აღიარებულია, როგორც დამატებით გადახდილი კაპიტალი.

(ზ) დივიდენდის განაწილება

დივიდენდების კაპიტალში აღიარება ხორციელდება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშების გამოსაშვებად

დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

(თ) სხვა რეზერვი / უზურფრუქტით მიღებული ქონების უფლება

თავდაპირველი აღიარებისას კომპანია უფლებას, უსასყიდლო უზურფრუქტით მიღებულ ქონებაზე, აფასებს სამართლიანი ღირებულებით და ამავდროულად აღიარებს „სხვა რეზერვს“ კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებაში უზურფრუქტით მიღებული ქონების სამართლიანი ღირებულების ექვივალენტი თანხით. სამართლიანი ღირებულების დადგენა ხდება დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ. საწყისი აღიარების შემდგომ, უზურფრუქტით მიღებული ქონების უფლების აღრიცხვა ხორციელდება დარიცხული ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის დაქვითვით. კომპანია ამორტიზაციის ხარჯის დარიცხვას ახდენს წრფივი მეთოდით, უზურფრუქტის პერიოდის განმავლობაში (5-10 წელი), ამავე პერიოდში აღიარებს „სხვა რეზერვის ამორტიზაციას“ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებაში, ცალკე ფინანსური ანგარიშგების მუხლად, ამორტიზაციის ტოლი თანხით. ამორტიზაციის ხარჯი, ისევე როგორც სხვა რეზერვის ამორტიზაცია ხვდება იმ პერიოდის მოგება-ზარალისა და სხვა სრული ანგარიშგებაში, რომელსაც მიეკუთვნება.

(ი) მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

თავდაპირველი აღიარებისას გამონაკლისის შესაბამისად, გადავადებული გადასახადები არ აღირიცხება ტრანზაქციაში (რომელიც არ არის შერწყმა) აქტივებისა და პასივების თავდაპირველ აღიარებიდან გამომდინარე დროებით სხვაობებთან დაკავშირებით, თუ ტრანზაქცია თავდაპირველად აღიარებისას, გავლენას არ მოახდენს სააღრიცხვო მოგებასა თუ დასაბეგრ მოგებაზე.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 201 მუხლის (ქონების გადასახადის გადამხდელი და დაბეგვრის ობიექტი) მიხედვით ქონების გადასახადის გადამხდელია რეზიდენტი საწარმო/ორგანიზაცია – მის ბალანსზე ძირითად საშუალებად ან/და საინვესტიციო ქონებად აღრიცხულ აქტივებზე, დაუმონტაჟებელ მოწყობილობებზე, დაუმთავრებელ მშენებლობაზე, აგრეთვე მის მიერ ლიზინგით გაცემულ ქონებაზე, ამასთან პირი ქონების გადასახადის გადამხდელია მფლობელობაში ან/და სარგებლობაში არსებულ, გარდაცვლილი პირის სახელზე რეგისტრირებულ ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ქონებით სარგებლობა ხორციელდება იჯარის, ქირის, უზურფრუქტის ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე.

საწარმოსთვის/ორგანიზაციისთვის ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი განისაზღვრება დასაბეგრი ქონების ღირებულების არა უმეტეს 1 პროცენტის ოდენობით. ამ ნაწილის მიზნებისათვის დასაბეგრი ქონების ღირებულება არის საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულება (გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსთვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით).

(კ) შემოსავალი

შემოსავალი აღიარებულია იმ ოდენობით, რომელიც ასახავს იმ ანაზღაურებას, რომელზეც კომპანია უფლებამოსილი იქნება, საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემის სანაცვლოდ. მომხმარებელთან თითოეული კონტრაქტისთვის კომპანია: ადგენს ხელშეკრულებას მომხმარებელთან; განსაზღვრავს ხელშეკრულებაში შესრულების ვალდებულებებს; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების შეფასებას და ფულის დროის ღირებულებას; გამოყოფს გარიგების ფასს ცალკეული შესრულების ვალდებულებებზე თითოეული ცალკეული საქონლის ან მომსახურების მისაღწევად ფარდობითი ცალკეული გასაყიდი ფასის საფუძველზე; და აღიარებს შემოსავალს, როდესაც შესრულების თითოეული ვალდებულება შესრულდება ისე, რომ ასახულია დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემა.

კომპანიის შემოსავალი იყოფა ორ ნაწილად: შემოსავლები დაკავშირებული მხარისგან და სხვა შემოსავალი ფიზიკური და იურიდიული პირებისგან.

კომპანიის საოპერაციო საქმიანობაა ქალაქ თბილისში არსებული მწვანე და დასასვენებელი ადგილების მოვლა-შენახვა, შესაბამისად, სახელმწიფო არის კომპანიის ძირითადი მომხმარებელი. გარდა ამისა, შპს „ეკოსერვის ჯგუფი“ არის სახელმწიფო კომპანია და მუშაობს სოციალურ-ეკონომიკური სარგებელის მიზნითაც. ყოველწლიურად მთავრობის ორგანოებს ერიცხებათ ბიუჯეტი მწვანე ტერიტორიების მოვლა-პატრონობისთვის, მუნიციპალური სკვერებისათვის და ა.შ.

ბიუჯეტი გადაეცემა კომპანიას მოვლა-პატრონობის მომსახურებისთვის, მაგრამ შეუძლებელია განვასხვავოთ, ბიუჯეტის რომელი ნაწილი შეადგენს კომპანიის მიერ მომსახურების გაწევის საფასურს და რომელი ნაწილი შეეხება გაწეული ხარჯების ანაზღაურებას. ამიტომ, მთავრობის ბიუჯეტიდან / მომხმარებლიდან მიღებული მთლიანი თანხა განიხილება, როგორც შემოსავალი, ხოლო კომპანიის მიერ გაწეული ხარჯების ყველა ხარჯი განიხილება, როგორც მომსახურების ღირებულება და ან ჯგუფდება გაყიდვების ან ადმინისტრაციული ხარჯების შესაბამისად.

თითოეული სახის ფულადი ტრანსფერისათვის კომპანია აღიარებს შემოსავალს გადახდილი ფაქტობრივი ხარჯების საფუძველზე და მეორეს მხრივ აღიარებს მიღებულ ავანსებს, რაც უტოლდება გამოუყენებელი ფულადი სახსრების ოდენობას თითოეული ტიპის ფულადი ტრანსფერისათვის საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის.

(ლ) ხარჯები

ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, როდესაც შესაძლებელია დანახარჯის თანხის საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელია კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინება.

2.2 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მენეჯმენტისგან მოითხოვს ფინანსურ ანგარიშგებებზე მოქმედი შეფასებებისა და დაშვებების მომზადებას. მენეჯმენტი მუდმივად აფასებს თავის განსჯებსა და შეფასებებს აქტივების, ვალდებულებების, პირობითი ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების მიმართ. მენეჯმენტი თავის მოსაზრებებსა და შეფასებებს აკეთებს ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მომავალი მოვლენების მოლოდინების ჩათვლით, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ გონივრული უნდა იყოს ამ პირობებში. შედეგად მიღებული სააღრიცხვო გადაწყვეტილებები და შეფასებები შეესაბამება რეალურ შედეგებს.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა

კომპანია განსაზღვრავს სასარგებლო მომსახურების ვადას და მასთან დაკავშირებული ამორტიზაციისა და ამორტიზაციის საფასურებს მისი ქონების, სასრული სიცოცხლის არამატერიალური აქტივებისათვის. სასარგებლო სიცოცხლე შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს ტექნიკური სიახლეების ან სხვა ღონისძიებების შედეგად. ამორტიზაციისა და ამორტიზაციის საფასური გაიზრდება იმ შემთხვევაში, როდესაც სასარგებლო სიცოცხლე ნაკლებია ვიდრე ადრე შეფასებული სიცოცხლე, ან ტექნიკურად მოძველებული ან არა სტრატეგიული აქტივები, რომლებიც მიტოვებულია ან გაიყიდა, ჩამოიწერება ან ჩამოიწერება.

3. ძირითადი საშუალებები

შპს „ეკოსერვის ჯგუფი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

	შენობები	მანქანა-დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები	ჯამი
ისტორიული ღირებულება					
31 დეკემბერი 2019	**-**	**215,795**	**3,182,821**	**400,671**	**3,799,287**
შეძენა	-	-	651,098	-	651,098
ტრანსფერი მარაგებიდან	-	-	-	201,909	201,909
ჩამოწერა	-	-	(728)	(12,038)	(12,766)
უსასყიდლოდ გადაცემა	-	-	(38,730)*	-	(38,730)
რეალიზაცია	-	-	(62,200)	-	(62,200)
31 დეკემბერი 2020	**-**	**215,795**	**3,732,261**	**590,542**	**4,538,598**
შეძენა	-	1,398	182,472	13,698	197,568
უსასყიდლოდ მიღება	89,500	8,000	-	-	97,500
ტრანსფერი მარაგებიდან	-	-	-	547,241	547,241
გადაფასების ნამეტი	-	-	1,732,716	-	1,732,716
გადაფასების დეფიციტი	-	-	(39,495)	-	(39,495)
ჩამოწერა	-	-	-	(4,874)	(4,874)
რეალიზაცია	-	(878)	(36,450)	(22,493)	(59,821)
დაგროვილი ცვეთის გაქვითვა	-	-	(2,364,704)	-	(2,364,704)
31 დეკემბერი 2021	**89,500**	**224,315**	**3,206,800**	**1,124,114**	**4,644,729**
აკუმულირებული ცვეთა					
31 დეკემბერი 2019	**-**	**(35,057)**	**(836,273)**	**(152,612)**	**(1,023,942)**
ცვეთის ხარჯი	-	(32,703)	(777,552)	(116,536)	(926,791)
გასვლაზე ელიმინირებული ცვეთა	-	-	52,335	6,006	58,341
31 დეკემბერი 2020	**-**	**(67,760)**	**(1,561,490)**	**(263,142)**	**(1,892,392)**
ცვეთის ხარჯი	(3,923)	(33,447)	(832,856)	(182,967)	(1,053,193)
დაგროვილი ცვეთის გაქვითვა	-	-	2,364,704	-	2,364,704
გასვლაზე ელიმინირებული ცვეთა	-	723	28,919	20,843	50,485
31 დეკემბერი 2021	**(3,923)**	**(100,484)**	**(723)**	**(425,266)**	**(530,396)**
საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2019	**-**	**180,738**	**2,346,548**	**248,059**	**2,775,345**
31 დეკემბერი 2020	**-**	**148,035**	**2,170,771**	**327,400**	**2,646,206**
31 დეკემბერი 2021	**85,577**	**123,832**	**3,206,077**	**698,848**	**4,114,333**

2021 წლის საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, კომპანიამ გაყიდა 10,649 ლარის წმინდა საბალანსო ღირებულების ძირითადი საშუალებები, რომლიდანაც შემოსავალი შეადგენს 30,588 ლარს.

2020 წლის საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, კომპანიამ გაყიდა 9,865 ლარის წმინდა საბალანსო ღირებულების ძირითადი საშუალებები, რომლიდანაც შემოსავალი შეადგენს 26,898 ლარს.

2021 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიის ბალანსზე ირიცხებოდა 1,121,753 ლარის სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებები (2020: 589,413 ლარის)

2021 წლის განმავლობაში კომპანიამ მფლობელს უსასყიდლოდ მიაწოდა 0 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალება (2020: 38,730 ლარის)

კომპანია 2021 წლის 1 იანვრიდან გადავიდა ძირითადი საშუალებების „სატრანსპორტო საშუალებები“ კლასის შეფასების გადაფასების პოლიტიკაზე. გამომდინარე იქედან, რომ კომპანიის მიერ მოხდა აქტივების გადაფასების პოლიტიკის თავდაპირველი გამოყენება, ბასს 8 „საარღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები საარღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“ მე-17 და მე-18 პარაგრაფების მიხედვით კომპანია პოლიტიკის ცვლილებას აღრიცხავს პერსპექტიულად.

ზემოთხსენებული აქტივების შეფასება მოხდა დამოუკიდებელი ლიცენზირებული შემფასებლის მიერ. ძირითადი საშუალებების აღნიშნული კლასი რომ დარჩენილიყო თვითღირებულების პოლიტიკით აღრიცხული, მისი თვითიღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იქნებოდა 3,708,788 ლარი, ხოლო წმინდა საბალანსო ღირებულება 1,776,161 ლარი.

4. უფლება უზურფრუქტით მიღებულ ქონებაზე

	მიწა და შენობები
ღირებულება	
31 დეკემბერი 2019	**4,378,360**
შემოსვლა	1,748,200
გასვლა	-
31 დეკემბერი 2020	**6,126,560**
შემოსვლა	-
გასვლა	-
31 დეკემბერი 2021	**6,126,560**
აკუმულირებული ცვეთა	
31 დეკემბერი 2019	**(719,372)**
ცვეთის ხარჯი	(474,452)
გასვლაზე ელიმინირებული ცვეთა	-
31 დეკემბერი 2020	**(1,193,824)**
ცვეთის ხარჯი	(626,805)
გასვლაზე ელიმინირებული ცვეთა	-
31 დეკემბერი 2021	**(1,820,629)**
საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2019	**3,658,988**
31 დეკემბერი 2020	**4,932,736**
31 დეკემბერი 2021	**4,305,931**

მიწა და შენობები მოიცავს ვაკანტურ მიწის ნაკვეთებს, რომელთა ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს შესაბამისად 4,895,890 ლარსა და 4,895,890 ლარს.

თავდაპირველი აღიარებისას კომპანია უფლებას, დამფუძნებლისგან უსასყიდლო უზურფრუქტით მიღებულ ქონებაზე, აფასებს სამართლიანი ღირებულებით და ამავდროულად აღიარებს „სხვა რეზერვს“ კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებაში უზურფრუქტით მიღებული

ქონების სამართლიანი ღირებულების ექვივალენტი თანხით. სამართლიანი ღირებულების დადგენა ხდება დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ. საწყისი აღიარების შემდგომ, უზურფრუქტით მიღებული ქონების უფლების აღრიცხვა ხორციელდება დარიცხული ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის დაქვითვით. კომპანია ამორტიზაციის ხარჯის დარიცხვას ახდენს წრფივი მეთოდით, უზურფრუქტის პერიოდის განმავლობაში (5-10 წელი), ამავე პერიოდში აღიარებს „სხვა რეზერვის ამორტიზაციას“ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებაში, ცალკე ფინანსური ანგარიშგების მუხლად, ამორტიზაციის ტოლი თანხით. ამორტიზაციის ხარჯი, ისევე როგორც სხვა რეზერვის ამორტიზაცია, ხვდება იმ პერიოდის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, რომელსაც მიეკუთვნება.

5. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

ლარი	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ძირითადი საწყობი	1,306,965	1,345,032
ფიზიკური პირები*	552,813	356,075
სხვა	25,947	1,774
სულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	**1,885,725**	**1,702,881**

* კომპანიის სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაწილი გადაცემულია ფიზიკურ პირებზე (თანამშრომლებზე) სხვადასხვა ლოკაციაზე საოპერაციო საქმიანობის წარმართვის მიზნით.

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ლარი	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	-	-
გაუფასურების რეზერვი	-	-
წმინდა სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	-	-
გადახდილი ავანსები	127,738	-
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	**127,738**	**-**

7. ფული და ფულის ექვივალენტები

ლარი	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	3,262,280	2,066,831
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	**3,262,280**	**2,066,831**

კომპანიას მიმდინარე ანგარიშზე განთავსებულ სახსრებზე ერიცხება საპროცენტო სარგებელი. კომპანიის მიერ გენერირებული საპროცენტო შემოსავლები 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდში შეადგენდა: 504,238 ლარს (2020: 277,389 ლარს).

ფული განთავსებული ადგილობრივ საფინანსო დაწესებულებებში, რომელთა რეიტინგი FITCH-ის მიხედვით არის BB-.

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო ვალდებულებები	176,195	82,566

გადასახდელი ხელფასები	7,994	13,418
მიღებული ავანსები	2,615,353	1,823,029
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**2,799,542**	**1,919,013**

კომპანია მიღებულ ავანსში აღრიცხავს იმ გამოუმუშავებელი დაფინანსების ნაწილს, რომელიც მან მიიღო, მაგრამ არ მომხდარა მისი ათვისება. ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად აღნიშნული ავანსები არ არის უკანდაბრუნებადი და მისი გამომუშავება ავტომატურად ხდება მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში.

9. კაპიტალი

(ა) მფლობელთა კაპიტალი

ლარი	შენატანის ტიპი	შენატანის მოცულობა
მფლობელთა კაპიტალი კომპანიის დაარსებისას		**-**
	ფულადი შენატანი	**16,361,264**
	არაფულადი შენატანი	**852,147**
სატრანსპორტო საშუალებები		736,150
მანქანა-დანადგარები		4,210
სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები		100,365
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		11,422
მფლობელთა კაპიტალი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**17,213,411**
მფლობელთა კაპიტალი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**17,213,411**
მფლობელთა კაპიტალი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**17,213,411**
მფლობელთა კაპიტალი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**17,213,411**

თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია არაფულადი სახით მიღებულ კაპიტალურ შენატანებს აღიარებს სამართლიანი ღირებულებით. სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას ახდენს დამოუკიდებელი შემფასებელი.

2021 და 2020 საანგარიშგებო პერიოდებში არ ყოფილა ცვლილება დამფუძნებლის კაპიტალში.

კომპანიას არ გამოუცხადებია, ან გაუცია დივიდენდები 2021 და 2020 საანგარიშგებო პერიოდებში.

(ბ) სხვა რეზერვი

თავდაპირველი აღიარებისას კომპანია უფლებას, უსასყიდლო უზურფრუქტით მიღებულ ქონებაზე, აფასებს სამართლიანი ღირებულებით და ამავდროულად აღიარებს „სხვა რეზერვს“ კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებაში უზურფრუქტით მიღებული ქონების სამართლიანი ღირებულების ექვივალენტი თანხით. სამართლიანი ღირებულების დადგენა ხდება დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ. საწყისი აღიარების შემდგომ, უზურფრუქტით მიღებული ქონების უფლების აღრიცხვა ხორციელდება დარიცხული ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის დაქვითვით. კომპანია ამორტიზაციის ხარჯის დარიცხვას ახდენს წრფივი მეთოდით, უზურფრუქტის პერიოდის განმავლობაში (5-10 წელი), ამავე პერიოდში აღიარებს „სხვა რეზერვის ამორტიზაციას“ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებაში, ცალკე ფინანსური ანგარიშგების მუხლად, ამორტიზაციის ტოლი თანხით. ამორტიზაციის ხარჯი, ისევე როგორც სხვა რეზერვის ამორტიზაცია, ხვდება იმ პერიოდის მოგება-ზარალისა და სხვა სრული ანგარიშგებაში, რომელსაც მიეკუთვნება.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**3,658,988**
უზურფრუქტით მიღებული ქონების ზრდა (შენიშვნა 4, შემოსვლა)	1,748,200
სხვა რეზერვის ამორტიზაცია (შენიშვნა 4, ამორტიზაციის ხარჯი)	(474,452)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**4,932,736**
უზურფრუქტით მიღებული ქონების ზრდა (შენიშვნა 4, შემოსვლა)	-
სხვა რეზერვის ამორტიზაცია (შენიშვნა 4, ამორტიზაციის ხარჯი)	(626,805)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**4,305,931**

10. შემოსავალი

კომპანიის შემოსავალი იყოფა ორ ნაწილად: შემოსავლები დაკავშირებული მხარისგან და სხვა შემოსავალი ფიზიკური და იურიდიული პირებისგან.

ლარი	**2021**	**2020**
შემოსავლები დაკავშირებული მხარისგან (გ/შ 10.1)	16,621,854	12,378,478
სხვა შემოსავალი ფიზიკური და იურიდიული პირებისგან	8,033	5,951
სულ შემოსავლები	**16,629,887**	**12,384,429**

გ/შ 10.1

კომპანიის საოპერაციო საქმიანობაა ქალაქ თბილისში არსებული მწვანე და დასასვენებელი ადგილების მოვლა-შენახვა, შესაბამისად, სახელმწიფო არის კომპანიის ძირითადი მომხმარებელი. გარდა ამისა, შპს „ეკოსერვის ჯგუფი“ არის სახელმწიფო კომპანია და მუშაობს სოციალურ-ეკონომიკური სარგებელის მიზნითაც. ყოველწლიურად კომპანიას ერიცხება ბიუჯეტი მწვანე ტერიტორიების მოვლა-პატრონობისთვის, მუნიციპალური სკვერებისათვის და ა.შ.

11. გამომუშავებული შემოსავლის თვითღირებულება

ლარი	**2021**	**2020**
პირდაპირი ხელფასები	8,178,885	6,065,667
კომუნალური ხარჯი	4,534,073	2,251,788
ცვეთის ხარჯი	1,055,778	929,375
ფანტანის შეკეთების ხარჯი	-	723,675
საწვავისა და ზეთის ხარჯი	747,301	353,433
ნედლეულისა და სამომხმარებლო ნივთების ხარჯი	406,803	199,267
სხვა ხარჯები	439,577	42,951
სულ გამომუშავებული შემოსავლის თვითღირებულება	**15,362,417**	**10,566,156**

12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	**2021**	**2020**

საგადასახადო ხარჯი	72,282	2,319,682*
სახელფასო ხარჯი	677,679	495,443
უზურფრუქტის ცვეთის ხარჯი	626,805	474,452
საავტომობილო ხარჯი	269,909	213,920
კომუნალური ხარჯი	61,651	95,260
სამომხმარებლო ნივთების ხარჯი	109,655	80,851
დაზღვევის ხარჯი	66,972	51,917
შეკეთების ხარჯი	5,972	36,556
მოკლევადიანი იჯარის ხარჯი	47,891	22,963
კომპიუტერის ხარჯი	24,971	20,684
აუდიტორის ანაზღაურება	38,266	11,608
სხვა ხარჯები	56,215	34,621
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	**2,058,268**	**3,857,957**

*კომპანიის მიერ, ხდებოდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებების საფუძველზე განხორციელებული მომსახურებისთვის მიღებული თანხების სსკ 168-ე მუხლის მე-4 ნაწილის ი) ქვეპუნქტის შესაბამისად: დღგ-ს ჩათვლის უფლებით გათავისუფლებული მომსახურების უსასყიდლოდ მიწოდებად განხილვა. საგადასახადო შემოწმების მიერ დადგინდა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 174-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა.ა) ქვეპუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებით განსაზღვრული სამუშაოების შესრულებისას, შეძენილ საქონელსა და მომსახურეობაზე გადახდილი დღგ-ს თანხა არ ექვემდებარება ჩათვლას. შესაბამისად, შემოწმებით განხორციელდა დღგ-ს ჩასათვლელი თანხების კორექტირება ღირებულებით 2,260,294 ლარი.

13. არასაოპერაციო შემოსავლები / (ხარჯები)

ლარი	**2021**	**2020**
სხვა რეზერვის ამორტიზაცია	626,805	474,452
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული ნამეტი	27,473	17,033
სხვა არასაოპერაციო შემოსავალები / (ხარჯები)	211,287	(36,107)
არასაოპერაციო შემოსავლები / (ხარჯები)	**865,565**	**455,378**

სხვა არასაოპერაციო შემოსავლები / (ხარჯები) 211,287 ლარის ოდენობით მოიცავს ძირითადი საშუალებებისა და მარაგების უსასყიდლო მიღებას.

14. მოგების გადასახადი

2021 და 2020 საანგარიშგებო პერიოდებში კომპანიას არ გაუცია დივიდენდები, შესაბამისად, მოგების გადასახადის ხარჯმა შეადგინა 0 ლარი.

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას, სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად. ცვლილებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

15. საგადასახადო ვალდებულებები, გარდა მოგების გადასახადისა

საგადასახადო ვალდებულებები, გარდა მოგების გადასახადისა, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგენს 7,299 ლარს, ხოლო 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საგადასახადო ვალდებულება შეადგენდა 227,976 ლარს

საგადასახადო ვალდებულებები, გარდა მოგების გადასახადისა, შედგება დღგ-ს ვალდებულებისგან, ქონების საგადასახადო ვალდებულებისა და საშემოსავლო ვალდებულებისგან გადახდილ ხელფასებზე 2021 წლის 31 დეკემბრისთვის.

2016 წლის 1-ლი იანვრიდან, სსიპ შემოსავლების სამსახურმა მოახდინა თითოეული ტიპის საგადასახადო ხარჯების ანგარიშების ერთ ანგარიშად გაერთიანება, მათთვის საერთო კოდის მინიჭება და საერთო ვალდებულებად წარმოდგენა, რის გამოც ფინანსურ ანგარიშგებებში ხდება საგადასახადო ვალდებულებებისა და აქტივების ერთმანეთში გადახურვა და წმინდა სახით წარმოდგენა.

16. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა

(ა) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია მაქსიმალურად ზუსტი ფასის განსაზღვრა, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისგან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისას, თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას, კომპანიამ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა შეფასების მეთოდის გამოყენებით, შეფასების მეთოდის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიღებული იქნება აქტივის რეალიზაციიდან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში შეფასების თარიღით, შეფასების გამოყენებული მეთოდია დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლა ხდება მომავალი ძირითადი და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, დისკონტირებული ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან.

(ბ) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, კომპანიაზე ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის;
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით,;

- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით, ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:
  - საპროცენტო რისკი;
  - სავალუტო რისკი,

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

ლარი	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	3,262,280	2,066,831
სულ ფინანსური აქტივები	**3,262,280**	**2,066,831**
ფინანსური ვალდებულებები		
საგადასახადო ვალდებულებები	7,299	227,976
სავაჭრო ვალდებულებები	184,189	95,984
სულ ფინანსური ვალდებულებები	**191,488**	**323,960**

i. რისკების მართვის სტრუქტურა

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე.

კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად. კომპანიის საოპერაციო სიმარტივიდან გამომდინარე, არ არსებობს წერილობითი პოლიტიკა ბიზნეს რისკების იდენტიფიცირებისა და მათი მართვის შესახებ.

ii. საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ ფინანსური ვალდებულებების არ შესრულების შემთხვევაში.

კომპანიის მაქსიმალური ზემოქმედება საკრედიტო რისკზე, ძირითადად, აისახება ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

კომპანია იყენებს გაუფასურების 3 დონიან მოდელს, რომელიც დაფუძნებულია ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდგომ მისი საკრედიტო რისკის ხარისხის ცვლილებაზე, რომელიც ჩამოთვლილია ქვემოთ:

- ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ არის გაუფასურებული საწყისი აღიარებისას, კლასიფიცირდება როგორც I დონე და მისი საკრედიტო რისკი განგრძობითად კონტროლირებადია კომპანიის მიერ,

- თუ საწყისი აღიარების შემდგომ დაფიქსირდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, მაშინ ფინანსური ინსტრუმენტი გადადის II დონეში, მაგრამ ამ ეტაპზე არ მიიჩნევა გაუფასურებულად,
- თუ ფინანსური ინსტრუმენტი გაუფასურებულია, მაშინ ის გადადის III დონეში,
- I დონის ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის პროპორციული წილი მომდევნო 12 თვეში მოსალოდნელი მოვლენებისა, ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი II და III დონისთვის გამოითვლება როგორც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს კომპანიის მიერ გამოყენებულ გაუფასურების მეთოდს:

I დონე	II დონე	III დონე
(საწყისი აღიარება)	(საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა საწყისი აღიარების შემდეგ)	(გაუფასურებული აქტივი)
12-თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	არსებობის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ხარჯი	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

კომპანია ფინანსური ანგარიშგების ყველა ფინანსურ აქტივს, გარდა სავაჭრო მოთხოვნებისა, ასახავს I დონეში როგორც 2021 წლის დასაწყისში ასევე 2021 წლის ბოლოს.

სავაჭრო მოთხოვნებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას, რომელიც დაფუძნებულია ვადაგადაცილებულ დღეებზე. კომპანიას აქვს 4 ვადაგადაცილების დონე, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის პროცენტი დაფუძნებულია კომპანიის საოპერაციო სექტორზე, მის წარსულ გამოცდილებასა და ეკონომიკურ ფაქტორებზე, მათ შორის სამომხმარებლო ფასების ინდექსზე, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთსა და მშპ ზრდაზე.

ზარალის ანარიცხი ითვლება მოცემული საფუძვლებიდან ერთ-ერთით, ა) 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - თუ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მისი საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვან ზრდას არ განიცდის, ბ) არსებობის მანძილზე არსებული საკრედიტო ზარალი - თუ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მისი საწყისი აღიარების შემდეგ განიცდის მნიშვნელოვან ზრდას.

კომპანია სრულად უიმედო ვალებს ჩამოწერს მას შემდეგ, რაც მიიღებს ოფიციალურ დადასტურებს კონტრაგენტის გაკოტრების ან/და ლიკვიდაციის შესახებ ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად.

სავაჭრო მოთხოვნები არ არის უზრუნველყოფილი.

iii. ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება, ლიკვიდობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას, ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა.

ლიკვიდურობის ცხრილი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წელზე ნაკლები	1 დან 5 წლამდე	5 და მეტი ვადით	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	3,262,280			3,262,280
სულ ფინანსური აქტივები	**3,262,280**			**3,262,280**
საგადასახადო ვალდებულებები	7,299			7,299
სავაჭრო ვალდებულებები	184,189			184,189
სულ ფინანსური ვალდებულებები	**191,488**			**191,488**
ლიკვიდურობის პოზიცია	**3,070,792**			**3,070,792**

ლიკვიდურობის ცხრილი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წელზე ნაკლები	1 დან 5 წლამდე	5 და მეტი ვადით	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	2,066,831	-	-	2,066,831
სულ ფინანსური აქტივები	**2,066,831**	**-**	**-**	**2,066,831**
საგადასახადო ვალდებულებები	227,976	-	-	227,976
სავაჭრო ვალდებულებები	95,984	-	-	95,984
სულ ფინანსური ვალდებულებები	**323,960**	**-**	**-**	**323,960**
ლიკვიდურობის პოზიცია	**1,742,871**	**-**	**-**	**1,742,871**

ლიკვიდურობის რისკის მართვისათვის კომპანია ინარჩუნებს ფულადი რეზერვების ადეკვატურ დონეს და ახდენს სასესხო შესაძლებლობების მოძიებას, ამავდროულად, ახდენს მიმდინარე და სამომავლო ფულადი ნაკადების მონიტორინგს და ცდილობს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადების დამთხვევას.

(გ) კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია კაპიტალის მართვით აუმჯობესებს თავის უნარს გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და ამ გზით უზრუნველყოს აქციონერებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის შესაბამისი სარგებლის გადაცემა; ამავდროულად კაპიტალის მართვით კომპანია ინარჩუნებს კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურას, რითაც ამცირებს კაპიტალის ღირებულებას.

კაპიტალი შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განმარტებული მთლიანი კაპიტალისა და წმინდა ვალდებულებებისგან, რომელიც ამ მიზნებისათვის განიმარტება, როგორც სხვაობა მიღებულ სესხებსა და ფულისა და ფულის ექვივალენტებს შორის.

კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნებისა ან/და შეცვლის მიზნით კომპანია ცვლის აქციონერებისადმი გადასახდელი დივიდენდის მოცულობას, უშვებს ახალ აქციონებს ან ვალდებულებების შემცირების მიზნით ყიდის აქტივებს.

კომპანიის კაპიტალის რისკის მართვის პოლიტიკა უცვლელია 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული ფინანსური წლის შემდეგ.

17. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები

კომპანიას არ აქვს რაიმე ტიპის პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

18. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები არიან კომპანიის მფლობელები, საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები და უმაღლესი რანგის მენეჯმენტი.

დაკავშირებულმა მხარეებმა შესაძლოა დადონ გარიგებები, რომლებსაც არ დადებდნენ არადაკავშირებულ მხარეებთან და განახორციელონ ტრანზაქციები, რომლებზეც არ იმოქმედებს ის პირობები, რომლებიც იმოქმედებდა არადაკავშირებულ მხარეებთან.

დაკავშირებულ მხარეთა პოტენციური კავშირის დასადგენად ყურადღება ექცევა გარიგების და ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას.

(ა) მფლობელები

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი არის თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა.

„ბასს 24“-ის 25-ე პუნქტის მიხედვით: ანგარიშვალდებული საწარმო განთავისუფლდება ინფორმაციის გამჟღავნების შესახებ მე-18 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნებისგან, თუ დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები და დაუფარავი ნაშთები, მათ შორის ვალდებულებები, ეხება:

ა) სახელმწიფოს, რომელიც აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს, ან მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ანგარიშვალდებულ საწარმოზე;

შესაბამისად, კომპანიას არ განუცხადებია თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასთან განხორციელებული ოპერაციებისა და დაუფარავი ნაშთების შესახებ ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნებში.

(ბ) უმაღლესი რანგის მენეჯმენტის ანაზღაურება

წლის განმავლობაში უმაღლესი რანგის მენეჯმენტის მიერ მიღებულმა ანაზღაურებამ და მოკლევადიანმა სარგებელმა შეადგინა:

ლარი	2021	2020
ანაზღაურება და მოკლევადიანი სარგებელი	226,750	214,450

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია სხვა მნიშვნელოვან მოვლენებს.



შპს ,,ეკოსერვის ჯგუფი“

2021 წლის მმართველობის ანგარიშგება



სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;

საფირმო სახელწოდება: შპს „ეკოსერვის ჯგუფი“;

საიდენტიფიკაციო ნომერი: 404553666;

100% წილის მმართველი -საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი;

იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, მედეა (მზია) ჯუღელის ქუჩა N1 (სანაპიროს ქუჩა № 8);

ელექტრონული ფოსტა: info@ecosg.gov.ge;

სარჩევი

1. დირექტორის მიმართვა.
2. კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა
3. კომპანიის ქონება და კაპიტალი
4. კომპანიის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა
5. კომპანიის სტრუქტურა
6. კომპანიის მატერიალურ ტექნიკური ბაზა
7. კომპანიის მიერ განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები
8. მიღწეული შედეგები და განვითარების გეგმები
9. სოციალური და დასაქმების საკითხები
10. საზოგადოების ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები
11. გარემოს და ნარჩენების მართვა
12. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

შპს ,,ეკოსერვის ჯგუფი“-ს დირექტორის

მ ი მ ა რ თ ვ ა

ძვირფასო პარტნიორებო, ფინანსური და
მმართველობითი ანგარიშის მომხმარებლებო

,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად წარმოგიდგენთ შპს ,,ეკოსერვის ჯგუფი“-ს 2021 წლის ანგარიშს

შპს ,,ეკოსერვის ჯგუფი“-ს დირექტორი: ვახტანგ ნოზაძე

საქმიანობის ანგარიში

კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა

შპს ,,ეკოსერვის ჯგუფი“ (შემდგომში-კომპანია) შეიქმნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის (შემდგომში - მთავრობა) 2018 წლის 21 თებერვლის N18.8.66 განკარგულების საფუძველზე (სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში რეგისტრაციის თარიღი - 2018 წლის 22 თებერვალი). კომპანია შექმნილია განუსაზღვრელი ვადით;

წესდების შესაბამისად, კომპანიის საქმიანობის საგანს წარმოადგენს თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული, წესდების დანართ 1-ში ჩამოთვლილი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის დავალების შემთხვევაში ასევე სხვა) გამწვანებული ტერიტორიების, დასასვენებელი ადგილების, შადრევნების მოვლა-პატრონობა, კერძოდ:

ა) გამწვანებული ტერიტორიების და დასასვენებელი ადგილების მოვლა-პატრონობა, მათ შორის:

ა.ა. ნიადაგის მომზადება დარგვისათვის ან თესვისათვის, სტრუქტურა დარღვეული ნიადაგის მოჭრა და გატანა, ნიადაგის ნოყიერი ნაზავის მიწოდება, გაშლა და მოსწორება, ნიადაგის გადაბარვა და მოსწორება (პლანირება), მულჩირება, მოხრეშვა;

ა.ბ) მწვანე ნარგავების დარგვა და გადარგვა;

ა.გ) გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა რომელიც მოიცავს: გაზონის, ხვიარა მცენარეების, საყვავილე თარგების (ყვავილნარი), ხეების, ბუჩქების (მათ შორის, ტროტუარი), ქოთნის მცენარეების მოვლას, ტერიტორიის გათიბვას;

ა.დ) ხეების ფორმირებითი, სანიტარული და გამაახალგაზრდავებელი სხვლა;

ა.ე. მწვანე ნარგავების მოვლის ღონისძიებებში მონაწილეობა სტიქიური და სხვა გაუთვალისწინებელი მოვლენების შემთხვევაში;

ა.ვ) გამწვანებულ ტერიტორიებზე ყინვისადმი არამდგრადი მცენარეების შეფუთვა, გაზონებისა და ყვავილნარების მოვლა პატრონობა, თბილისის ტერიტორიაზე არსებული ვერტიკალური გამწვანების (მცენარეების) მოვლა-პატრონობა;

ა.ზ) მოვლითი ჭრების განხორციელება, მათ შორის დამფუძნებლის დავალების შემთხვევაში;

ა.თ) სარწყავი სისტემების აღდგენა, მოწყობა და რეაბილიტაცია;

ა.ი) თბილისის ტერიტორიაზე არსებული შადრევნების მოვლა-პატრონობა, რეაბილიტაცია და მოწყობა;

ა.კ) სოკოს ფორმის სასმელი წყაროების მოვლა-პატრონობა, რეაბილიტაცია და მოწყობა;

ა.ლ) რეტერატების მოვლა-პატრონობა;

ბ) ფიტოსანიტარიული ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის:

ბ.ა) მწვანე ნარგავების ფიტოსანიტარიული კვლევა;

ბ.ბ) მწვანე ნარგავების ბიოლოგიური და ქიმიური დაცვა მავნებელი დაავადებებისაგან და შესაბამისი მოვლითი ღონისძიებები, საჭიროებიდან გამომდინარე სხვა აგროტექნიკური ღონისძიებების განხორციელება;

ბ.გ) ხმელი ხეების მოჭრა, კუნძის ამოღება, დამუშავება და გატანა;

ბ.დ) დაავადებული, ზეხმელი, ხმობადი, ფაუტი, გადაბერებული (ამორტიზებული) და ავარიული ხეების მოჭრა;

ბ.ე) სპეციალური ჭრების განხორციელება,

გ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული მწვანე ინფრასტრუქტურის მოწყობის პროექტების ფარგლებში, მესამე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების განხორციელების ზედამხედველობა;

დ) მუნიციპალური სანერგეების მოვლა-პატრონობა და განვითარება;

ე) მოჭრილი მწვანე ნარგავებისა და მწვანე ნარჩენების მართვა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და კომპეტენციის ფარგლებში;

კომპანიას უფლება აქვს მოგების მიღების მიზნით განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა წესდებით გათვალისწინებული.

კომპანიის ქონება და კაპიტალი

კომპანიის ქონებას შეადგენს ძირითადი, საბრუნავი საშუალებები და სხვა ფასეულობები, რომლებიც ასახულია მის დამოუკიდებელ ბალანსში და საჭიროა წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის მატერიალური უზრუნველყოფისთვის.

კომპანიის ქონება შეიძლება იყოს: დამფუძნებლის მიერ კომპანიისთვის გადაცემული ქონება; კომპანიის მიერ შეძენილი ქონება; ქონების მიღების სხვა წყაროები, რაც არ იკრძალება მოქმედი კანონმდებლობით;

კომპანიის შემოსავლის წყაროებია: დამფუძნებლის მიერ კომპანიისთვის გადაცემული ფულადი სახსრები; საკუთარი საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლები; სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ბანკების, სხვა საფინანსო დაწესებულებების, საწარმოების, გაერთიანებების, ფონდების, სპონსორების, საერთაშორისო ორგანიზაციების, აგრეთვე ცალკეულ პირთა შემოწირულობანი; საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

კომპანიას დამფუძნებლის მიერ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემული აქვს შემდეგი სახის უძრავი ქონება:

N	დასახელება	მისამართი	საკადასტრო კოდი	ფართობი (კვ.მ)
1	შენობა ნაგებობა N1	ქ. თბილისი, ქუჩა სამღერეთი N3	01.12.14.096.009	187.47
2	შენობა ნაგებობა N2			187.8
3	შენობა ნაგებობა N3			321.49
4	შენობა ნაგებობა N4			1585.03
5	მიწის ნაკვეთი (არასასოფლო)			20131
6	შენობა ნაგებობა N2-ის მეორე სართულის ნაწილი	ქ. თბილისი, გამზირი ილია ჭავჭავაძე, N76	01.14.10.002.050	174.66
7	მიწის ნაკვეთი (არასასოფლო)			მე-6 პოზიციაზე მითითებული ფართის შესაბამისი წილობრივი
8	შენობა ნაგებობა N1-ში მესამე სართულის ნაწილი	ქ. თბილისი, მედეა (მზია) ჯუღელის ქუჩა N 1 (სანაპიროს ქ. N8)	01.15.03.004.027	249.25
9	მიწის ნაკვეთი (არასასოფლო)			მე-8 პოზიციაზე მითითებული ფართის შესაბამისი წილობრივი
10	შენობა ნაგებობა N1	ქ. თბილისი, თბისლისის ზღვა, სანატორიუმ ქართლის მიმდებარედ	01.12.10.007.042	293.52
11	შენობა ნაგებობა N2			298
12	შენობა ნაგებობა N3			275.86
13	შენობა ნაგებობა N4			71.66
14	შენობა ნაგებობა N5			19.92
15	შენობა ნაგებობა N6			28.14
16	შენობა ნაგებობა N7			1462.38
17	მიწის ნაკვეთი (არასასოფლო)			62252
18	ბინა N34	ქ. თბილისი, ქუჩა ჩიქოვანი N30	01.10.17.023.001.00.01.503	80
19	მიწის ნაკვეთი (არასასოფლო)			18-ე პოზიციაზე მითითებული ფართის შესაბამისი წილობრივი

20	ბინა N35	ქ. თბილისი, ქუჩა ჩიქოვანი N36	01.10.17.023.001.01.0 1.035	85.38
21	მიწის ნაკვეთი (არასასოფლო)			20-ე პოზიციაზე მითითებული ფართის შესაბამისი წილობრივი
22	ბინა N1	ქ. თბილისი, ქუჩა ჩიქოვანი N34	01.10.17.023.001.03.0 1.520	90
23	მიწის ნაკვეთი (არასასოფლო) და მასზედ განთავსებული N1, N2 შენობა-ნაგებობა	ქ. თბილისი, ახვლედიანის ქუჩა მე-2 შესახვევი, N4	01.19.17.001.094	30768

კომპანიას დამფუძნებლის მიერ საკუთრებაში გადაცემული აქვს შემდეგი სახის მოძრავი ქონება:

N	დასახელება	განთავსების მისამართი	ფართობი (კვ.მ)
1	ხის დროებითი სამეურნეო ნაგებობა (კოტეჯი)	ქ.თბილისი ახვლედიანის 2 შესახ, 4	55,00
2	ხის დროებითი სამეურნეო ნაგებობა (კოტეჯი)		85,77


<u>კომპანიის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა</u>

კომპანიის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობას სრულად ახორციელებს დირექტორი, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს დამფუძნებელი (კომპანიის დირექტორი დანიშნულია მთავრობის 2018 წლის 21 თებერვლის N18.9.67 განკარგულების საფუძველზე), დირექტორი ინიშნება უვადოდ ან დამფუძნებლის მიერ განსაზღვრული ვადით.


კომპანიის დირექტორი: მოქმედებს კომპანიის სახელით და წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში; კომპანიის სახელით დებს ხელშეკრულებებს, გასცემს მინდობილობებს; კომპანიის მიზნების მისაღწევად იყენებს კომპანიის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებულ ქონებას, მატერიალურ სახსრებს, წესდებით დადგენილი წესით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად იძენს და განკარგავს ქონებას, ამასთან კომპანიის დირექტორი პასუხისმგებელია მატერიალური სახსრების მიზნობრივ და დანიშნულებისამებრ გამოყენებაზე; ხსნის და ხურავს ანგარიშებს საბანკო დაწესებულებებში, ხელს აწერს კომპანიის საფინანსო და სხვა სახის ოფიციალურ დოკუმენტაციას; ამტკიცებს კომპანიის შინაგანაწესს, საჭიროების შემთხვევაში თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობებს; დამფუძნებელს დასამტკიცებლად წარუდგენს ბიუჯეტის პროექტს; დამფუძნებელს დასამტკიცებლად წარუდგენს საშტატო ნუსხას, შტატგარეშე თანამშრომელთა ზღვრულ ოდენობას და შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს; დამფუძნებლის თანხმობით ამტკიცებს შესაძენი საწვავისა და გასაწევი საკომუნიკაციო ხარჯების ლიმიტების ოდენობას; ნიშნავს და ათავისუფლებს კომპანიის თანამშრომლებს, დებს მათთან შრომით ხელშეკრულებებს, ახდენს მათ შორის ფუნქციების გადანაწილებას, განსაზღვრავს დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს; საჭიროების შემთხვევაში ქმნის საკონსულტაციო ორგანოებს (საბჭო, კომისია, სამუშაო ჯგუფი) და განსაზღვრავს მათ ფუნქციებს; დამფუძნებლის თანხმობით ამტკიცებს ლოგოს და სხვა ოფიციალურ სიმბოლიკას; დამფუძნებელს წარუდგენს ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ; ამტკიცებს კომპანიის სტრუქტურული ერთეულების დებულებებს; დამფუძნებელთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს კომპანიის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების ხელმძღვანელებს; საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს და დამფუძნებელს დასამტკიცებლად წარუდგენს კომპანიის მიერ გასაწევი მომსახურების ტარიფებს; კანონმდებლობის შესაბამისად გამოსცემს ბრძანებებს; ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და წესდებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

კომპანიის სტრუქტურა

კომპანიის სტრუქტურა წესდების შესაბამისად განსაზღვრულია შემდეგნაირად:



თავის მხირვ შიდა სტრუქუტრული გადანაწილება განსაზღვრულია შემდეგნაირად:



კომპანიის შინაგანაწესი (შემდგომში - ,,შინაგანაწესი“) შემუშავებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად და მისი მიზნებია: ა) კომპანიისათვის დაკისრებული ფუნქციების და ამოცანების სრულყოფილად განხორციელების ხელშეწყობა; ბ) შრომის დისციპლინის უზრუნველყოფა; გ) სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენება; დ) სამსახურებრივ მოვალეობათა ეფექტურად განხორციელების ხელშეწყობა; ე) დასაქმებულთა კვალიფიკაციის დონისა და პროფესიული უნარ-ჩვევების გამოვლენის ხელშეწყობა; ვ) დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის არსებული შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების განსაზღვრა; ზ) კონკურსის მეშვეობით დასაქმებულთა შერჩევისას კონკურსის ჩატარების ორგანიზება; თ) დასაქმებულთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხების განსაზღვრა; ი) კომპანიის ეფექტური ფუნქციონირებისათვის საჭირო სხვა ღონისძიებების განხორციელება.
აღსანიშნავია, რომ კომპანიის სტრუქტურული ერთეულების დებულებებით დეტალურადაა გაწერილი თითოეული მათგანის უფლება-მოვალეობები, ხოლო დასაქმებულებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები ასევე დეტალურად განსაზღვრავს მათ სამსახურებრივ უფლება-მოსილებებს, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს თითოეული თანამშრომლის სამოქმედო გეგმას.

<u>კომპანიის მატერიალურ ტექნიკური ბაზა</u>

2021 წლის 01 იანვრის მდგომარეობით კომპანიის ბალანსზე ირიცხებოდა შემდეგი ავტოსატრანსპორტო საშუალებები/სპეციალური ავტოსატრანსპორტო საშუალებები:

N	დასახელება/მარკა/მოდელი	რაოდენობა
1	KAMAZ 43253 XX112DD	1
2	KAMAZ 43253 XX114DD	1
3	KAMAZ 43253 XX122DD	1
4	KAMAZ 43253 XX123DD	1
5	KAMAZ 43253 XX124DD	1
6	FORD KARGO 2524 XX118DD	1
7	FORD KARGO 3430D XX125DD	1
8	DEUTZ-FAHRD GG564S	1
9	KIA k 2700 XX231DD	1
10	KIA CERATO XX233DD	1
11	KIA PICANTO XX227DD	1
12	KIA OPTIMA XX121DD	1
13	KIA RIO XX110DD	1
14	Mercedes sprinter 212D TT248JJ	1
15	ურალი 375 LL309UU	1
16	FORD TRANSIT OZ-824-OO	1
17	FORD TRANSIT ZS-407-ZS	1
18	FORD TRANSIT GC-331-GG	1
19	FORD TRANSIT GC-332-GG	1
20	MERCEDES BENZ SPRINTER FW-170-WF	1
21	IVECO DAILY 70C15 , ZCFC070A405218808 თვითმცლელი II236YY	1
22	ამწე კალათა IVECO ML140, ANSAN ATP26, ZCFA41JG102678408	1
23	ამწე კალათა IVECO ML120, ANSAN ATP22, ZCFAD1EG202680341	1
24	toyota prius KK-283-FF	1
25	TOYOTA PRIUS VZ-692-ZV	1
26	TOYOTA PRIUS GG-551-PP	1
27	ექსკავატორ დამტვირთველი ახალი	1
28	HYUNDAI	1

29	თვითმცლელი TT840IT DAF LF 250 FA	1
30	თვითმცლელი TT842IT DAF LF 250 FA	1
31	თვითმცლელი TT841IT DAF LF 250 FA	1
32	MERCEDES-benz vario 814D UO054UU	1
33	MERCEDES-benz vario 814D CC930UU	1
34	თვითმცლელი მისაბმელი (ტრაქტორი) მწარმოებელი კომპანია PALAZOGLU მოდელი TRA.S.1000 ზომები 200*120*50 სმ	1
35	მინი ექსკავატორდამტვირთველი	1
36	Iveco Daily 70C15 EURO5 ZCFC170AX05329392 სპეციალური დანიშნულების ავტ.საშუალება (ამწე კალათა)	1
37	Iveco Daily 70C15 EURO5 ZCFC170AX05329391 სპეციალური დანიშნულების ავტ.საშუალება (ამწე კალათა)	1
38	Iveco Daily 70C15 EURO5 ZCFC170A105329118 თვითმცლელი (VV365DD)	1
39	Iveco Daily 70C15 EURO5 ZCFC170A505328845 თვითმცლელი	1
40	Iveco Daily 70C15 EURO5 თვითმცლელი	1
41	FORD transit (ფურგონი)	1
42	FORD transit (ავტობუსი)	1
43	TOYOTA prius VP517PP	1
44	Mercedes Benz Vario VV685FF	1
45	Mercedes Benz Vario BC502BB	1
46	Mercedes Benz Vario BC503BB	1
47	Mercedes Benz Vario VV691FF	1
48	KIA OPTIMA JJ722XX	1
49	Toyota Priuss JJ723XX	1
50	KIA OPTIMA JJ721XX	1
51	TOYOTA PRIUSS FY822YF	1
52	Ford Transit ZZ824TZ	1
53	Ford Transit Tripper KQ103QK	1
54	Mercedes Benz Vario triper WO129WW	1
55	FORD Transit BUS SY410YS	1
56	Ford Transit LL188DD	1
57	Mercedes Benz Vario TT841LL	1
58	Ford Transit NN655QQ	1
59	Mercedes-Benz Sprinter WO348WW	1
60	Mercedes-Benz Vario WM731MM	1
61	Mercedes-Benz Unimog 424 UU078AA	1

საანგარიშო პერიოდის დასაწყისში კომპანიის ბალანსზე ასევე ირიცხებოდა შემდეგი დასახელებისა და რაოდენობის მცირე ძრავიანი მანქანა მექანიზმები:

N	დასახელება	რაოდენობა
1	ტელესკოპური ბენზოხერხი რეგულირებადი ღერძით ხის გასასხლავად STIHL HT 103	1
2	ბენზოსაკრეჭი (ბუჩქების) STIHL HS 82 T	3
3	გაზონის საკრეჭი მანქანა ბორბლებზე ჰუსქვარნა LG 356 VP	12
4	ბენზოხერხი პროფესიონალური დანიშნულების STIHL MS 462	2

5	ბენზოცელი STIHL FS 250 ძუით საჭრელი თავაკით და ლითონის დისკით	6
6	გაზონის საკრეჭი მანქანა ბორბლებზე Husqvarna /LC 140S	5
7	გაზონის საკრეჭი მანქანა ბორბლებზე ჰუსქვარნა /LC 140S	4
8	HUSQVARNA LC 140S გაზონის საკრეჭი მანქანა ბორბლებზე	3
9	HUSQVARNA LC 153 S გაზონის საკრეჭი მანქანა ბორბლებზე	4
10	Husqvarna /125BVX ბაღის ბენზომტვერსასრუტი შესრუტვის და დაბერვის ფუნქციით	1
11	STIHL MS 194 T ბენზოხერხი არბორისტის	1
12	ბალახის საკრეჭი	1
13	ბალახის საჭრელი ბორბლებზე HUSQVARNA LC247S	1
14	ბალგარკა TE-AG 230/2000	1
15	ბარგალკა te-ag 125 ce 1100W	1
16	ბარგალკა te-ag 230 2350W	2
17	ბაღის ბენზო-მტვერსასრუტი შესრუტვის და დაბერვის ფუნქციით Husqvarna/125BVX	10
18	ბენზო სარწყავი-BAIKAL	2
19	ბენზო სარწყავი VOLK 20 ლიტრი ტევადობის სიმძლავრე 3.2 kW	10
20	ბენზო ძრავიანი სათიბელა STIHL FS410 C-E	4
21	ბენზო ხერხი HUSQVARNA 365	1
22	ბენზო ხერხი ტოტების საჭრელი	1
23	ბენზო ჰაერის შემწოვი-გამწოვი HUSQVARNA 125BVX	10
24	ბენზოსაკრეჭი (ბუჩქების) STIHL HS 82 T	2
25	ბენზოსაკრეჭი ბუჩქების Husqvarna/226HD755	13
26	ბენზოსაკრეჭი (ბუჩქების)-STIHL HS82T	8
27	ბენზოსაკრეჭი (ბუჩქების)-STIHLHS82T	4
28	ბენზოცელი STIHL FS 250 ძუით საჭრელი თავაკით და ლითონის დისკით	23
29	ბენზოცელი აშშ/McCulloch/B43 BT	12
30	ბენზოცელი HURSQVARNA 128R	1
31	ბენზოცელი STHIL FS55	6
32	ბენზოცელი STIHL FS55	2
33	ბენზოცელი-STIHL FS120	60
34	ბენზოხერხი პროფესიონალური დანიშნულების Husqvarna/450 სიმძლავრე:3.2 ც.ძ /2.4 კვ	15
35	ბენზოხერხი არბორისტის Husqvarna/T435	10
36	ბენზოხერხი პროფესიონალური დანიშნულების STIHL MS 462	1
37	ბენზოხერხი პროფესიონალური დანიშნულების STIHL MS 462	8
38	ბენზოხერხი პროფესიონალური დანიშნულების Husqvarna 372 XP სიმძლავრე:5.5 ც.ძ/41 კვ	5
39	ბენზოხერხი HUSQVARNA 365	5
40	ბენზოხერხი HUSQVARNA 365	1
41	ბენზო ხერხი HUSQVARNA 440	1
42	ბენზოხერხი HUSQVARNA 365	6
43	ბენზოხერხი STIHL MS 880	1
44	ბენზოხერხი STIHL MS261	2
45	ბენზოხერხი დიდი EBP6010-1	1
46	ბენზოხერხი ეგპ 5410-1 EPA	2
47	ბენზოხერხი პროფესიონალური დანიშნულების STIHL MS 250	5
48	ბურღის პირი დიამეტრი:35 სმ: პირის სიგრძე : 67,5 სმ მწარმოებელი - AUGER TORQUE EUROPE LTD	3

49	ბუჩქების საკრეჭი	1
50	ბუჩქების საჭრელი ბენზო-ხერხი HUSQVARNA 122HD60	7
51	გაზის კონვექტორი akog 4 h. beige	1
52	გაზონის საკრეჭი მანქანა ბორბლებზე STIHL RM 248 T	21
53	გაზონის საკრეჭი მანქანა ბორბლებზე viking, mb448. 1t	10
54	გაზონის საკრეჭი მანქანა ბორბლებზე აშშ/McCulloch/M51-150 WR	12
55	გაზონის საკრეჭი მანქანა ბორბლებზე STIHL RM 443 T	4
56	გაზონის საკრეჭი მანქანა ბორბლებზე Husqvarna /LC140S	5
57	გაზონის საკრეჭი მანქანა ბორბლებზე-VIKING MB443t	5
58	გაზონის საკრეჭი მანქანა ბორბლებზე-VIKING MB650T	5
59	ელ.ბურღი 850ვტ	1
60	ელექტრო დრელი ტე-იდ 500 ე	2
61	ელექტრო სალაშინი tr-pl 82 850 w	1
62	ელექტრო ფენი metabo-- ვოლტაჟი 230ვ, სიხშირე 50ჰ, სიმძლავრე 2300ვ, ტემპერატურა 50-650 გრადუსი,წონა 0,9 კგ.	1
63	ინსტრუმენტი მრავალფუნქციური ბენზინზე მომუშავე	1
64	კუთხის საჭრელი (ბარგალკა) -- ვოლტაჟი 230ვ,სიშირე 50 ჰ,სიმძლავრე 900ვ,დისკის ზომა -125მმ,სიჩქარე 11 800 ბრუნი წთ-ში,წონა 2.05 კგ.-ჩინეთი, DEWALT, DWE4157	2
65	მაღალი წნევით რესხვის აპარატი კერხერ მოდელი: HD 9/23 (ოთხტაქტიანიძრავი ორი ცალი მაღალი წნევის შლანგი ორი ცალი ბრტყელი ზედაპირის ცირკულარური საწმენდი ერთი ცალი თოფი)	1
66	მაღალი წნევით რეცხვის აპარატი კერხერი მოდელი: HD 10/21 (გამფრქვევი 1 ლიტრიანი ავზით ქაფის გამფრქვევი სამარჯვის გადამყვანი ძირითადი და დამხმარე წყლის მილის კონექტორი წყლის მიმწოდებელი მილი მაღალი წნევის მილი მაღალი წნევის მილის გადასაბმელი	1
67	მაღალი წნევით რეცხვის აპარატი-KARCHER HD 8/3 G*KAP	1
68	მილების გადასაბმელი უთო -- პოლიპროპილენის მილების გადასაბმელი უთო სიმძლავრე - 800 ვატი. ტემპერატურა - 0-300 Cქ. გაცხელების დრო - 10 წთ. 20-90მმ-ჩინეთი, DEFORT, DWP-1000	2
69	მიწის ზედა სახანძრო ჰიდრანტი აქვს სტენდერი 2 ამომსვლელით (1 ცალი ფლიანეცი, 1 ცალი ფლიანეცის შუასადები რეზინა 1 ცალი მეტალის მილის გადამყვანი 8 ცალი ჭანჭიკი)	1
70	მოტორიანი ხერხის მოდელი	1
71	მრავალფუნქციური ტოტმჭრელი ბენზო ძრავზე HUSQVARNA 525P5S	3
72	მრავალფუნქციური ტოტმჭრელი ბენზო ძრავზე HUSQVARNA 525P5S	6
73	პალეტის ასაწევი ჩანგლები JCB 3CX514M2NM მარკის ექსკავატორის ფრონტალური დამტვირთველზე თავსებადი სიგრძე: 122 სმ: სიგანე: 10 სმ: სისქე: 4,5 სმ:	1
74	პერფერატორი -- ვოლტაჟი 230ვ,სიხშირე 50ჰ,სიმძლავრე 800 ვატი,ბურღის ზომა:ბეტონი 26მმ,დარტყმის ძალა 3.0ჯლჯ, დარტყმის სიჩქარე 0-5540 დარტყმა წთ-ში,სიჩქარე 0-1500 ბრუნი წთ-ში ,წონა 3,0კგ.-ჩეხეთი, DEWALT, D25134K	1
75	პერფერატორი საშუალო 1150 ვტ	1
76	საბურღი მანქანის PF400 ის ნიადაგის გამაფხვიერებელი	2
77	საბურღი -- სიმძლავრე: 18ვ/1.5ა ბრუნვის სიმძლავრე 65 ნმ, სვერლოს მაქსიმალური დიამეტრი: 13მმ, ბრუნვის სიჩქარე :0-500/0-1750 ბრუნი წუთში, წონა 1,5კგ.-ჩინეთი, DEWALT, DCD777S2T	3
78	სარწყავი სისტემის წყლის ტუმბო მოდელი HII,60/125 A-01	3
79	სკარიფიკატორი STIHL RL 540	5

80	ტელესკოპური ბენზო ბუჩქების საკრეჭი STIHL HL 92 C-E	2
81	ტელესკოპური ბენზოხერხი რეგულირებადი ღერძით ხის გასასხლავად STIHL HT 103	5
82	ტელესკოპური ბენზო ბუჩქების საკრეჭი Husqvarna/325HE4	9
83	ტელესკოპური ბენზოხერხი რეგულირებადი ღერძით. ხის გასასხლავად Husqvarna/525PT55	14
84	ტელესკოპური ბენზოხერხი STIHL HT75	1
85	ტყის ნერგების ხელით სარგავი ინსტრუმენტული მილი	7
86	ფოტო კამერა სამოყვარულო	1
87	ქვის სამტვრევი რკინის ლომი	1
88	შემდუღებელი აპარატი --მიმდინარე გამომსვლელი 5-160ა,ელექტროდი 1,5-4,0 მმ,იზოლაციის კლასი H, დაცვის კლასი IP 23S, წონა 4,4კგ. ელექტროფარით-იტალია, FIMER, K185	1
89	შესადუღებელი ინვერტორი PATOH VDI-160E დამცავი ნიღბით	1
90	შესაწამლი აპარატი	2
91	შესაწამლი აპარატი ზურგზე მოსაკიდებელი Gardena 84-20	4
92	წყლის ტუმბო ბენზინის HYUNDAI 3 HWP80 ტუმბოს აქვს შემომავალი და გამავალი 12 მეტრის სიგრძის მილი და მილზე დამაგრებული მეტალის ფილტრი უკუსარქველით	5
93	წყლის ავზი (ტევადობა -5000.00 ლიტრი; ცილინდრულ-ჰორიზონტალური; თეთრი ფერის: გამომავალი შტუცერის დიამეტრი -40 მმ0	4
94	ხელის მექანიკური ტოტმჭრელი 330სმ SILKY	1
95	ხელის მოტობლოკი (მინი ტრაქტორი) HYUNDAI GM135F 10Hp დიზ	2
96	ჯაჭვური ხერხი CS2040	1
97	ჰიდრავლიკური საბურღი მექანიზმი JCB 3CX514M2NM მარკის ექსკავატორის უკანა ისარზე თავსებადი მოდელი -8000 MAX	1

საანგარიშო პერიოდში კომპანიის მიერ შეძენილი იქნა სხვადასხვა სახის ძირითადი საშუალებები, მათ შორის:

N	შესყიდული საქონლის			რაოდენობა	ჯამური ღირებულება	ტენდერის ნომერი რის საშუალებითაც განხორციელდა შესყიდვა
	დასახელება	მწარმოებელი კომპანია	მარკა/ მოდელი			
1	ბორტიანი სატვირთო ავტომობილი	MERCEDES-BENZ	VARIO	1.00	31750.00	NAT210006968
2	ბორტიანი სატვირთო ავტომობილი	MERCEDES-BENZ	VARIO	1.00	35300.00	NAT210009411
3	10-ზე ნაკლები ადამიანის გადასაყვანი ავტოსატრანსპორტო საშუალება	Mercedes-Benz	Vito	1.00	28995.00	NAT210012239
4	თვითმცლელი	MERCEDES-BENZ	VARIO	1.00	49000.00	NAT200016365
5	თვითმცლელი	FORD	TRANZIT	1.00	36700.00	NAT210018941
6	ბორტიანი სატვირთო ავტომობილი	FORD	TRANZIT	1.00	30770.00	NAT210021819
7	ფურგონი	FORD	TRANZIT/Connect	1.00	10995.00	NAT210021820

8	ზურგის შესაწამლი აპარატები	Cifarelli S.p.A	M1200	19.00	44270.00	NAT210011755
9	გაზონის საკრეჭი ტრაქტორი	STIHL	RT 5097.1	1.00	10053.00	NAT210016891
10	მაღალი წნევით რეცხვის აპარატი	KARCHER	HD 9/23 G	2.00	31160.00	NAT210018015
11	ორმოს ამოსაღები საბურღი მოწყობილობა	STIHL	BT 131	1.00	6914.00	NAT210018578
12	სასუქის შესატანი ურიკა	Gardena	Spreader XL	17.00	7497.00	NAT210018723
13	გაზონის საკრეჭი მანქანა ბორბლებზე	ჰუსქვარნა	LC 356VP	45.00	76500.00	NAT210019939
14	გაზონის საკრეჭი მანქანა ბორბლებზე	ჰუსქვარნა	LC 140SP	10.00	11500.00	
15	გაზონის საკრეჭი მანქანა ბორბლებზე	ჰუსქვარნა	LC 151S	20.00	28000.00	

<u>კომპანიის მიერ განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები</u>

NAT210009822 ელექტრონული ტენდერის ფარგლებში განხორციელდა ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირზე, მეტრო ,,თავისუფლების მოედნის“ მიმდებარედ განთავსებული სოკოს ფორმის სასმელი წყაროს (საკადასტრო კოდი 01.15.05.064.005) აღდგენა/რესტავრაციის სამუშაოები, საერთო ღირებულებით 39345.28 ლარი, ხოლო NAT210011407 ელექტრონული ტენდერის ფარგლებში განხორციელდა ქ. თბილისში, ვარკეთილი 3, III მიკრორაიონი, კორპუსი 310-ის მიმდებარედ (ს/კ: 01.19.39.015.024) არსებულ სკვერში შადრევნის მოწყობის სამუშაოები, საერთო ღირებულებით 296994.36 ლარი. გარდა აღნიშნულისა, კომპანიის შიდა რესურსის საშუალებით მუდმივ რეჟიმში ხორციელდება დაზიანებული შადრევნების აღდგენითი სამუშაოები, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს კომპანიის მოვლა-პატრონობაში არსებულ შადრევნების გამართულ ფუნქციონირებას და ვიზუალური ხარისხის ამაღლებას.

<u>მიღწეული შედეგები და განვითარების გეგმები</u>

შპს „ეკოსერვის ჯგუფი“-ს მიერ 2021 წელს განხორციელდა შემდეგი სახის სამუშაოები:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების წამლობა შემდეგ მისამართებზე/ლოკაციებზე: ჯავახეთისა და კუპრაძის ქუჩებზე არსებულ შუა ზოლში (სამჯერ); რიყის პარკში (ორჯერ); მონუმენტის „ადამიანი და მზე“-ს მიმდებარედ არსებულ თარგებში (სამჯერ); ევროპის ქუჩაზე არსებულ შუა ზოლში და განაპირა გამწვანების (სამჯერ); მირიან მეფის ქ. (ორჯერ სრულად ქუჩა და დამატებით ერთხელ შუა ზოლი) და ჯორჯ ბალანჩინის ქუჩებზე არსებულ შუა ზოლში; ვაკის პარკში (ორჯერ); მოსკოვის გამზირზე (განაპირა და შუა ზოლი) (ორჯერ). აგრეთვე, შეიწამლა კახეთის გზატკეცილის განაპირა ზოლი, დამხმარე ზოლი და განაპირა თარგები - ორჯერ); ვარკეთილში, ს. თაყაიშვილის ქუჩის შუა ზოლი (ორჯერ) (ვაშლები და მსხლები დამატებით ორჯერ) და მიმდებარე სკვერები, დ. ალექსიძის და ერთიანობისთის მებრძოლთა ქუჩებზე არსებული შუა ზოლი (ორჯერ); 9 აპრილის ბაღი (ზედა ტერასა ორჯერ, მესამედ წყავები და კოწახურები); ვარკეთილში, კორპ. N325-ის მიმდებარედ არსებული სკვერი (ორჯერ სრულად და მესამედ მხოლოდ კატალპები); ბაგები/წყნეთი სრულად და გზატკეცილზე არსებული კუნძულები, თამარაშვილის გამზირი და მიმდებარე კუნძულები (ორჯერ სრულად შუა ზოლი სამჯერ). ჯავახეთის პირველი ჩიხი, სარაჯიშვილის ქუჩა შუა და განაპირა ზოლები და მიმდებარე სკვერები (ორჯერ); გურამიშვილის გამზირი და გამზირის შუა ზოლი (ორჯერ), ასევე გამზირზე არსებული სკვერები (ორჯერ); მტკვრის მარცხენა და მარჯვენა სანაპირო სრულად (ორჯერ), დამატებით ჭადრები ორჯერ დამუშავდა ფუნგიციდის საშუალებით, ფესვთა სისტემაში შეტანის გზით; ფონიჭალა -მარნეულის გზატკეცილი, შუა და

განაპირა ზოლები (ორჯერ); ნ. შანავას ქუჩა (ფერდი), უცნობ გმირთა ქუჩა (ორჯერ); ვანათის ქუჩა (ორჯერ); ბორის პაიჭაძის ქუჩა (ორჯერ); ევგენი მიქელაძის ქუჩა (ორჯერ); რ. ბარძიმაშვილის ქუჩა (ორჯერ); რობაქიძის გამზ. განაპირა ზოლები (ორჯერ); აკაკი ბაქრაძის ქუჩის განაპირა და შუა ზოლები (ორჯერ) დამატებით ბაქრაძის ქუჩის ფერდზე არსებული კედრები დამუშავდა ფუნგიციდით ფესვთა სისტემაში შეტანის გზით; ხეთაგუროვის სკვერი (ორჯერ); დიღმის ტყე-პარკი (ორჯერ); ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილი (ორჯერ); 26 მაისის მოედანი და მიმდებარედ არსებული სკვერი (ორჯერ); თორნიკე ერისთავის ქუჩა (ორჯერ); რუსთაველის გამზ. განაპირა თარგები და ქოთნის მცენარეები (ორჯერ და მესამედ ბზები და ჭყორები); თავისუფლების მოედანი და ნ. ბარათაშვილის სახელობის სკვერი შეიწამლა ორჯერ; ორბელიანის სახელობის სკვერი (ორჯერ); დიდ დიღომში - პეტრე იბერის ქუჩის განაპირა გამწვანება, ფარნავაზ მეფის ქუჩის შუა ზოლი და განაპირა გამწვანება, ანბანის სკვერი, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩის შუა ზოლი და განაპირა გამწვანება შეიწამლა ორჯერ; მარშალ გელოვანის გამზირის შუა ზოლი (ორჯერ) და განაპირა გამწვანება (სამჯერ და ფიჭვები ოთხჯერ); კანდელაკის ქუჩის გამწვანება; ვაჟა-ფშაველას გამზ. შუა ზოლი (ორჯერ); პირველი რესპუბლიკის პარკი; ზ. ანჯაფარიძის ქუჩის შუა ზოლი; ს. ზაქარიაძის ქუჩის განაპირა თარგები და სკვერი; ილია ჭავჭავაძის გამზ. განაპირა თარგები და კუნძულები (ორჯერ სრულად მესამედ განაპირა თარგები); ტარას შევჩენკოს და ნ. მუსხელიშვილის სახელობის სკვერები (სამჯერ); ცინცაძე-კარტოზიას ქუჩების კვეთაზე არსებული გამწვანება (ორჯერ); ვეტერანთა კულტურისა და დასვენების პარკი (ორჯერ სრულად, მესამედ კატალპები და ტირიფები, ჭადრები და წითელი ნეკერჩხლები); ვერის ბაღი (ორჯერ); აღმაშენებელის გამზ. და მიმდებარედ არსებული სკვერები (ორჯერ სრულად და მესამედ ნეკერჩხლები); კახიძის სკვერი; კ. მარჯანიშვილის ქუჩა (ორჯერ); ელბაქიძის აღმართი (ორჯერ); ცაბაძის ქუჩა (ორჯერ სრულად და მესამედ კუნძული აკაციებით); დინამოს სტადიონის წინ არსებული გამწვანებული კუნძულები (ორჯერ); კრწანისის რაიონში, გორგასლის ქუჩის შუა და განაპირა ზოლები, უსაფრთხოების კუნძულები და სკვერები, კრწანისის ქუჩაზე არსებული სკვერი, დიმიტრი გულია ქუჩის შუა და განაპირა ზოლები (ორჯერ სრულად); სამაიას ბაღი (ორჯერ); გობრონიძის ქუჩის შუა და განაპირა ზოლები (ორჯერ, მესამედ მხოლოდ მუხები); ნონეშვილის ქუჩის შუა და განაპირა ზოლები (ორჯერ); დუმბაძის ქუჩის შუა და განაპირა ზოლები (ორჯერ). ქეთევან დედოფლის გამზ. და მიმდებარედ სკვერები (ორჯერ); წურწუმიას ქუჩაზე არსებული სკვერი (ორჯერ); ბოტანიკური ბაღი (ორჯერ); ვ. გოძიაშვილის სახელობის პარკი (ორჯერ); მუხრანის ქუჩა და მიმდებარედ გამწვანება (ორჯერ), ჯორჯ ბუშის ქუჩა (ორჯერ); ურიდიას ქუჩა (ორჯერ); მელიტონ ფილიას, კლდეკარის და ხერთვისის ქუჩების შუა ზოლები, ქერჩის ქ. ორივე მხარე (ორჯერ); გლდანის გამგეობის მიმდებარედ კუნძულები (სამჯერ); ბ. ჟღენტის ქ. (ორჯერ); გ. ძოწენიძის ქუჩა (ორჯერ); ო. ვეკუას ქ. ორივე მხარე და ხიზანიშვილის ქუჩა (ორჯერ); უნივერსიტეტის ქუჩა (ორჯერ); აღმაშენებლის ძეგლთან კუნძულები და დროშასთან ახალი ნარგავები ორჯერ); გაფრინდაშვილის შუა ზოლი (ორჯერ), ჟან კალანდაძის სკვერი (ორჯერ), თამარ მეფის ხიდის მიმდებარედ არსებული კუნძულები (სამჯერ), თავდაცვის სამინისტროს წინ კუნძული (სამჯერ); ბახტრიონის ქუჩაზე არსებული წრიული (ორჯერ); ა. მიცკევიჩის ქუჩაზე ჭადრები, ა. წერეთლის გამზირზე მაგნოლიები (ორჯერ); ბარათაშვილის აღმართი და სკვერის მიმდებარედ, ავლაბრის ბაღი, ირბახის და წურწუმიას კვეთაზე არსებული სკვერი, ფარნავაზ მეფის ბაღი, კაჩინსკის ქუჩა და სკვერი, შალვა დოლიძის ბაღი (შეიწამლა ორჯერ); ისნის მეტროსთან გზაჯვარედინზე თარგები; სანაპიროზე (სოკარის ოფისთან შუა ზოლი და წრიული თარგი ჰესთან (ორჯერ); იალბუზის ქუჩა და ორივე ასასვლელი ქ. დედოფლის გამზირამდე (ორჯერ); დ. სარაჯიშვილის მეტროს მიმდებარედ არსებული ფიჭვები და ა. შეშელიძის ქუჩაზე არსებული წიწვოვნები (ორჯერ); თბილისის ზღვის მიმდებარედ ფიჭვნარი; ფეიქრების ქუჩა (სამჯერ), ხუდადოვის ქუჩა (სამჯერ), ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილი (სამჯერ); ისთ-ფოინთის მიმდებარედ გახოკიძის ქუჩაზე არსებული გამწვანებული კუნძულები და ფერდები (ორჯერ); ორხევის წმ. ნინოს სახელობის ტაძართან სკვერი (ორჯერ); ორხევის ხიდის მიმდებარედ ფერდები (ორჯერ); ბერიტაშვილის ქუჩისა და ბედიას ქუჩის გამწვანება (ორჯერ); 9 მარტის ბაღი (ორჯერ); წყნეთის ტყე-პარკი (ორჯერ); ქ. ჩოლოყაშვილის გამზ (ორჯერ); მინდელის ქუჩა და მიმდებარედ სკვერი და გამწვანება (ორჯერ); ა. პოლიტკოვსკაიას ქ. (ორივე მხარე, განმეორებით მხოლოდ წიწვოვანი ნარგავები); დინამოს სტადიონის წინ არსებული ა. წერეთლის სახელობის სკვერი (ორჯერ); გიორგი ცაბაძის ქ. (მეორედ მხოლოდ გზის გამყოფი კუნძული); შალვა მეტრეველის ქ., შოთა ლამანიძის ქ., ვლადიმერ მაიაკოვსკის ქ., დ. აღმაშენებლის გამზ. (დინამოდან თამარ მეფემდე), მუშტაითის ბაღის გარშემო გამწვანება (ორჯერ); დინამოს სტადიონიდან წერეთლის 67 ნომრამდე მარჯვენა მხარეს არსებული გამწვანება; აღმაშენებლის ხეივანი შუა ზოლი და განაპირა ფიჭვები (აგრარული უნივერსიტეტის მიმდ.) (ორჯერ); დიღმის მასივი საწვრთნელი ბაზის მიმდებარე გამწვანება (სამჯერ); პარლამენტის შენობის წინ არსებული ბუჩქები (ორჯერ და მესამედ დამუშავდა ფესვთა სისტემა ფუნგიციდის საშუალებით); მ. კოსტავაზე, ჟ. შარტავაზე, პეკინის გამზირზე

არსებულ ქოთნებში ბუჩქები (ორჯერ); ივ. ჯავახიშვილის სახელობის ხიდზე არსებული ქოთნების გამწვანება (ორჯერ); გალაკტიონის ძეგლის მიმდებარე გამწვანება (ორჯერ); ბუკიას ბაღის ნაწილი, ბახტრიონის ქუჩაზე საბავშვო ბაღი "იმედის“ გამწვანება; ოპერის მიმდებარედ არსებული სკვერები (ორჯერ); ანაპის 414 დივიზიის ქ. (სარაჯიშვილიდან უცნობ გმირთა ქუჩამდე მარჯვენა და მარცხენა მხარე (წიწვოვნები) (ორჯერ); ვეფხი და მოყმის მონუმენტის მიმდებარე გამწვანება (ორჯერ); "მონუმენტ საქართველოს მატიანეს“ მიმდებარედ არსებული გამწვანება (ორჯერ, მათ შორის წიწვოვანი ახალი ნარგავები); თბილისის ზღვის სანერგე (სამჯერ); გრიბოედოვის ძეგლის მიმდებარე სკვერი; ს. მდივანის ქუჩის გამწვანება; გმირთა მოედანი - ესტაკადის გამწვანება და მიმდებარე სკვერები (სამჯერ); ლ. გოთუას ქუჩა და ლ. გოთუას ქუჩაზე არსებული სკვერი (ორჯერ); სამღერეთის ქ. N3 (სანერგე მეორნეობა) (სამჯერ); გარეჯის ქუჩის გამწვანება (ორჯერ); დენდროლოგიური პარკი; კახეთის გზატკეცილზე (კვიდოები) და „ადამიანი და მზის“ და ბუშის ქუჩის მიდ. ნიკერჩხლები დამუშავდა ფუნგიციდის საშუალებით ფესვთა სისტემაში შეტანის გზით; ზაარბრუკენის მოედანზე არსებული თარგები და ლონდონის ბაღი; ბახტრიონის ქ. 7 (ეზო), იოსებიძის ქ. N72ა და N72ბ, ალ. ყაზბეგის 20ა, ალ. ყაზბეგის 29ბ, დ. გამრეკელის N 5, 1, 7 (წინა მხარე), შ. ნუცუბიძის ქ. N42 (2) და 42 კორპუსების მიმდებარე გამწვანება (ეზოს გამწვანება), ვაჟა-ფშაველას გამზირი II კვ. 32-33 კორპუსებს შორის ეზო, ვაჟა-ფშაველას გამზირი 3 კვ. 6ა და 13 კორპუსების მიმდებარე გამწვანება, ზ. ფანასკერტელ-ციციშვილის ქ. N11-ის მიმდებარედ სკვერი, ზ. ფანასკერტელ-ციციშვილის ქ. N14 (მიმდებარედ გზის ორივე მხარე), ზ. ფანასკერტელ-ციციშვილის ქ. N16, 9, 6, 18 და 12 მიმდებარე გამწვანება და სკვერები; სააკაძის მოედანი (ტექ. უნივერსიტეტის VI კორპუსის მიმდებარედ მუხები). თამარ მეფის გამზირზე ნეკერჩხლები, ვახუშტი ბაგრატიონის ხიდის მიმდებარედ სამკუთხედი თარგი, რიგის ბაღი, ი. სუხიშვილის ქუჩაზე წიწვოვანი ნარგავები, დედაენის ბაღის გარე პერიმეტრი, აღმაშენებლის ქ.; ჯ. სკუდიერის ქუჩაზე ახალი სკვერი (ორჯერ), მახათას აღმართის და ცაიშის ქუჩის განაპირა ზოლის წიწვოვანი ნარგავები.

2. სამღერეთის ქუჩა N3-ში მდებარე სანერგე მეურნეობაში ჩატარდა ტერიტორიის დასუფთავება ქვა-ღორღისაგან და ტერიტორიიდან გატანა სამი ჯერადობით, სანერგეში არსებული მცენარეების მორწყვა ორმოცდაცამეტი ჯერადობით, სათბურში არსებული მცენარეების მორწყვა ორმოცდაჩვიდმეტი ჯერადობით. სანატორიუმ ქართლის მიმდებარედ არსებულ სანერგე მეურნეობაში განთავსებული მცენარეების მორწყვა სამოცდაერთი ჯერადობით.

3.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით სხვადასხვა მისამართებზე განხორციელდა 3172 ერთეული ხის მოჭრა, 12084 ერთეული ხის სხვლა-ფორმირება, 294 ერთეული ავარიული ხის დამუშავება, 57 ერთეული ხის კუნძის ამოღება.

4. კომპანიის მოვლა-პატრონობაში არსებულ რეკრეაციულ ზონებში, კერძოდ: ვაკის პარკში, ვასო გოძიაშვილის სახელობის პარკში, პარკ მზიურში, აკაკი წერეთლის სახელობის ბაღში, ვერის ბაღში, 9 აპრილის სახელობის ბაღში, დედაენის ბაღში, 9 მარტის ბაღში, პირველი რესპუბლიკის ბაღში, ჯოვანი სკუდიერის სახელობის სკვერში, რიყის პარკში, თბილისის დენდროლოგიურ პარკში, ევროპის მოედანზე (მიმდებარე თარგებით), ღვინის აღმართზე, მეტეხის აღმართზე, ვარკეთილის სკვერში (ვარკეთილი-3 I მიკრო რაიონი/პოლიციასთან), ვარკეთილის სკვერში (ვარკეთილი-3 IIIა მიკრო რაიონი, N325 კორპუსის მიმდებარედ), რიგის ბაღში, ვარკეთილის ხევის პარკში, ვეტერანთა კულტურის და დასვენების პარკში, გლდანის პარკებში (მე-5, მე-6, მე-8 მიკრო რაიონებში), დიღმის ტყე-პარკში განხორციელდა შემდეგი აგრო-ტექნიკური ღონისძიებები: მცენარეების დარგვა, ხე-მცენარეების გამაგრება (ჭიგოებით), მცენარეების ჯამების მოწყობა/გაფხვიერება, ბალახის გათიბვა, გაზონის მორწყვა, ახალგაზრდა ხე-მცენერების/ბუჩქების მორწყვა, დაზიანებული სარწყავი სისტემის აღდგენა და სარწყავი ფართობის გაზრდის მიზნით ახალი ქსელის მოწყობა, მინერალური და ორგანული სასუქის შეტანა, ორგანული სასუქით შეწამლვა (ფოთლითკვება), ტერიტორიის გამარგვლა, ტერიტორიის ამონაყარისგან გაწმენდა, ხე-მცენარების და ბუჩქების დეკორატიული სხვლა-ფორმირება, ჰიდროთესვისთვის ნიადაგის მომზადება, თარგების მომზადება მულჩირებისთვის და მულჩის შეტანა, ნარჩენების გატანა. ამავე პერიოდში ხორციელდებოდა რეტერატების (საზოგადოებრივი ტუალეტი) მოვლა-პატრონობის ღონისძიებები.

5. განხორციელდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შპს „ეკოსერვის ჯგუფის“ მოვლა-პატრონობაში არსებული შადრევნების ოცდასამი ჯერადობით მორეცხვა-დასუფთავება. შადრევნების ელექტროსისტემებზე პერიოდული შემოწმების შემდეგ აღმოჩენილი 54 გაუმართაობის აღმოფხვრა. შადრევნებზე არსებული 40 ტუმბო-ძრავზე მოხდა საკისრების შეპოხვა სპეციალური საპოხი მასალით, აქედან 14 აგრეგატზე მოხდა დაზიანებული საკისრების ახლით ჩანაცვლება. მომარაგების და დაცლის სისტემებზე აღმოიფხვრა 14 დაზიანება. 10 ლოკაციაზე შეიღება შადრევნის ავზები და დეტალები. ნოემბერ-დეკემბერში შადრევნები გამოირთო და მომზადდა ზამთრის სეზონისთვის.

95 ერთეულ სოკოს ფორმის სასმელი წყაროზე დაზიანებული ეკონომიური მოხმარების ონკანები ჩანაცვლდა ახლით და 28 სხვადასხვა მისამართზე მოხდა დაზიანებული მილების აღდგენა. შეიცვალა დაზიანებული და ამორტიზებული სოკოს ფორმის სასმელი წყაროები. ქალაქ თბილისის პარკებსა და ურბანულ ზონებში არსებულ გამწვანებულ თარგებში სხვადასხვა მისამართებზე, სარწყავ სისტემებზე გაიმართა (შეკეთდა) 1896 ერთეული დაზიანებული კვანძი და 1357 გრძივი მეტრი სხვადასხვა დიამეტრის მილი ჩანაცვლდა ახლით.

6. ურბანულ ზონებში არსებულ გამწვანებულ ტერიტორიებზე განახორციელდა შემდეგი სამუშაოები: გათიბვა, დაფოცხვა დასუფთავება, ნაგვის გატანა, მორწყვა, ჯამების შემობარვა-გაფხვიერება, ჯამების მოწყობა, ხეების სხვლა-ფორმირება, ბუჩქების გაკრეჭვა და ფორმირება, მცენარეების გამაგრება, ზეხმელი და დაზიანებული მცენარეების ამოღება, ნერგების დარგვა, სასუქის შეტანა, მცენარეების შეწამვლა შემდეგ მისამართებზე: რუსთაველის ძეგლის ირგვლივ, მ/ს ,,რუსთაველი,,-ს მიმდებარედ (პასაჟიდან გამოსასვლელამდე), კოსტავას ქ. N3-ისა და ახვლედიანის ქ.N2-ის მიმდებარედ არსებულ თარგებში და გამწვანებულ ტერიტორიაზე, ჯავახიშვილის ქ.-ზე მდებარე ,,სამაიას ბაღში“, გიგა ლორთქიფანიძის სახ. სკვერში და მიმდებარე ტერიტორიაზე, მელიქიშვილის ქუჩაზე დ. აბაშიძის სახ. სკვერში, მ. კოსტავას ქ. N20-26-ში, მელიქიშვილის ქ. N2-ის მიმდებარედ არსებულ კლუმბებში და N51-ე საჯ. სკოლის წინ არსებული სკვერში, კოსტავას ქ. დასაწყისიდან გმირთა მოედნამდე არსებულ ხე-მცენარეებზე, სულხან-საბას ქ.-ზე, ოპერისა და ბალეტის თეატრთან არსებულ სკვერში, კოსტავას ქუჩაზე (გმირთა მოედნიდან) და მის მიმდებარედ არსებულ თარგებში, სკვერებში და გამწვანებული ტერიტორიაზე, სააკაძის მოედანზე, ინსბრუკის სკვერსა და შარტავას ქ.-ზე, პეკინის გამზირზე (ზ. ჟვანიას მოედნამდე) და მათ მიმდებარედ არსებულ თარგებში, სკვერებში და გამწვანებულ ტერიტორიაზე (მათ შორის ბუკიას ბაღი და მიცკევიჩისა და პეკინის კუთხეში არსებულ თარგებში), ვაჟა-ფშაველას გამზირსა და მის მიმდებარედ არსებულ თარგებში, სკვერებში, გაზონებში, ფერდობებზე, ბულვარებში, სანდრო ეულის ქ.-ზე არსებულ ბულვარში და გამწვანებულ ტერიტორიაზე, ჯ. ბალანჩინის ქ.-ზე, ჯ. ბალანჩინის ქ.-დან ფარნავაზ მეფის გამზირამდე და ფარნავაზ მეფის გამზირზე არსებულ გამწვანებაზე, შუა გამყოფ ზოლებზე და ფერდობებზე, ფარნავაზ მეფის გამზირზე, პეტრიწისა და გ.ბრწყინვალეს ქუჩებზე არსებულ გამწვანებაზე (გარდა შიდა კვარტალური გამწვანებისა) შუა გამყოფი ზოლების ჩათვლით, გოთუას სახელობის სკვერში, გოთუას ქუჩაზე არსებულ ფერდობებზე და გამწვანებულ ტერიტორიაზე, ალ.ყაზბეგის გამზირსა და მის მიმდებარედ არსებულ თარგებში, სკვერებში, გაზონებსა და გამწვანებულ ტერიტორიაზე (გარდა ნანტის სახელობის სკვერისა), გმირთა მოედანზე ,,თავდადებულ გმირთა,, მემორიალისა და ობელისკის მიმდებარედ არსებულ გამწვანებულ ტერიტორიაზე, გმირთა მოედანზე არსებულ დასაკიდ საყვავილე ქოთნებში, გმირთა მოედანზე არსებულ ქოთნებში მცოცავი მცენარეებით, გმირთა მოედანზე, გვირაბის ირგვლივ არსებულ უბეებზე, შუა გამყოფ ზოლზე, კოსტავას ქ. კუთხეში არსებულ ჩასასვლელში, ცირკის მიმდებარედ, რესტ. ,,მატროშკი,,-დან ალიევის სახ. სანაპირომდე და თამარ მეფის გამზ. გმირთა მოედნის ხიდამდე არსებულ გამწვანებულ ტერიტორიაზე და ფერდობებზე, გმირთა მოედნის და თამარაშვილის ქუჩის დამაკავშირებელ ჭ. ამირეჯიბის გზატკეცილზე არსებულ გამწვანებულ ტერიტორიებზე (მათ შორის ვერეს ხეობაში ახალდარგული ხე-მცენარეები), ჭავჭავაძის, ჩოლოყაშვილის გამზირებზე (დასაწყისიდან N51-ის ჩათვლით) და მიმდებარე ტერიტორიაზე თარგებსა და ხე-მცენარეებზე, ფალიაშვილის ქუჩაზე არსებული კონსტანტინე გამსახურდიას სკვერში და მრგვალ ბაღში, მოსკოვის გამზირზე შუა გამყოფ ზოლში და მიმდებარედ არსებულ გამწვანებაზე (მცენარეები, თარგები და ფერდობები), N18 და N50 მიმდებარედ არსებულ სკვერებში, ქეთევან დედოფლის გამზირზე სასტ. მეტეხიდან (თელავის ქ.) მოსკოვის გამზირამდე არსებულ გამწვანებაზე (მცენარეები, თარგები და ფერდობები), N67, N69, N96 და წინანდლის შეს. N11-ის მიმდებარედ არსებულ სკვერებში, იალბუზის, ბოჭორმის, ლეხ კაჩინსკისა და აწყურის ქუჩებზე არსებულ გამწვანებაზე (მცენარეები, თარგები და ფერდობები) და ლეხ კაჩინსკის სახ. სკვერში, ბერი გაბრიელ სალოსის სახ. მოედანზე და გამზირზე არსებულ გამწვანებაზე (მცენარეები, თარგები და ფერდობები) და N1/3, N47-49 (ყოფ. ჩოლოყაშვილის N3, N3ა და N4), N48/10 მიმდებარედ არსებული და ალ. ქართველის სახ. სკვერებში, ვაზისუბანი - შ. პეტეფის, თ. დავითაიას, ზ. პატარიძის ქუჩებზე არსებულ გამწვანებაზე (მცენარეები, თარგები და ფერდობები), ვაზისუბნის დას. N1, N7, N8, N16 და კახეთის გზატ. N36 (მე-8 ლეგიონი) მიმდებარედ არსებულ სკვერებში; ვაზისუბნის მე-3 მ/რ-ნში, I და II კვარტლებს შორის არსებულ სკვერში, ბარათაშვილის სახ. სკვერში, მიმდებარე თარგსა და გამწვანებულ ტერიტორიაზე ავლაბრის მოედანზე, ერევნის სახ-ის სომხურ თეატრთან, ფარნავაზის სახ-ის, მ/ს ,,ავლაბარი,,-ს, შადრევნის ირგვლივ და წურწუმიას ქ-ზე არსებულ სკვერებსა და თარგებში (გარდა ზურაბიშვილის ქუჩისა) ქეთევან დედოფლის გამზ.#32-ის გვერდით მდებარე (მეტეხის) ფერდობი ბარათაშვილის აღმ., ქეთევან დედოფლის გამზ. დასაწყისიდან N40-მდე არსებულ გამწვანებაზე, ბალანჩინის ქ.-დან, მინდელის, შეშელიძის ქ.-ებზე არსებულ გამწვანებულ ტერიტორიებზე და ფერდობებზე, ხიზანიშვილის, ვეკუას (დამაკავშირებელი ქუჩების ჩათვლით),

გობრონიძის შუა ზოლსა და მიმდებარე ტერიტორიაზე, ა.ისაკიანის ქ, გობრონიძისა და შეშელიძის დამაკავშირებელ, გობრონიძის და ნოზაძის ქ.-ის კვეთაზე არსებულ კლუმბებზე, შუა ზოლზე და გამწვანებულ ტერიტორიაზე, სარაჯიშვილის გამზ. N6-ის მიმდებარედ არსებულ სკვერში, სარაჯიშვილის გამზირზე არსებულ სკვერებში, შუა გამყოფ ზოლზე, გაზონებზე და ფერდობებზე, გურამიშვილის გამზირსა და მის მიმდებარედ არსებულ შუა ზოლზე, სკვერებში, გაზონებში, ფერდობებსა და გამწვანებულ ტერიტორიაზე, ც. დადიანის, თ. ერისთავის, ქ.-ებზე და მათ მიმდებარედ არსებულ სკვერებში, გაზონებზე, ფერდობებზე და გამწვანებულ ტერიტორიაზე, აღმაშენებლის გამზ. (ცაბაძის ქუჩიდან ბოლომდე), მარჯანიშვილის მოედანზე - არსებულ სკვერებში, თარგებში და გამწვანებულ ტერიტორიებზე, დ. აღმაშენებლის N127-თან არსებულ ჯანსულ კახიძის სახელობის (გოფილექტი) სკვერებში, აღმაშენებლის გამზ. N105-ის მიმდებარედ არსებულ ბაღში (არტოს ბაღი), თამარ მეფის გაზ. (ვაგზლის მოედნიდან თამარ მეფის ხიდამდე), ხვამლის. ქ.-ისა და მიმდებარე ტერიტორიებზე არსებულ სკვერებში და გამწვანებულ ტერიტორიებზე, ზაარბრუკენის მოედანზე და უზნაძის ქ. N2-ის მიმდებარედ არსებულ კლუმბებზე და ქუჩის გამწვანებულ ტერიტორიაზე, რობაქიძის გამზირზე (დიდუბის გამგეობიდან დ.აღმაშენებლის ძეგლამდე ორივე მხარე) არსებულ სკვერებში და გამწვანებულ ტერიტორიებზე, "ტექსელი"-ს სკვერში, კლუბ დინამოს საწვრთვნელი ბაზის წინ არსებულ სკვერებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ გამწვანებაზე, მაიაკოვსკის სახელობის სკვერში, წერეთლის გამზირზე არსებულ სკვერებში და გამწვანებულ ტერიტორიებზე (გარდა შალიკაშვილის სახელობის ხიდის მიდებარე ტერიტორიისა, წერეთლის გამზირის 55 და 78 მიმდებარედ არსებული სკვერებისა), გლდანი-ნაძალადევის პოლიციის I განყოფილების ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე გამწვანებულ თარგებზე, ლოტკინის დასახლება გლდანი-ნაძალადევის პოლიციის V განყოფილების ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე გამწვანებულ თარგებში (სამღერეთის ქ. 25), პოლიციის IV განყოფილება (ავჭალის დასახლება ლიბანის ქ. N25) გამწვანებული თარგებში, პოლიციის III განყოფილება (ნორიოს აღმართი N54ა) გამწვანებული თარგებში, გლდანი-ნაძალადევის პოლიციის VI განყოფილების ადმინისტრციული შენობის მიმდებარე გამწვანებულ თარგებში, პოლიციის რაიონული სამმართველოს (დ. გურამიშვილის გამზირი N7ა) გამწვანებულ თარგებში,პოლიციის I განყოფილების (დიღმის მასივი II კვარტალი, Vა კორპუსი) გამწვანებულ თარგებში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიციის მთავარი სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე გამწვანებულ თარგებში (მეტრო ,,წერეთელი"), გლდანი-ნაძალადევის პოლიციის II განყოფილების ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე გამწვანებულ თარგებში (ქერჩის ქ. N6), გლდანი-ნაძალადევის პოლიციის IX განყოფილების ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე გამწვანებული თარგებში (დადიანის ქ.), ვაზისუბნის 1 მ/რ-ნი, ისანი-სამგორის რაიონის სამმართველოს პოლიციის II განყოფილების ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე, ისანი-სამგორის რ–ნის პოლიციის რაიონული სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიზე (მოსკოვის გამზ N14), ვარკეთილის დასახლების III მ/რ-ნი. რაიონის პოლიციის VIII განყოფილების ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე, თბილისის საერთაშორისო აეროპორტთან მდებარე ტერიტორიაზე პოლიციის VI განყოფილების მიმდებარედ არსებულ გამწვანებულ ტერიტორიაზე, მთავარი სამმართველოს ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის III განყოფილების ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ (ბოგდან ხმელნიცკის ქ.) მწვანე თარგებში, მთავარი სამმართველოს ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის V განყოფილების ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ (მოსკოვის გამზირის ბოლო) მწვანე თარგებში, ვაკე-საბურთალოს რ-ნის პოლიციის III განყოფილების (ნუცუბიძის I მ/რ-ნი, I კვარტალი) გამწვანებული თარგები, ვაკე-საბურთალოს რ-ნის პოლიციის რაიონული სამმართველოს (მ. კოსტავას ქ. N68) გამწვანებული თარგებში, თაბუკაშვილის ქ-ზე ძველი თბილისის რ-ნის პოლიციის სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ გამწვანებულ თარგებში, ბუშის ქუჩაზე და კახეთის გზაკეცილზე, შსს-ს მიმდებარე პარკში, ალ. წულიკიძის ქ.-სთან და კოსმონავტის სკვერებში, მონუმენტი ,,ადამიანი და მზე,,-ს მიმდებარედ და მონუმენტიდან თბილისის საერთაშორისო აეროპორტამდე არსებულ გამწვანებულ ტერიტორიებზე (შუა და გვერდითა ზოლები), მარცხენა სანაპირო, ბერი გაბრიელ სალოსის მოედნიდან მეტეხის გვირაბამდე გამწვანებულ ტერიტორიებზე, მარცხენა სანაპირო მეტეხის გვირაბიდან მინდელის ხიდამდე მიმდებარე გამწვანებულ ტერიტორიებზე, ხეთაგუროვის ქუჩასა და სანაპიროს შორის არსებულ სკვერში, გელოვანისა და რობაქიძის გამზირების გადაკვეთაზე, გელოვანის გამზირის შუა ზოლზე, ფერდობებზე, ბელიაშვილის ქუჩიდან (მარჯვენა, მარცხენა მხარე) დიდუბის ხიდამდე არსებულ გამწვანებაზე, ბაქრაძის ქუჩის შუა გამყოფ ზოლში და მარჯვენა მხარე გელოვანის მოედნამდე, გელოვანის მოედნის მიმდებარე ფერდობზე, გელოვანის მოედნიდან გოთუას აღმართის ფერდობზე და პლატოზე, გაგარინის ქ-ის დაღმართის მარჯვენა მხარე თამარ მეფის ხიდამდე არსებულ გამწვანებაზე, დ. აღმაშენებლის ხეივნის განაპირა ზოლზე და მიმდებარედ არსებულ გამწვანებულ ტერიტორიებზე ზაჰესის ხიდიდან დ. აღმაშენებილს ძეგლამდე, მარშალ გელოვანის გამზირზე,

თბილისის შსს სამმართველოს მიმდებარე გამწვანებულ ტერიტორიაზე, დაბა წყნეთში, ხუდადოვის ქუჩის ორივე მხარეს არსებულ გამწვანებულ ზოლებზე, ხუდადოვის ქუჩის მიმდებარედ არსებულ გამწვანებულ ტერიტორიაზე (ხუდადოვის ტყე), თბილისის წყალსაცავის ირგვლივ გზატკეცილის განაპირა გამწვანებულ ზოლებსა და ფერდობებზე, ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე ვარკეთილის მხარეს ახლად გაშენებულ კორომზე (სასტუმრო ჰოთელს & პრეფერენს ჰუალინგ თბილისი მიმდებად), მ. კოსტავას N71-ის მიმდებარედ სკვერში, ს. ცინცაძისა და ვ. და ა. ასათიანების ქუჩებს შორის არსებულ ტერიტორიებზე, ორბელიანის სკვერის მიმდებარედ (ხაზინის, ფხოვის, ფურცელაძის, ვეკუას, ათონელის ქუჩები) არსებულ ქოთნებში, უნივერსიტეტის ქუჩაზე (ხე-მცენარეები), გამწვანებული ზოლი ვახუშტის ხიდის მიმდებარე უსაფრთხოების კუნძულზე, გამწვანებულ ზოლში საცურაო კომპლექს ,,ლაგუნას“ წინ არსებული პანდუსის წინ მოწყობილ უსაფრთხოების კუნძულებზე, მარჯვენა სანაპიროზე, საცხოვრებელი კომპლექსი ,,ქინგ დევიდთან“ არსებულ უსაფრთხოების კუნძულზე, გამწვანებული ზოლის მეტრო-სადგურ ვარკეთილის წინ მოწყობილ უსაფრთხოების კუნძულებზე, ჯავახეთისა და ვ. კუპრაძის ქუჩებს შორის არსებულ შუა გამყოფ გამწვანებულ ზოლზე, უნივერსიტეტის ქუჩასა (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ე.წ. მაღლივი კორპუსი) და წყნეთის გზატკეცილს (ამავე უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელი) შორის არსებულ ხიდზე, ბარათაშვილის ქ.-ის ორივე მხარეს, შუა გამყოფ ზოლზე და მიმდებარედ (ორივე მხარეს) არსებულ გამწვანებულ ტერიტორიაზე, ორბელიანის მოედანზე არსებულ ორბელიანის სახელობის სკვერში, თავისუფლების მოედანზე არსებულ ,,პუშკინი“-ს სკვერში, წმ. გიორგის მონუმენტის ირგვლივ და ქ. თბილისის საკრებულოს წინ არსებულ გამწვანებაზე, რუსთაველის გამზ. N10 (I საჯ. სკოლა) არსებულ სკვერში, თავისუფლების მოედნიდან რუსთაველის გამზ. N37-ის ჩათვლით არსებულ გამწვანებაზე (მათ შორის გამზირზე არსებული ზეთის ხილის ხე), კრწანისის ქ. N7ა-ს მიმდებარედ არსებული სკვერში, პოლიციის II განყოფილების (ა. წერეთლის გამზირი N115) გამწვანებულ თარგში, პოლიციის IX განყოფილების შენობის მიმდებარე გამწვანებულ თარგებში (ქვემო ფონიჭალა კორპ. N4) გორგასლის ქუჩა N83ა-დან გზატკეცილის მარჯვენა და მარცხენა გამწვანებულ ზოლებზე მარნეულის გზატკეცილამდე, რუსთავის და მარნეულის გზატკეცილების გასაყარიდან მარჯვენა და მარცხენა მწვანე ზოლზე, სოფელ ფონიჭალამდე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, თამარ მეფის ხიდიდან გულიას მოედნის ჩათვლით მარჯვენა სანაპიროზე, მარჯანიშვილის ხიდიდან მონუმენტი ,,ვეფხვი და მოყმისს" ჩათვლით გამწვანებულ ზოლზე, ვახუშტის ხიდის მიმდებარე უსაფრთხოების კუნძულზე, რეხის ქ. N1-ის მიმდებარე ტერიტორიაზე (გადმოცემული ნერგი), ბალანჩინის ქუჩაზე (გადმოცემული ნერგები), მირიან მეფის ქუჩაზე (გადმოცემული ნერგები), გლდანულაში (გადმოცემული ნერგები), დუმბაძის ქუჩაზე (გადმოცემული ნერგები), გლდანი, მე-3 მ/რ-ნში N7-9 კორპუსებს შორის არსებულ ტერიტორიაზე (გადმოცემული ნერგები), ხიზანიშვილის ქუჩაზე (გადმოცემული ნერგები), ზაჰესში მაღაზია "ზღაპარის-ს მიმდებარე ტერიტორიაზე (გადმოცემული ნერგები), მაჭავარიანის ქუჩისა და გოძიაშვილის შესახვევში (გადმოცემული ნერგები), აბაშიძის ქუჩაზე (გადმოცემული ნერგები), ამაღლობელის ქუჩაზე (გადმოცემული ნერგები), წყნეთში, რუსთაველის ქუჩაზე (გადმოცემული ნერგები), წყნეთში, ქეთევან წამებულის ქ. N2-ის მიმდებარე ტეტრიტორიაზე (გადმოცემული ნერგები), ელიავას ბაზრობის (ვახუშტის ხიდი) მიმდებარედ (გადმოცემული ნერგები), ვ. ბაგრატიონის ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე, შუა გამყოფ ზოლზე (გადმოცემული ნერგები), მიხეილ ჭიაურელის ქუჩაზე (ყოფილი ლუბლიანას) N8-ის მიმდებარედ (გადმოცემული ნერგები), ლუბლიანას ქუჩაზე (გადმოცემული ნერგები), ვაშლიჯვარში გოძიაშვილის მე-2 შესახვევი (გადმოცემული ნერგები), გოძიაშვილის პარკის მიმდებარედ (52 საჯარო სკოლა)(გადმოცემული ნერგები), ზაქარიაძის ქუჩაზე (გადმოცემული ნერგები), გაგარინის მოედანსა და პეკინის ქუჩებს შორის შუა გამყოფ ზოლზე (გადმოცემული ნერგები), ჩოლოყაშვილისა და ბახტრიონის ქუჩების კვეთაზე (გადმოცემული ნერგები), ბახტრიონის ქუჩაზე (გადმოცემული ნერგები), ცინცაძე-კარტოზიას ქუჩების კვეთაზე (გადმოცემული ნერგები), ჩხიკვაძის ქუჩაზე (ჩხიკვაძისა და ნუცუბიძის კუთხე 2, მე-3მ/რ-ნში და მე-2 კვარტალში, სკოლის მიმდებარედ (გადმოცემული ნერგები), ჩხიკვაძისა და დათუაშვილის ქუჩების კვეთაზე (გადმოცემული ნერგები), ნუცუბიძის I მ/რ-ნსა და მე-9 კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე (გადმოცემული ნერგები), ქავთარაძის ქუჩაზე (გადმოცემული ნერგები), ი.ბერიტაშვილის ქუჩაზე (გადმოცემული ნერგები), ძმები ზალდასტანიშვილების ქ. N16 -ზე (გადმოცემული ნერგები), დიდი დიღმისა და სოფელ დიღმის გამყოფ ქედზე, საბურთალოს ქუჩაზე (გადმოცემული ნერგები), ნუცუბიძე ვაშლიჯვარის გზაზე (გადმოცემული ნერგები), ჟღენტის ქუჩაზე (გადმოცემული ნერგები), ნუცუბიძის ასახვევში (გადმოცემული ნერგები), ი. ვაკელის (რესპ, საავადმყოფოს) და ბუდაპეშტის ქუჩის კუთხეში (გადმოცემული ნერგები), ლევილის სანაპიროზე (გადმოცემული ნერგები), ქ.წამებულის და მოსკოვის გამზირზე (გადმოცემული ნერგები), წურწუმიას სკვერში (გადმოცემული ნერგები), გაბრიელ სალოსის გამზირის N160-ის მიმდებარედ არსებულ სკვერში და სკვერში არსებულ (გადმოცემული) ნერგებში, გაბრიელ სალოსის გამზირზე N49-47-ის

მიმდებარედ (გადმოცემული ნერგები), თავისუფალი თეატრის მიმდებარედ (გადმოცემული ნერგები), მაყაშვილის N22-ში (გადმოცემული ნერგები), ახვლედიანის ქუჩაზე (გადმოცემული ნერგები), საბურთალოს სასაფლაოს ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე (ხე-მცენარე), მანდელშტამის ქუჩაზე (ხე-მცენარეები), ფეიქართა ქუჩაზე (ხე-მცენარეები), თავდაცვის სამინისტროსთან (ხე-მცენარეები), შანიძის ქუჩაზე (ხე-მცენარეები), იოთამ ზედგინიძის ქუჩაზე (ხე-მცენარეები), შანდორ პეტეფის ქუჩაზე (ხე-მცენარეები), ჩანტლაძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე (ხე-მცენარეები), მ. თამარაშვილის გამზირზე, 13 ივნისის სახელობის სკვერში და მის მიმდებარედ არსებულ ხე-მცენარეებზე, ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის მიმდებარედ არსებულ გამწვანებაზე, ვაკის სასაფლაოს მიმდებარედ არსებულ გამწვანებულ ზოლზე და ხე-მცენარეებში, ქერჩის ქუჩაზე (გლდანის გამგეობიდან პოლიციის აკადემიის გადასახვევამდე), გლდანის გამგეობის წინ არსებულ საყვავილე თარგებში და გამწვანებულ თარგებში, ვაკის პარკის მიმდებარედ ტერიტორიაზე, შევჩენკოს სახელობის სკვერში, მარჯვენა სანაპირო ბარათაშვილის ხიდიდან გმირთა მოედნამდე არსებულ გამწვანებაზე, სახელმწიფო კანცელარიის წინ არსებულ გამწვანებაზე, ბარათაშვლის ხიდთან არსებულ გამწვანებულ ფერდობზე, მოსკოვის გამზირზე სკვერში სატანკო ქარხნის მიმდებარედ, ჯავახეთის ქუჩა შუა გამყოფ ზოლში მოსკოვის გამზირიდან ,,რომპეტროლი"-ს ბენზინ გასამართ სადგურამდე, თბილისი-რუსთავის ავტობანზე ორთაჭალის სადგურიდან რუსთავი-მარნეულის გასაყარამდე, გორგასლის ქუჩაზე არსებულ დიდების ხეივანზე (ხე-მცენარეები), მარჯვენა სანაპიროსა და უჯარმელის ქუჩის კვეთაზე (სასტუმრო ამბასადორის" მ/ტ.), კანდელაკის ქუჩაზე (გადმოცემული ნერგები), კანდელაკის ქუჩაზე გამწვანებულ ტერიტორიაზე, გ. ბრწყინვალეს ქუჩაზე (გადმოცემული ნერგი), ამერიკის საელჩოს წინ არსებულ შუა გამყოფ ზოლზე, ისნის ფერდობზე, ორხევის დასახლება, ახვლედიანის ქუჩის მიმდებარედ არსებულ სკვერში, მარცხენა სანაპირო თამარ მეფის ხიდთან არსებულ გამწვანებულ კუნძულებზე, თამარ მეფის ხიდიდან ბარათაშვილის ხიდამდე, მარნეულის გზატკეცილის დასაწყისიდან შუა, მარჯვენა და მარცხენა მწვანე ზოლებზე, მიცკევიჩის ქუჩაზე, ხომლელის ქუჩაზე (გადმოცემული ნერგები), სამხედრო ქალაქის მიმდებარედ არსებულ სკვერში, აღმაშენებლის ხეივანზე, აღმაშენებლის ძეგლის მიმდებარედ არსებულ გამწვანებაზე, ბაქრაძის ქუჩაზე დიდუბის გამგეობისა და ეკლესიის უკანა ფერდობებზე, ლევილის სანაპიროს დასაწყისთან არსებულ მოედანზე, სპორტ კომპლექს ,,ოლიმპი"-ს მიმდებარედ არსებულ სკვერში, ევროპის ქუჩაზე, ლონდონის სკვერში, გახოკიძის ქუჩაზე, სიმონ ჩიქოვანის N4-ის მიმდებარედ არსებულ სკვერში, რუსთაველის გამზირზე პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე, ამაშუკელისა და მაჭავარიანის კვეთაზე, მუსხელიშვილის სახელობის სკვერში, ბენზინგასამართ “სოკართან" არსებულ მოედანზე, ფეიქართა ქუჩაზე ფეიქრების N2 და N66-თან არსებულ გამწვანებულ კუნძულებზე და ხე-მცენარეებზე, 26 მაისის მოედანზე, მეტრო სადგურ ნაძალადევის მიმდებარედ სკვერში, ჭავჭავაძის გამზირზე რუსეთის საელჩოს მიმდებარედ, ჭავჭავაძის გამზირზე გალაკტიონ ტაბიძის სახელობის სკვერში, გურამიშვილის გამზირზე საჯარო სკოლა N141-ის მიმდებარედ სკვერში, მთაწმინდის ნახანძრალ ფერდობზე, ვ. კუპრაძის ქუჩის პატარა წრიულზე, გუმათჰესის ქუჩაზე, მირიან მეფის ქუჩაზე, წყალსადენის ქუჩის დასაწყისში არსებული კუნძულზე, გახოკიძის ქუჩის დასაწყისში უსაფრთხოების კუნძულებზე (ისთ ფოინთის მიმდებარე ტერიტორია), ვარკეთილში - ჯავახეთის (მოსკოვის გამზირიდან ბოლომდე), ალექსიძის, თაყაიშვილის, სუხიშვილის, ერთიანობისათვის მებრძოლთა ქუჩებზე არსებულ გამწვანებაზე (მცენარეები, თარგები და ფერდობები) და N176ბ ბაღის მიმდებარედ, I მ/რ-ნში N2 (მედიათეკასთან), III მ/რ-ნი (პოლიციასთან), და ილ. სუხიშვილის სახ. სკვერებში, კაკლიანის ქუჩაზე არსებული სამკუთხედი და მრგვალი თარგებში, მარჯანიშვილისა და უ.ჩხეიძის ქუჩების კვეთაზე არსებულ მრგვალ თარგში, წერეთლის სახელობის სკვერში, ვარკეთილის 3 მე-4 მ/რ-ნში კორპუსის N420-ის მიმდებარედ სკვერში, მონუმენტი ,,ვეფხვი და მოყმის" მიმდებარედ არსებულ კუნძულზე, გლდანის ხიდებთან არსებულ სამკუთხედ გამწვანებული კუნძულზე, ქორწინების სახლის მიმდებარედ გამწვანებულ ტერიტორიაზე, გელოვანის სახელობის სკვერში, ბუხაძის ქუჩაზე არსებულ გამწვანებულ კუნძულებზე, ზ. ფანასკერტელ-ციციშვილის ქ. N11-ის მიმდებარედ სარეკრეაციო სივრცეში, ნიცუბიძის პლატოზე ბესარიონ ჟღენტის ქუჩაზე არსებულ ფერდობზე, თაყაიშვილის ქუჩაზე N319 კორპუსის მიმდებარედ სკვერში.

7. ანასხლავი ტოტის გადამუშავების შედეგად მიღებული იქნა 99.5მ^3 მზა კომპოსტი და 374.55 მ^3 ნახევარფაბრიკატი კომპოსტი.

წარმოებული იქნა 96,75 მ^3 მზა მულჩი და 295,4მ^3 წითელი მულჩი (აღნიშნული თითქმის სრულად შეტანილი იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ლოკაციაზე).

ზემოაღნიშნულის შედეგად, 2021 წელს კიდევ უფრო მეტად ამაღლდა პარკების, გამწვანებული ზონების მოვლა-პატრონობის და შადრევნების და სოკოს ფორმის სასმელი წყაროების ექსპლუატაციის ხარისხი.


სოციალური და დასაქმების საკითხები


შესასრულებელი პროექტების და საწარმოს წარმატებით ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია კომპანიაში დასაქმებული პერსონალი. პერსონალთან მუშაობა იწყება მიღების დღიდან. პირველ რიგში ვაცნობთ საწარმოს შინაგანაწეს, თანამდებობრივ ინსტრუქციას, უსაფრთხოების წესებს და სამსახურში მიღება ხდება გამოსაცდელი ვადით. თანამშრომლებისთვის გვაქვს კორპორაციული დაზღვევა, რომელიც ითვალისწინებს გაცილებით შეღავათიან პირობებს, ვიდრე ჩვეულებრივი ფიზიკური პირებისთვის. მკაცრად ხდება შრომის კოდექსით მოთხოვნილი პირობების დაცვა. დასაქმებულს მოეთხოვება მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, მისი დარღვევისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობა განსაზღვრულია გაფრთხილებიდან განთავისუფლებამდე. შინაგანაწესით ასევე განსაზღვრულია წახალისების შემდეგი სახეები: ა) მადლობის გამოცხადება (პირად საქმეში შეტანით); ბ) ფულადი ჯილდოს მიცემა ან/და ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; გ) 10 (ათი) სამუშაო დღემდე ვადით დამატებითი ანაზღაურებადი შვებულების მიცემა; დ) დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნა.

კომპანია უზრუნველყოფს, თანამშრომლებისთვის სისტემატიურ ყოველთვიურ ანაზღაურებას, მათი შრომისუნარიანობისა და კვალიფიკაციის ზრდას.

კომპანიის მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე დასაქმებულთა უმეტესი რაოდენობა მამრობითი სქესის წარმომადგენელია, თუმცა აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციაში არ ხდება გენდერული ნიშნით კადრების დასაქმება. რადგან ორგანიზაციის სისტემაში მიუღებელია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია კადრების შერჩევისას, სამუშაო ადგილზე, თუ ორგანიზაციის საქმიანობის განხორციელებისას, დისკრიმინაცია, რომელიც შეიძლება გამოხატული იყოს უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების შეზღუდვით, მათ შორის გენდერული ნიშნით.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში დასაქმებულთა საერთო რაოდენობა შეადგენდა 635 ერთეულს, მათ შორის კაცი - 567; ქალი: 68





აღსანიშნავია, რომ დამფაუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე, 2022 წლის 01 იანვრიდან გაზრდილი იქნა კომპანიაში დასაქმებულთა შრომის ანაზღურება (საშუალოდ 10%ის ოდენობით).

საზოგადოების ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	4,114,333	2,646,206
უფლება უზრუფრუქტით მიღებულ ქონებაზე	4	4,305,931	4,932,736
არამატერიალური აქტივები		16,570	19,155
სულ გრძელვადიანი აქტივები		**8,436,834**	**7,598,097**
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	5	1,885,725	1,702,881
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	127,738	-

ფული და ფულადი ექვივალენტები	7	3,262,280	2,066,831
სულ მოკლევადიანი აქტივები		**5,275,743**	**3,769,712**
სულ აქტივები		**13,712,577**	**11,367,809**
მფლობელთა კაპიტალი	9	17,213,411	17,213,411
დაგროვილი ზარალი		(12,337,822)	(12,925,327)
გადაფასების რეზერვი		1,724,216	-
კაპიტალი სხვა რეზერვებამდე		**6,599,805**	**4,288,084**
სხვა რეზერვი	9	4,305,931	4,932,736
სულ კაპიტალი		**10,905,736**	**9,220,820**
საგადასახადო ვალდებულება	15	7,299	227,976
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	2,799,542	1,919,013
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**2,806,841**	**2,146,989**
სულ ვალდებულებები		**2,806,841**	**2,146,989**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**13,712,577**	**11,367,809**

მოგება/(ზარალის) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ლარი	**შენიშვნა**	**2021**	**2020**
შემოსავალი	10	16,629,887	12,384,429
გამომუშავებული შემოსავლის თვითღირებულება	11	(15,362,417)	(10,566,156)
საერთო მოგება		**1,267,470**	**1,818,273**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	12	(2,058,268)	(3,857,957)
წმინდა ფინანსური შემოსავალი	7	504,238	277,389

წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი	13	865,565	455,378
ზარალი დაბეგვრამდე		**579,005**	**(1,306,917)**
მოგების გადასახადი	14		-
წმინდა ზარალი		**579,005**	**(1,306,917)**
სხვა სრული შემოსავლი		1,732,716	-
სულ წლის სრული შემოსავალი		**2,311,721**	**(1,306,917)**

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	მფლობელთა კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	გადაფასების ნამეტი	კაპიტალი სხვა რეზერვამდე	სხვა რეზერვი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის		**17,213,411**	**(11,618,410)**	**-**	**5,595,001**	**3,658,988**	**9,253,989**
წლის სრული შემოსავალი		-	(1,306,917)	-	(1,306,917)	-	(1,306,917)
სხვა რეზერვის ამორტიზაცია	4	-	-	-	-	(474,452)	(474,452)
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	-	-	-
სულ სრული შემოსავალი		-	(1,306,917)	-	(1,306,917)	(474,452)	(1,781,369)
სხვა რეზერვის ზრდა	4	-	-	-	-	1,748,200	1,748,200

ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის		**17,213,411**	**(12,925,327)**	**-**	**4,288,084**	**4,932,736**	**9,220,820**
წლის სრული შემოსავალი		-	579,005	-	579,005	-	579,005
სხვა რეზერვის ამორტიზაცია	4	-	-	-	-	(626,805)	(626,805)
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	1,732,716	1,732,716	-	1,732,716
სულ სრული შემოსავალი		-	579,005	1,732,716	2,311,721	(626,805)	1,684,916
გადაფასების ნამეტის აღიარების შეწყვეტა		-	8,500	(8,500)	-	-	-
სხვა რეზერვის ზრდა	4	-	-	-	-	-	-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის		**17,213,411**	**(12,337,822)**	**1,724,216**	**6,599,805**	**4,305,931**	**10,905,736**

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მოგება დაბეგვრამდე		579,005	(1,306,917)
კორექტირებები:		-	
ცვეთისა და ამორტიზაციის დანახარჯები	3	1,095,273	929,376
ძირითადი საშუალების ჩამოწერის ხარჯები	3	3,561	6,760
ძირითადი საშუალების / მარაგების უსასყიდლოდ (მიღება) / გაცემა	3	(218,978)	38,730
უზუფრუქტით მიღებული ქონების უფლების ამორტიზაციის ხარჯი	4	626,805	474,452
ძირ. საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	3	(19,939)	(17,033)
სხვა რეზერვის ამორტიზაცია	4	(626,805)	(474,452)
საპროცენტო შემოსავალი	7	(504,238)	(277,389)
ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:		-	
მარაგების ზრდა		(608,607)	(1,132,817)
ცვლილებები საგადასახადო აქტივში / ვალდებულებაში		(220,677)	916,512
სავაჭრო მოთხოვნების ზრდა		(127,738)	121,986
სავაჭრო ვალდებულებების ზრდა		880,529	993,916
საოპ. საქმ. გამოყენებული ფულადი სახსრები		**858,191**	**273,124**
მიღებული პროცენტები		504,238	277,389
ფულადი სახსრები გენერირებული/(გამოყენებული) საოპერაციო საქმიანობაში		**1,362,429**	**550,513**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		-	
ძირითადი საშუალებების შეძენა	3	(197,568)	(651,098)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	3	30,588	26,898

წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		**(166,980)**	**(624,200)**
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		-	**-**
ფული და ფულის ექვივალენტების წმინდა ზრდა		1,195,449	**(73,687)**
ფული და ფულის ექვივალენტები, წლის დასაწყისში 1 იანვარი	7	2,066,831	2,140,518
საკურსო სხვაობის გავლენა ფულზე და ფულად ექვივალენტებზე		-	-
ფული და ფულის ექვივალენტები, წლის ბოლოს 31 დეკემბერი		**3,262,280**	**2,066,831**

<u>გარემოს და ნარჩენების მართვა</u>

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „ეკოსერვის ჯგუფისთვის“ (ს/კ 404553666) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მერქნული რესურსისა და ბაღის/პარკის ნარჩენების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 02 ნოემბრის N20.1295.1574 განკარგულების საფუძველზე კომპანიას შემდგომი განკარგვის უფლებით, უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცა კომპანიის მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიების მოვლა-პატრონობის შედეგად წარმოქმნილი, ბაღის/პარკის ნარჩენები. კომპანიის მიერ 2021 წელს დაწყებული იქნა ნარჩენების გადამუშავების პროცესი და როგორც ზემოთაც ავღნიშნეთ, გადამუშავების შედეგად მიღებული იქნა 99.5$მ^3$ მზა კომპოსტი და 374.55 $მ^3$ ნახევარფაბრიკატი კომპოსტი; წარმოებული იქნა 96,75 $მ^3$ მზა მულჩი და 295,4$მ^3$ წითელი მულჩი
მოცემული მომენტისთვისაც კვლავაც აქტიურად მიმდინარეობს კომპანიისთვის გადმოცემული ბაღის/პარკის ნარჩენების გადამუშავება, რის შედეგადაც მიღებული კომპოსტის და მულჩის ნაწილი კომპანიის მიერ გამოყენებული იქნება წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის უზრუნველსაყოფად, ხოლო დარჩენილი ნაწილის რეალიზაცია განხორციელდება დადგენილი წესის შესაბამისად. ზემოაღნიშნულმა თავის მხრივ შეამცირა და მომავალი პერიოდისთვის კიდევ უფრო მეტად შეამცირებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოსაყოფი თანხის მოცულობას.

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესახებ კომპანია ახორციელებს თვითკონტროლსა და თვითმონიტორინგს. მონიტორინგის სისტემა წარმოადგენს გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვებით მიღებული ინფორმაციის ანალიზსა და პროგნოზირების ერთობლიობას.

საწარმოს მიერ მონიტორინგის ორგანიზება წარმოადგენს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

1. საწარმოს ექსპლუატაციის დროს მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულება;
2. რისკების თავიდან აცილება და მოსალოდნელი მავნე ზემოქმედების კონტროლი;
3. დაინტერესებული პირების უზრუნველყოფა სათანადო გარემოსდაცვითი ინფორმაციით;
4. ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა;
5. საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში პერიოდული გარემოსდაცვითი კონტროლი;

როგორც საანგარიშო წლის წინა წლებში, გამუდმებით ვცდილობთ თავიდან ავიცილოთ, მინიმუმამდე შევამციროთ და შევარბილოთ ჩვენი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე. ჩვენ მივმართავთ კონკრეტულ ქმედებებს ბუნებრივი გარემოს დასაცავად, რაც ჩვენი გრძელვადიანი გეგმების ზედმიწევნით

შესრულებით და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების ქმედითი ღონისძიებებით გამოიხატება. ვიყენებთ მართვის სისტემურ მიდგომებს გარემოს დაცვის სფეროში. გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემის განხორციელების პასუხისმგებლობა ხელმძღვანელ გუნდს ეკისრება. ჩვენი მიზანია არ მივაყენოთ ზიანი ბუნებას და ჩვენი სამუშაოთი გამოწვეული გარემოზე ზემოქმედება მინიმუმამდე დავიყვანოთ.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის საქმიანობის წარმატებით განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია რისკების მართვა. რისკის მართვის მთავარი ამოცანაა რისკების იდენტიფიკაცია და საპასუხო ღონისძიებების გატარება. რისკის მართვის საშუალებით ვავლენთ პოტენციურ დადებითი თუ უარყოფითი ფაქტორებს, რაც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. სისტემატიურად ხდება რისკის გარემოს შეფასება და ანალიზი, საპასუხო ღონისძიებების დაგეგმვა/გატარება და მონიტორინგი.
ავტოსატრანსპორტო საშუალებების განადგურება/დაზიანების რისკების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში დაზღვეულია კომაპნიის საკუთრებაში არსებული ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალება (მათ შორის სპეც ტექნიკა).
მნიშვნელოვან რისკ ფაქტორს წარმოადგენს სპეც. ტექნიკის მწყობრიდან გამოსვლა, რაც იწვევს სამუშაო პროცესის შეჩერებას და ფინანსურ დანაკარგებს, აღნიშნული რისკის შესამცირებლად:

1. ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შესყიდული გვაქვს კომპანიის ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების/სპეც ტექნიკის შეკეთება/ტექნიკური მომსახურება, რის შედეგადაც მაქსიმალურად ოპერატიულ ვადებში ხორციელდება დაზიანებული ტექნიკის შეკეთება;
2. პერიოდულად ვახდენთ მწყობრიდან გამოსული მექანიზმის ჩანაცვლებას.

სხვადასხვა მარაგების და ფასეულბების დაკარგვის და არამიზნობრივი ხარჯვის თავიდან არიდების უზრუნველყოფის მიზნით ტარდება მთელი რიგი ღონისძიებები, კერძოდ:

1. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება ძირითადი საშუალებების და მარაგების ინვენტარიზაცია;
2. ხორციელდება სატრანსპორტო საშუალებებზე/სპეც.ტექნიკაზე საგზაო მოძრაობის მონიტორინგი (GPS მონიტორინგი);
3. კომპანიის საწყობში და საწყობის ეზოში დაყენებულია სამელთვალყურეო IP კამერები, რომლითაც კონტროლდება სრულად შიდა და გარე ტერიტორია (მათ შორის სპეციალური ტექნიკის ავტოსადგომი).
4. კომპანიის მიერ დადგენილი და გაწერილია მარაგების გახარჯვის პროცედურები (მათ შორის საწყობიდან გატანისა და გატანის შემდგომ პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის) და გახარჯული მარაგების ჩამოწერის სპეციალური ფორმები, რის შედეგადაც მინიმუმამდეა დაყვანილი მუშა პროცესში სასაქონლო მატერიალური ფასეულეობების/მარაგების დატაცება და არამიზნობრივი ხარჯვა.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კომპანიაში დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოების საკითხებს, არსებულ და მოსალოდნელ საფრთხეებს, უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების თავიდან აცილებას, დასაქმებულთა სწავლებას, მათთვის ინფორმაციის მიწოდებასა და კონსულტაციის გაწევას და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებში დასაქმებულთა თანაბარ მონაწილეობას. აღნიშნულის დასტურად შეგვიძლია მოვიყვანოთ შემდეგი:

1. კომპანიაში შექმნილია სტრუქტურული ერთეული-ინსპექტირების, მონიტორინგისა და შრომის უსაფრთხოების სამსახური, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა შრომის უსაფრთხოების ორგანიზება და მართვა, შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევის პრევენცია, შრომის უსაფრთხოების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი მარეგულირებელი ნორმებისა და წესების შესაბამისი სტანდარტების შემუშავება, გადასინჯვა და კომპანიაში დანერგვა;

2. კომპანიის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა“; ,,შრომის უსაფრთხოების ინსტრუქცია ადმინისტრაციული პერსონალისთვის”; ,,შრომის უსაფრთხოების ინსტრუქცია სიმაღლეზე მომუშავე პერსონალისთვის”; ,,ხის დამაქუცმაცებელი დანადგარითა და ბეტონის შემრევი მექანიზმით მომუშავე პერსონალისთვის შრომის უსაფრთხოების ინსტრუქცია“, ,,შრომის უსაფრთხოების ინსტრუქცია ძრავიანი მცირე მექანიზმებით მუშაობისას” და „შრომის უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები დასაქმებულთათვის“, რომლებშიც დეტალურადაა გაწერილი როგორც მუშა პროცესის წინ, ასევე მუშა პროცესის დროს და დასრულების შემდეგ განსახორციელებელი ქმედებები.

3. კომპანიაში დასაქმებული არიან შრომის უსაფრთხოების საკითხებში დატრენინგებული თანამშრომლები (ტრენინგი გავლილი აქვთ შემდეგ თემატიკაზე: შრომის უსაფრთხოების საკანონმდებლო მოთხოვნების მიმოხილვა; შრომის უსაფრთხოება და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის (მათ შორის ჟურნალების); წარმოება; სამუშაო ადგილზე სამუშაო აღჭურვილობის (მათ შორის მანქანა დანადგარების და სამუშაო ტექნიკის) გამოყენება.; უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული მინიმალური მოთხოვნები; სახანძრო უსაფრთხოება და საგანგებო მდგომარეობა; პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა; რისკების შეფასება სამუშაო ადგილზე (მათ შორის - საფრთხეების იდენტიფიცირება და ინციდენტების რეპორტირება); ქიმიური ნივთიერებების უსაფრთხო გამოყენება; ელექტროუსაფრთხოება; ხელით შესასრლებელი სამუშაოების მინიმალური მოთხოვნები; სიმაღლეზე მუშაობა საერთაშორისოდ აღიარებული სასწავლო მოდულების შესაბამისად; უბედური და საშიში შემთხვევა და პერსონალის ქცევის წესი საწარმოო ტრავმის შემთხვევაში).

4. არსებული რელობის გათვალისწინებით, ასევე მნიშვნელოვან რისკ ფაქტორს წარმოადგენს ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად კომპანიის დირექტორის მიერ გამოცემულია შემდეგი ბრძანებები: „ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღსაკვეთად საჭირო ღონისძიებების განხორციელების შესახებ“ 2020 წლის 13 მარტის №68.01200738 ბრძანება; ,,შვებულებისა და განთავისუფლების შესახებ განცხადებების დაწერის დროებითი წესის შესახებ“ 2020 წლის 02 აპრილის №68.01200933 ბრძანება და ,,პირბადის ტარებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის კონტროლთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ 2020 წლის 15 ივნისის №68.01201671 ბრძანება; ხსენებულ ბრძანებებში დეტალურადაა გაწერილი მთელი რიგი პრევენციული პროცედურები, რაც მნიშვენოლოვნად ამცირებს ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების რისკებს.

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე

შპს ეკოსერვის ჯგუფის მფლობელს და მენეჯმენტს

ჩვენ ჩავატარეთ თანდართული 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშის მიმოხილვა, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშების და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად (შემდგომში - „საკანონმდებლო მოთხოვნები“)

მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და მის შესაბამისობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებთან პასუხისმგებელია კომპანიის მენეჯმენტი, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჩვენი პასუხისმგებლობაა მიმოვიხილოთ მმართველობის ანგარიში და გამოვთქვათ მოსაზრება რამდენად შესაბამისობაშია მმართველობის ანგარიში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და რამდენად თანხვედრილია 2021 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან. იმ შემთხვევაში თუ მმართველობის ანგარიში არ არის შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და თანხვედრილ ფინანსურ ანგარიშგებასთან ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ განვაცხადოთ ამის შესახებ გამოცემულ დასკვნაში. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაო შემოიფარგლება მხოლოდ: კომპანიის ხელმძღვანელობის და პერსონალის გამოკითხვით, ანალიტიკური პროცედურების ჩატარებით, მმართველობის და ფინანსური ანგარიშის შედარებით და თანხვედრილობის განსაზღვრით, და იმ დოკუმენტების მიმოხილვით რაც მომზადდა იმისთვის, რომ კომპანია ყოფილიყო შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ჩვენ არ განგვიხორციელება რაიმე სახის მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი კონტროლის სისტემის სპეციალური მიმოხილვა, და არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ჩვენი ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს რაც დაგვარწმუნებდა, რომ მმართველობის ანგარიში არ არის თანხვედრილი აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან არ არის შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „არესემ საქართველოს“ სახელით

გარიგების პარტნიორი: პაატა ჩუბინიძე

2022 წლის 15 აპრილი